პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—48.

ხუთშაბათი, 29 ივლისი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 171 (1716)

დღიური

პარიზში გაიმართა დიდი მიტინგი ინგლისელ მემაღაროეებისადმი თანაგრძნობის ნიშნად.
— რუანის (საფრანგეთი) ნავთსადგურის მუშებმა უარი სთქვეს ნახშირის დატვირთვაზე ინგლისათვის.
— სლოვაკიის რკინისგზელთა პროტესტი ხელფასის დაკლების წინააღმდეგ.
— ამერიკაში ძლიერ არიან აღელვებული ევროპაში შეერთებული შტატებისადმი მტრული განწყობილების გაძლიერების გამო.
— საბჭოთა მფრინავები მიიღო მუსტაფა ქემალ-ფაშამ.
— აბისინიის პროტესტი იტალია-ინგლისის შეთანხმების წინააღმდეგ.

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

საქონლის ფასების დაკლება

კარზეა მომდგარი პირველი აგვისტო, რომელ რიცხვიდან, შრომისა და თავდაცვის საბჭოს ცნობილი დადგენილების თანახმად, უნდა განხორციელდეს საცალო ფასების ათი პროცენტით დაკლება. ამ დირექტივის შესასრულებლად ამჟამად გახურებულ მუშაობას აწარმოებენ მომწესრიგებელი და სავაჭრო ორგანიზაციები.

რა გზებით და საშუალებებით უნდა გატარდეს საცალო ფასების დაკლება, მომხმარებლისათვის საქონლის იაფად მიწოდება?

თავისთავად ცხადია, ეს არ შეიძლება მოხდეს ხელაღებით, მექანიკურად. საკითხისადმი ასეთი მიდგომა უეჭველად დიდ ზიანს მიაყენებდა კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობას, და საბოლოო ანგარიშით ვერავითარ დადებით შედეგებს ვერ მოგვცემდა ფასების დაკლებისათვის.

საჭიროა არა მექანიკური, არამედ მიზანშეწონილი ორგანიზაციული ღონისძიებები. ამისათვის უნდა იქნეს შესწავლილი თვითეულ სავაჭრო ორგანიზაციის (კოოპერაციის) მდგომარეობა და ის მიზეზები, რომელნიც აძვირებენ საქონელს.

პირველ ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს საქონლის ტრიალის დაჩქარებას. სიგვიანე ამ მხრივ ერთი მთავარი მიზეზთაგანია საორგანიზაციო და ზედნართი ხარჯების ზრდის და საქონლის გაძვირების. საბრუნავ კაპიტალების სიმცირის პირობებში ეს გარემოება უფრო ართულებს საქმეს და კოოპერაციას მუშაობის გაშლის საშუალებას უსპობს. ყოველგვარ ზედმეტ შუათანა ინსტანციების აცილება საქონლის გატარების დროს, მისი უმოკლესი და პირდაპირი გზით მიწოდება მომხმარებლისათვის—ასეთია ამოცანა.

გარდა ამისა, მაქსიმალურად უნდა იქნეს შემცირებული სხვა საორგანიზაციო ხარჯებიც. აქ პირველ რიგში დგას სავაჭრო აპარატის შტატების შესაძლებელ მინიმუმამდე დაყვანა და საერთოდ უკიდურესი მომჭირნეობის დაცვა ყველაფერში. კერძოდ აღსანიშნავია, რომ ბოლო უნდა მოეღოს საქონლის მისაღებად სოფლებიდან ცენტრებში დაუსრულებელ მივლინებებს. ურთიერთობა ადგილებისა და ცენტრებს შორის ისე უნდა მოგვარდეს, რომ შესაძლებელი გახდეს წერილობითი მომართვით საქონლის დაუბრკოლებლად და თავის დროზე გადაგზავნა.

აღკვეთილ უნდა იქნას კოოპერაციის ცალმხრივი გატაცება მოგებით და ამ მიზნით ბაზრის კონიუნქტურის (საქონლის ნაკლებობის) გამოყენება. კოოპერაციამ ზარალით არ უნდა ივაჭროს, მაგრამ სასტიკად იქნეს გატარებული ნორმალური კოოპერატიული მოგების პრინციპი.

ამ მიზნით, თვითეული რაიონის კოოპერატიულ ორგანიზაციის ნამდვილად აუცილებელ ხარჯების გამორკვევის ნიადაგზე, უნდა დაწესდეს მტკიცე გასაყიდი ფასები და ზედნადები პროცენტების რაოდენობა.

შემჩნეულია, რომ კოოპერატივები, უმთავრესად სოფლად, ხშირად არღვევენ ვაჭრობის კომისარიატის მიერ გამომუშავებულ ზედნართების ნორმებს. ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად უნდა დაწესდეს ფხიზელი კანტროლი როგორც მომწესრიგებელ ორგანოების და კოოპერატიულ ცენტრების, ისე თვით შეკავშირებულ მომხმარებლის მხრით; და უსასტიკესი პასუხი უნდა მოეთხოვოთ ყველა იმათ, ვინც ხელს შეგვიშლის ფასების სახელმწიფოებრივ პოლიტიკის გატარებაში.

ამავე დროს კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის უნდა შეიქმნეს მუშაობის ხელსაყრელი პირობები. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს კოოპერაციის დატვირთვა საქონლის საკმაო რაოდენობით, რაც შეამცირებს მის ზედნადებ ხარჯებს. ამასთან, კოოპერაციას საქონლის და ფულად კრედიტის დარგში უნდა მიეცეს უფრო მეტი შეღავათები, ვინემ ამას დღეს აქვს ადგილი. მრეწველობამ კოოპერაციას ნისიად უნდა მისცეს საქონლის საგრძნობი რაოდენობა და გაუგრძელოს მას ამ ნისიის გასტუმრების ვადა. საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთი უნდა იყოს ზომიერი და მისი დაფარვის ვადები უნდა შეეფარდებოდენ სამეურნეო ოპერაციების პერიოდებს.

აქვე აღინიშნოს, რომ საქონლის და და ფულადი კრედიტის გაცემა უნდა იყოს დაკავშირებული თვით კოოპერაციის მიღწევებთან. იმასთან, თუ რამდენად წარმატებით ახორციელებს იგი მის წინაშე მდგარ ამოცანებს. ეს საჭიროა როგორც კრედიტის უზრუნველსაყოფად, ისე თვით კოოპერაციის გაჯანსაღებისათვის მძლავრი სტიმულის შესაქმნელად.

ყველა ამ ღონისძიებათა გატარებით შესაძლებელი გახდება საცალო ფასების დაკლება. დრო არ ითმენს. გლეხობის მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით. ამ მომენტს ჩვენ ყოველმხრივ მომზადებული უნდა შევხვდეთ. ჩვენს წინაშე დგას უდიდესი პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანა. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ფასების შეფარდების, გლეხობის და მუშათა კლასის სამეურნეო და, მაშასადამე, პოლიტიკური კავშირის განმტკიცების ამოცანა, რომლის გადასაჭრელად უნდა იქნეს ყოველი ზომა მიღებული.

ბრძოლა საბინაო კრიზისთან

(„პრავდა"-ს მოწინავე)

ცაკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის რეზოლიუცია საბინაო აღმშენებლობის შესახებ სავსებით გამოხატავს საბინაო საკითხის სიმწვავეს. მთელ რიგ წლების განმავლობაში სამეურნეო ნგრევის შედეგათ ჩვენ ამ საკითხში მივადექით ისეთ ჩიხს, რომლიდგანაც თავის დაღწევა შეიძლება მხოლოდ დიდი ენერგიის და საშუალებათა დახარჯვით.

საბინაო კრიზისს განსაკუთრებით მწვავედ განიცდიან მსხვილი ქალაქები და სამრეწველო რაიონები. მაგრამ სამრეწველო ცენტრების გარდა ეხლა ძნელად თუ მოიპოება ისეთი დასახლებული კუთხე, სადაც ბინების ნაკლებობა არ იყოს საგრძნობი. ჩვენ უფრო მეტი უნდა ვილაპარაკოთ მსხვილ პუნქტების შესახებ, რადგან ამ პუნქტებში უკვე დიდი ხანია დარღვეულია ყოველგვარი მინიმალური ნორმები.

არ არის საკვირველი, რომ საბინაო საკითხი უდიდესი სამეურნ. და პოლიტიკურ მნიშვნელობის ამოცანად გადაიქცა. საბინაო კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლაში დაინტერესებულია ქალაქის და სამრეწველო რაიონების მთელი მოსახლეობა. ამ საკითხის გადაჭრის გარეშე შეუძლებელია მრეწველობის შემდგომი განვითარება, რომელიც მოითხოვს ახალ და ახალ მუშათა მასების ჩაბმას. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოციალიზმისაკენ სვლა მოითხოვს საბინაო კრიზისის დაძლევას და რაციონალურ საბინაო აღმშენებლობის საკითხის მოწესრიგებას. ეს აუცილებელი და ერთ-ერთი უპირველესი პირობაა წარმატებისა და გამარჯვებისათვის.

პლენუმმა ეს საკითხი მთელი თავისი მნიშვნელობით და სიგრძე-სიგანით დასვა პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე.

საბინაო აღმშენებლობის საქმისათვის დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანის მნიშვნელობის მიცემა რადიკალურად განსხვავებს ამ საკითხის დაყენებას ჩვენთან და კაპიტალისტურ ქვეყნებში. ომმა იქ საშინლად გაამწვავა საბინაო საკითხი. მუშათა ორგანიზაციების მოთხოვნილებებში მუხლი საბინაო კრიზისთან ბრძოლის შესახებ ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს სამუშაო ხელფასის და სამუშაო დღის საკითხებთან ერთად. მაგრამ ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი სახელმწიფოები ამ ბრძოლაში, თავის თავად ცხადია, მუშათა კლასს არ დაუჭერენ მხარს. ამიტომ მათ ყოველ ნაბიჯს ამ სფეროში ზერელე ხასიათი აქვს და ყველა მათი ღონისძიებები დამოკიდებულია კაპიტალისტების და წარმოებათა მეპატრონეების „კეთილ სურვილებისაგან".

ფაქტიურად ჩვენი საბინაო კრიზისიც უმთავრესად არის წარსულის მემკვიდრეობა, ცარიზმის და ბურჟუაზიის ბატონობის შედეგი. ძველი რეჟიმისაგან ჩვენ მივიღეთ მუშათა კაზარმები, რომლებშიაც წარმოუდგენელი სივიწროვე იყო გამეფებული.

ჩვენს პირობებში ბრძოლა საბინაო კრიზისის წინაამდეგ, არის არა მარტო საბინაო სივრცის გაფართოებისათვის ბრძოლა, არამედ ამასთანავე რევოლიუციის მიერ განთავისუფლებულ მუშის ჯანსაღი პროტესტი არაადამიანური და უკულტურო ძველი ცხოვრების პირობების წინააღმდეგ.

ასეთი დიდი კრიზისის დროს ხშირად აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებს, როცა თანხები იხარჯება უგეგმოდ და მხედველობაში არ არის მიღებული საჭიროების დაკმაყოფილების ხარისხი. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ნაკლი ადგილობრივ უფრო ემჩნეოდათ. ზოგიერთი ორგანიზაციებმ შეუდგენ ბინების აღმშენებლობის საქმეს და არ გაითვალისწინეს, ვინ უნდა დაკმაყოფილდეს პირველ რიგში, როგორი უნდა იყოს შენობათა ტიპი. ბანკის თანხები ყოველთვის არ იხარჯებოდა პირდაპირი დანიშნულების მიხედვით, საამშენებლო მასალათა ბაზარი ფასებს სულ ადიდებდა და არ არსებობდა გარკვეული ხაზი აღმშენებლობის განმტკიცებისათვის. ეს ნაკლი და სხვა მრავალი ასეთი რამ აფერხებდა და ხელს უშლიდა ცენტრს, რომ აღმშენებლობის საქმისათვის სწორი გეზი მიეცა.

საკითხის განხილვამ პლენუმზე გამოაშკარავა ყველა ნაკლი და უმთავრესი მათგანი აღნიშნულ იქნა გამოქვეყნებულ დადგენილებაში.

პლენუმის მიერ მიღებული პროგრამა ისეთი გეზით მიმართავს უახლოეს წლებში საბინაო აღმშენებლობის საქმეს, რომ უზრუნველყოფილ იქნას მრეწველობის ნორმალური განვითარება. სახელმწიფო საგეგმო კომისიისადმი მიცემულ დირექტივაში პლენუმი აღნიშნავს აუცილებლობას იმისა „რომ სახ.საგეგმო კომისიამ მრეწველობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში გაითვალისწინოს აგრეთვე მუშათა ბინების აღმშენებლობის საპერსპექტივო გეგმა ამავე პერიოდისათვის, რათა საბინაო აღმშენებლობა ეფარდებოდეს მრეწველობის აღდგენის გეგმას მსხვილ სამრეწველო ცენტრებში და რაიონებში". საკითხის ასეთი დასმით წინასწარ იჭრება თანხების დახარჯვის წესი. პირველ რიგში ეს თანხები უნდა მოხმარდეს მუშათა ბინების აღმშენებლობას მსხვილ სამრეწველო რაიონებში. სწორედ ამ რაიონებში საბინაო აღმშენებლობა არ შეიძლება წარმატებით იქმნას შესრულებული თანხების კონცენტრაციის, შენობათა ტიპიზაციის, აღმშენებლობისა და კრედიტის გაიაფების გარეშე.

მუდმივი ფონდის შექმნა, რომლის შესახებაც არის ლაპარაკი პლენუმის რეზოლიუციაში, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა აღმშენებლობის [illegible] მიზნები და ფორმები იქნება სავსებით ნათელი და ყოველ მუშას ექნება რწმენა იმისა, რომ უგეგმო მუშაობას ბოლო მოეღება ამ მისთვის მეტად მნიშვნელოვან საქმეში.

პროფკავშირთა მუშაობა ამ მხრივ დიდ გარანტიას წარმოადგენს. დაინტერესებულ მუშათა მასების ჩაბმა აქტიური მონაწილეობის მისაღებათ საზოგადოებრივი კონტროლის მოწყობის საქმეში და მასთან ერთად თანხების მობილიზაცია—საუკეთესო ნიადაგია პროფესიონალურ მუშაობის განვითარებისათვის.

სახელმწიფოს მხრივ დიდი თანხების გადადება, საამშენებლო ამოცანების დაქვემდებარება მრეწველობის აღდგენის მიზნებისადმი, საშუალებათა და ხელმძღვანელობის კონცენტრაციის აუცილებლობა მოითხოვს, რომ საბინაო აღმშენებლობა უმთავრესად მოქცეული იყოს სახელმწიფო სამეურნეო ორგანოებისა და აღმასკომების ხელში.

მაგრამ პლენუმის რეზოლიუცია აღმშენებლობის სხვა ფორმებსაც ითვალისწინებს კოოპერატიულ და კერძო აღმშენებლობას. უპირატესობა ეძლევა, რასაკვირველია, კოოპერაციას. პლენუმის წინადადებას—„კოოპერატიული აღმშენებლობის გაძლიერებისა" და კერძო სახლის აღმშენებელთა წახალისების შესახებ, მიზნად აქვს საბინაო აღმშენებლობის საქმეში დამატებითი თანხების შეტანა.

ბინების ტიპის არჩევის დროს ჩვენ ამჟამად მიზნათ არ ვისახავთ კარგად მოწყობილ ბინის სივრცის მაქსიმუმის მიღებას. საბინაო აღმშენებლობის პირველი საფეხური ძალაუნებურად ატარებს ბინის კრიზისთან ბრძოლის ხასიათს. შემდგომმა აღმშენებლობამ ჩვენ უნდა მოგვცეს გაუმჯობესებული მუშათა სადგომები, როგორც საფუძველი ახალი ყოფა-ცხოვრების შესაქმნელად.

თანხების რაოდენობა ჩვენ არ გვაძლევს საშუალებას ამჟამად, რომ სავსებით განვახორციელოთ მეორე მიზანი. მაგრამ იგი ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში და ეხლაც უნდა ვეცადოთ, რომ შეძლებისდა გვარად საბინაო აღმშენებლობა შეუფარდოთ ახალ ცხოვრების პირობებზე გადასვლას.

მოსკოვი, 28 ივლისი.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია მეხუთე ყრილობის შემდეგ

ლილის ყრილობამდე მთელი რეაქციური, დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა აცხადებდა, „რომ ბოლშევიზმი საფრანგეთში კვდება კომუნისტური პარტიის გახრწნის გამო".

ეს შეფასება, რომელიც წინათ თვით ჩვენი პარტიის მემარჯვენე ფრთის მეთაურებმა ჩამოაყალიბეს, იმყარებოდა ჩვენი წლიური ანგარიშის შინაარს, სადაც მრავალი უარყოფითი მხარეები იყო ჩამოთვლილი. მაგრამ თუ ჩვენი ანგარიში ერთი მხრით შეცდომებსა და ნაკლულოვანებებს აღნიშნავდა, მეორე მხრივ ის მნიშვნელოვან მიღწევებსაც აღიარებდა. რასაც ის ბურჟუები და წვრილი ბურჟუები, რომელნიც მუდამ ჩვენს გაკიცხვას ცდილობდენ, განზრახ უარყოფდენ, რადგან ისინი მუდამ ჩვენს გაქრობაზე ოცნებობდენ, თავიანთ სურვილებს სინამდვილეში ურევდენ და იყენებდნენ ჩვენს უტყუარ ცნობებს კომუნისტური პარტიის შინაურ და რიცხობრივი მდგომარეობაზე, რათა საფრანგეთის კომუნიზმის დაღუპვა დაემტკიცებინათ.

ამ წინასწარ შედგენილი აზრების მიხედვით ჩვენი პარტიის მოწინააღმდეგეები და მტრები აცხადებდნენ, რომ პარტიული ყრილობა ქ. ლილში გახრწნის ყრილობა იქნებოდა, რომ სხვადასხვა მიმართულებანი იქ ერთმანეთს შეეჯახებოდნენ და პარტია ყრილობიდან დალეწილი და არაქათ გამოლეული გამოვიდოდა. კომუნიზმის მოწინააღმდეგეები ერთხელ კიდევ სასტიკად შეცდნენ.

ქალ. ლილის ყრილობაზე კომუნისტური პარტია საყურადღებოდ განმტკიცდა მისი პოლიტიკური და იდეიური ერთობა გაძლიერდა, ისევე, როგორც მისი ხელმძღვანელობის მთლიანობა.

თუმცა ყრილობა ძლიერი შინაგანი უკმაყოფილების ხანაში იყო მოწვეული, მან გასწმინდა დამძიმებული ატმოსფერა, რომელიც მემარჯვენე და ოპორტუნისტულმა ელემენტებმა შექმნეს მთელი თვეების განმავლობაში და ბოლომდის შეინარჩუნეს კიდეც უსამართლო და გადაჭარბებული კრიტიკის წყალობით.

ჩადენილი შეცდომის მკაცრმა კრიტიკამ და ნამდვილად არსებული სუსტი მხარეების გამორკვევამ შეგვაძლებინეს წარსულის სრული ლიკვიდაცია მოგვეხდინა და პარტიის ტაქტიკასა და პოლიტიკაში მეტი გარკვეულობა შეგვეტანა; თუმცა უკიდურეს მემარცხენეობის საკითხი საბოლოოდ გარკვეული არ არის, მაგრამ მაინც უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვიმყოფებით, რომელიც დაგვაახლოებს მასებს და ჩვენი პარტიის გავლენასა და სიძლიერის შეუჩერებლივ გაზრდის.

ეს ყრილობა ახალ საფეხურს წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული და ოპორტუნისტული ტენდენციების ლიკვიდაციის გზაზე და თუმცა ჩვენი პარტია სავსებით დაზღვეული არ არის უკიდურეს მემარცხენე შეცდომებისაგან, მაგრამ ყრილობამ მაინც მნიშვნელოვანი იდეოლოგიური გაჯანსაღება გამოიწვია, რაიც მომავალში შეგვაძლებინებს, რომ ჩადენილი შეცდომები უფრო ჩქარა გამოვასწოროთ, ვიდრე ეს წარსულში ხდებოდა.

თუმცა მარქსისტული განათლების დონე სათანადო სიმაღლეზე არ სდგას, მაგრამ მაინც პარტიამ კარგა დიდი პოლიტიკური სიმწიფე გამოააშკარავა, რაიცა შეძლებას მოგვცემს კომუნისტური იდეოლოგია პარტიულ რაზმებში უფრო ადვილად და ყოველმხრივად გავშალოთ.

ამბობდენ, რომ პარტიულმა ყრილობამ დიდი დრო მოანდომა ცენტრალურ კომიტეტის ანგარიშს და მეტი ყურადღება მიაქცია წარსულს, ვიდრე მომავალს. ეს მართალია, მაგრამ ეს უმთავრესად იმ მძიმე სულიერი განწყობილების შედეგი იყო, რომელიც პარტიას აწვა. უნდა აღინიშნოს, რომ, თუ ყველა საკითხები პლენარულ სხდომებზე არ გარჩეულა, სამაგიეროდ სხვადასხვა კომისიებმა დიდი შრომა შეასრულეს და ყრილობას კონკრეტიული რეზოლიუციები წარადგინეს, რომელნიც პერსპექტივებს და ამოცანებს არკვევდენ.

კამათის სრულმა თავისუფლებამ ყრილობაზე გამოიწვია ტენდენცია, რომელიც მეტად დიდს ყურადღებას აქცევდა მეორეხარისხოვან საკითხებს, ხოლო მთავარ საკითხებს აფუჩეჩებდა. ასე მაგალითად ორატორებმა, რომელნიც წვრილმან შეცდომების გამორკვევას გამოუდგენ მეტად სუსტად გააშუქეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ტაქტიკური საკითხები (გაერთიანებული ფრონტის, მიზნობრივი შეთანხმების, რეორგანიზაციის, პროფმუშაობის და სხ.). ამისდამიუხედავად კამათი ყოველთვის საინტერესო იყო როგორც წარსულის კრიტიკული გამორკვევისა, ისე მომავლის პერსპექტივების გაშუქების მხრით.

ასე მაგალითად **კამათმა უჯრედებისა და რეორგანიზაციის ამოცანების შესახებ** გამოარკვია, რომ პარტიის აგებას წარმოების ნიადაგზე მხოლოდ ზოგიერთი გაუსწორებელი მემარჯვენეები ეწინააღმდეგებიან, რომელთა ერთად-ერთი ორატორი ყრილობაზე **გოტიე** იყო. ყრილობამ ერთხმად აღიარა, რომ წარმოების უჯრედი პარტიის ნამდვილი ორგანიული საძირკველია და აუცილებლად სცნო საქალაქო უჯრედების განვითარება და ადგილობრივი მუშაობისთვის ისეთი ორგანიზაციების შექმნა, რომელნიც სხვადასხვა ადმინისტრატიულ განაწილებას შეეფერებიან.

მეორე მხრით შინაური და საერთაშორისო მდგომარეობის გამოკვლევის დროს, **პერსპექტივების** შესახებ, სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა გამოაშკარავდა პარტიულ ყრილობასა და ამხ. **ტრენს** შორის. მე ვამბობ ყრილობასა და ტრენს შორის მეთქი მიტომ, რომ ის ერთადერთი დელეგატი იყო, რომელიც ამერიკის საწინააღმდეგო, ინგლის-ევროპიული ბლოკის იდეას იცავდა. ამ ბლოკის მეთაური, მისი აზრით, ინგლისი უნდა იყოს.

ამ საერთაშორისო საკითხმა, მნიშვნელოვანი კამათი გამოიწვია, რომლის დროს ყველა ორატორებმა ტრენის „ორიგინალური" თვალსაზრისის წინააღმდეგ გაილაშქრეს. მას უსაყვედურეს, რომ სათანადოთ ვერ აფასებს ასეთი ბლოკის შექმნის სიძნელეებს: მაგალითად ევროპიული სახელმწიფოების ინტერესთა შეჯახებას და ღრმა წინააღმდეგობებს, ხალხთა ლიგის აშკარა გაკოტრებას, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ როლს აღმოსავლეთ ევროპაში და მთელ დედამიწის ზურგზე, კომუნისტური ინტერნაციონალის და მისი სექციების გავლენას.

შინაური მდგომარეობა სერიოზული კამათის საგნად გადაიქცა მიტომ, რომ ყრილობა სამინისტროს კრიზისის დროს შესდგა. პარტიულმა ყრილობამ აღნიშნა, რომ მოსალოდნელი ფინანსიური სტაბილიზაცია **ეკონომიურ კრიზისს** გამოიწვევს, რასაც თავის მხრივ უმუშევრობა, რვა საათის სამუშაო დღის მოსპობა, ცხოვრების გაძვირება მოყვებოდა; ასეთი სტაბილიზაცია სასარგებლო იქნებოდა მხოლოდ შეძლებულ წრეებისთვის, რომელთა „ნდობის" მოპოვებას მმართველები მათი გადასახადების შემცირებით სცდილობენ ღარიბ ელემენტების ხარჯზე.

ყრილობაზე **ერთსულოვნება** სუფევდა საფრანგეთის მდგომარეობის დაფასებაში და წარმოდგენილი რეზოლიუციები და თეზისები ერთხმად მიიღეს.

ყრილობის პოლიტიკური რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ ჩვენ საფრანგეთის რევოლიუციონურ პროფკავშირებთან ერთად უნდა შევქმნათ მასსიური პროფორგანიზაცია ისე, რომ სწორათ გამოვიყენოთ საერთო ფრონტის ლოზუნგი, ორგანიზაციაში ჩავაბათ შეუკავშირებელი და უცხოეთის მუშები და ამ მიზნით გამოვიყენოთ ყოველდღიური მოთხოვნილებების პროგრამა, რომელიც ანგარიშს გაუწევს მუშების ეკონომიურ მდგომარეობას.

მეორე მხრივ დროებითი შეთანხმებით საშუალო წრეების და წვრილი ბურჟუაზიის ორგანიზაციებთან ჩვენ უნდა შევეცადოთ განსაზღვრული მიზნების განხორციელებას, მაგ. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, მივიმხროთ წვრილი გლეხები, წვრილი ვაჭრები და ხელოსნები, რომელნიც გადამწყვეტ ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის მოკავშირეები უნდა გახდენ.

პარტიის ლოზუნგები ჩამოყალიბდა და აქტუალურად გამოიხატა **„მანიფესტი მუშებისადმი"**, რომელიც ანალიზს უკეთებს თანამედროვე პოლიტიკურ და ფინანსიურ მდგომარეობას და აღნიშნავს იმ დიდ საფრთხეს, რომელიც პროლეტარიატს ემუქრება; შემდეგ მანიფესტი მოუწოდებს მუშათა კლასს შეებრძოლოს მთავრობისა და კაპიტალისტების ორმაგ შემოტევას და დაუყოვნებლივ მოითხოვოს ხელფასის მოძრავი ქსელის შემოღება და რვა საათის სამუშაო დღე.

ამ მიზნის განსახორციელებლად მანიფესტი მუშებს მოუწოდებს ორგანიზაციულად დაირაზმონ, კლასობრივი ერთობის ფრონტი განახორციელონ და გლეხკაცობას შეუკავშირდენ, რათა ფინანსიური კრიზისის გადაჭრა მოითხოვონ მსხვილი კაპიტალის ხარჯზე: ეს უნდა მოხდეს შეძლების კვალობაზე გადასახადისა, ბანკების ნაციონალიზაციისა, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიისა და მუშათა კონტროლის შემოღებით. ის აღნიშნავს, რომ ამ ზომების განხორციელება შეუძლია **მხოლოდ მუშათა და გლეხთა მთავრობას, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურას ეყრდნობა.** ეს არის პრაქტიკული მუშაობა, რომელიც ლილის ყრილობამ გააკეთა და რომელიც თვით გაუსწორებელმა კრიტიკოსებმაც კი უნდა სცნონ.

გაყვანილია სწორი ხაზი და, რადგან პერსპექტივების სერიოზული გამორკვევის შემდეგ, ამოცანები ნათლად არის ჩამოყალიბებული, პარტიას შეუძლია ახლა ფართო მასსების დაპყრობას შეუდგეს.

უკიდურესი მემარცხენეები დამობილნი არიან, ცენტრისტული მერყეობა და სოციალ-დემოკრატიული მემარჯვენე ფრთა დამარცხებულია და კატეგორიულად უარყოფილი. მაგრამ პარტია კვლავაც ფრთხილად უნდა იყოს, რომ მის განვითარებას მავნე ტენდენციები არ გადაეღობოს.

თუ სინამდვილეში, რამდენადაც ვიცით, ნათლად გამორკვეული უკიდურესი მემარცხენე ტენდენცია არ არსებობს, არსებობს მთელი რიგი ამხანაგებისა, რომელნიც მათი ტემპერამენტისა, სუსტი პოლიტიკური აღზრდისა, ან ანარქისტული განწყობილების გამო ადვილად ჩაიდენენ უკიდურეს მემარცხენეობის შეცდომებს და ამიტომ ჩვენ უნდა შევეცადოთ მათ გამოსწორებას.

როგორც ზემოდ აღვნიშნე, პარტიულმა ყრილობამ ლიკვიდაცია გაუკეთა სოციალ-დემოკრატიულ და ოპორტუნისტულ ტენდენციებს; ეს გარემოება აქ ცოტათი უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ.

მემარჯვენეებმა, რომელნიც კონფერენციამდე სდუმდენ, ხელახლა გამოაშკარავეს თავიანთი ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული სახე, როცა ყრილობის ტრიბუნაზე **გოტიე** გაგზავნეს. მისი სიტყვა სხვას არაფერს წარმოადგენდა, გარდა „ბიულეტენ კომიუნისტსა" და „რევოლიუსიონ პროლეტარიენის" გადაღეჭილი „კრიტიკისა", ის მხოლოდ შემკობილი იყო ლანძღვა-გინებით კომუნისტური ინტერნაციონალისა და მისი სექციების წინააღმდეგ, რომელთაც ორატორმა დააბრალა, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის ტკივილები და ტენდენციები აწუხებს. მის გრძელსა და ტენდენციურ სიტყვას არავითარი გამოხმაურება არ მოუპოვებია ყრილობაზე, რომელმაც ორატორის „კრიტიკის" სარჩული კარგად დაინახა, ხოლო მისი წინადადებანი უარჰყო; ამასთანავე ყრილობაზე აღინიშნა, რომ ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ტაქტიკური კითხვები, რომელნიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის მეთოთხმეტე ყრილობაზე გაირჩენ, ევროპის კომუნისტურ პარტიებში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განხილულ იქნას, როცა მათ ამისთვის სათანადო საფუძველი აქვთ.

ამისდამიუხედავად გოტიეს გამოსვლის ფაქტი და, უწინარეს ყოვლისა, მისი აგრესიული ხასიათი ამტკიცებს, რომ თუმცა მემარჯვენეები გათიშულნი და რიცხობრივად შემცირებულნი არიან, მაგრამ თავიანთ თავს არ გრძნობენ განიარაღებულად, და თუმცა იმ მუშების დიდმა ნაწილმა, რომელნიც წინად მათ მისდევდენ, ისინი მიატოვა და პარტიის დისციპლინას დაემორჩილა, მაგრამ კიდევ დარჩა პატარა ჯგუფი, რომელიც შესაფერ დროს ელის, რომ ხელახლა შემოტევა დაიწყოს.

ყოველს შემთხვევაში მემარჯვენე ფრთა იდეოლოგიურად შემუსვრილია და ნაკლები იმედი უნდა ჰქონდეს გამარჯვებისთვის. სწორი პოლიტიკა მათ სავსებით მოსპობს.

მემარჯვენე მუშური ელემენტები, რომელნიც ყრილობის თეზისებსა და რეზოლიუციებს უპირობოთ მიიღებენ და გულწრფელად იმუშავებენ პარტიისთვის, მოწოდებულნი არიან, რომ [illegible] ძღვანელო ორგანოებში. ასე მაგალითად ქვედა სენის საოლქო კომიტეტში მემარჯვენე მუშებიც აირჩიეს; შემდეგ ცენტრალურ კომიტეტში შეიყვანეს ამხ. **ენგლერი**, რომელმაც განაცხადა, რომ ეთანხმება კომუნისტურ ინტერნაციონალის თეზისებს: მისგან ჩვენ მოვითხოვეთ, რომ სცნოს ლილის ყრილობის რეზოლიუციები.

რაც შეეხება, **ცენტრისტულ** ტენდენციას, მან გამოაცხადა, რომ „ტაქტიკურ" ოპოზიციას იცავს, საკმაოდ დაბნეული თეორია წარმოადგინა დემოკრატიული ცენტრალიზმის შესახებ, უარყო ყოველივე ნათესაობა მემარჯვენეებთან და თანხმობა გამოსთქვა ლოიალურ თანამშრომლობაზე პარტიულ ხელმძღვანელო ორგანოებთან. ბოლოს ცენტრის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ „მიმდინარეობას" აღარ აქვს ცალკე არსებობის უფლება მიტომ, რომ პარტიის შინაგანი რეჟიმი და პოლიტიკური ხაზი მათ სავსებით აკმაყოფილებს.

მართლაც როცა ცენტრის ანუ ჰუმბერლომორენის მიმართულებამ, რომელსაც რამდენიმე თვის წინად კიდევ სიცოცხლის ნიშანწყალი ეტყობოდა, დაინახა, რომ ის დამარცხებულია, „სტრატეგიული" უკან დახევა დაიწყო, ხოლო მისი წარმომადგენლების შეყვანამ ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანიზაციებში დაამთავრა მისი დაშლა.

ეს ჩვენ ნებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ლილის ყრილობა **საფეხურს წარმოადგენს ჩვენი პარტიის განმტკიცებისაკენ**

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ყრილობამ საბოლოოდ დაგმო დიქტატურული და მექანიკური ზომები, რომელნიც ჯერ კიდევ წარსული წლის 1 და 2 დეკემბრის კონფერენციამ უარჰყო.

პარტიულმა ყრილობამ კიდევ უფრო გააუმჯობესა და დაამთავრა ის ზომები, რომელნიც უკანასკნელმა კონფერენციამ მიიღო, რათა ნორ- [illegible] კავშირებთან და პარტიის სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის.

ზოგიერთი ამხანაგები, რომელნიც შეცდომებსა და დიქტატურული ყოფაქცევისთვის განსაკუთრებით პასუხისმგებელნი არიან, გამოწვეულ იქნენ პოლიტიკური ბიუროსა და ცენტრალური კომიტეტიდან. პოლიტიკური ბიურო შესამჩნევად შეცვლილი და გაფართოებულია: წინანდელი 11 წევრის მაგივრად ახლა ის 13 წევრისგან შესდგება. ცენტრალური კომიტეტში 80 კაცი შედის. ასეთი გაფართოება საჭირო გახდა იმისათვის, რომ პროვინციის წარმომადგენლობა გაძლიერდეს პარტიის სახელმძღვანელო ორგანოებში.

ეს ცვლილებანი აუცილებელი იყვნენ, ისინი შეეფერებიან პოლიტიკურ და ტაქტიკურ რეზოლიუციებსა და საორგანიზაციო ამოცანებს და პარტიის შინაგან ცხოვრებასა და განვითარებას ნორმალურ კალაპოტში აყენებენ.

საჭირო იყო, რომ წარსულის სრული ლიკვიდაცია მომხდარიყო, რათა პარტიასა და მის ხელმძღვანელობას შეძლება მისცემოდა სავსებით მომავლისკენ ებრუნებია პირი: ეს მომავალი კი რევოლიუციურ ქარიშხალსა და დიდ ბრძოლებს გვიქადის, რომელშიც ერთი მეორეს დაუპირისპირდებიან ბურჟუაზიისა (პოლიცია, ფაშისტები, ბურჟუაზიული გვარდია) და პროლეტარიატის ძალები. და ამ ბრძოლების დროს, როცა პროლეტარიატის ბედი უნდა გადასწყდეს, საჭირო იქნება დიდი ენერგიისა, თავდაჭერილობის გამოჩენა.

ქალ. ლილის ყრილობა თავისი მტკიცე ყოფაქცევისა, სერიოზული კამათისა და ერთსულოვნების გამო პერსპექტივების და ამოცანების გამორკვევაში იმედს გვაძლევს, რომ ჩვენი პარტია იდგომება თავისი მოწოდების სიმაღლეზე, როგორც პროლეტარიატის მოწინავე რაზმი და ღირსეულად შეასრულებს თავის ისტორიულ ვალდებულებას.

პიერ ხემარ.

(საფრ. კომპარტიის გენერალური მდივანი).

საგანგებო წესები ინგლისში გაგრძელებულია

მემაღაროების ის ნაწილი, რომლებმაც განაახლა მუშაობა, კუკის მოწოდების შემდეგ ისევ გაიფიცა

პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის გამწვავება.—მდგომარეობა ბალკანეთზე.--ბრძოლა დამასკთან

შეერთებულ შტატებში დიდ მღელვარებას იწვევს ევროპაში მტრული დამოკიდებულების ზრდა ამერიკისადმი

ინგლისში ბრძოლა გრძელდება

საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება

პარიზი, 28 ივლისი. ჯოინსონ ხიქსმა თემთა პალატას წარუდგინა მეფის წერილი ინგლისში საგანგებო მდგომარეობის ერთი თვით გაგრძელების შესახებ.

ბერლინი, 28 ივლისი. ლონდონიდან მოსულ ცნობის მიხედვით, **საგანგებო მდგომარეობა ინგლისში გაგრძელებულია.**

კუკის მოწოდების შემდეგ

ლონდონი, 27 ივლისი. უორვიკშირის 4 მაღაროს მუშები, რიცხვით 2.000 მდე კაცი, რომელნიც ამ ცოტა ხნის წინად დაბრუნდენ სამუშაოზე, კუკის მოწოდების შემდეგ კვლავ გაიფიცენ.

სოლიდარობის მიტინგი პარიზში

პარიზი, 27 ივლისი. 27 ივლისს პარიზში შესდგა დიდი მიტინგი პროფმოძრაობის მთლიანობის ლოზუნგით, რომელსაც დაესწრო 10.000 კაცამდე.

მიტინგზე გამოვიდენ: ინგლისის სამთამადნო მუშების ფედერაციის სახელით კომუნისტი **არნოტი**, ფარმაცევტების რეფორმისტული ფედერაციის მდივანი მორიესი, სახელმწიფო მოსამსახურეთა ავტონომიურ კავშირის მდივანი **პიკემალი**, კომუნისტი **რეინო** და სხ.

ერთხმად მიღებული რეზოლიუცია მოუწოდებს მუშებს შესწყვიტონ ნახშირის დატვირთვა ინგლისისათვის და შეამცირონ ნახშირის ამოღება კონტინენტზე. რეზოლიუცია თავდება მოწოდებით ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტისადმი.

არ ტვირთვენ ნახშირს

პარიზი, 27 ივლისი. რუანის ნავთსადგურის მუშებმა არ დატვირთეს ნახშირი ინგლისის გემებზე.

სოლიდარობის ნიშნათ

ბერლინი, 28 ივლისი. საფრანგეთის მემაღაროელ - კომუნისტებმა დაადგინეს გამოაცხადონ საერთო გაფიცვა 19 აგვისტოს, ნიშნათ სოლიდარობისა ინგლისელ ამხანაგებთან. ამავე დროს წაყენებული იქნება მოთხოვნილება შრომის ხელფასის გადიდების შესახებ.

ლიბერალების ოინები

ლონდონი, 27 ივლისი. ინგლისის ლიბერალთა ბელადები ცდილობენ გამოიყენონ ინგლისის მრეწველობაში შექმნილი მდგომარეობა პოლიტიკური კაპიტალის შესაძენად.

ლოიდ-ჯორჯის ინიციატივით შესდგა ლიბერალური კომისია მრეწველობის მდგომარეობის გამოსარკვევად. კომისიამ უნდა გამონახოს საშუალებები ინგლისის გადასარჩენად სამრეწველო კრიზისისაგან.

რა ხდება პოლონეთში

ბიუჯეტის წონასწორობისათვის

ვარშავა, 27 ივლისი. სამხედრო მრეწველობის საკითხების შესახებ თათბირის გამო ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია:

„ბიუჯეტის წონასწორობის დაცვის მიზნით, თათბირმა დაადგინა ხელი შეუწყოს სამხედრო მრეწველობის მხოლოდ იმ დარგებს, რომელთა ნაწარმოები ქვეყნის შინაურ ბაზარზე სალდიბოდა მშვიდობიანობის დროს, მაგ. აზოტის ნივთიერებათა წარმოებას".

ცნობაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ თათბირის დადგენილება საუკეთესო დასაბუთებაა პოლონეთის მშვიდობიანი პოლიტიკისა.

მშვიდობიანობა სურთ

ვარშავა, 27 ივლისი. მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთები უარყოფენ ხმებს პოლონეთის აგრესიული განზრახვების შესახებ.

სამხედრო სამინისტროს ოფიციოზი „პოლსკა ზბროინა" აცხადებს, რომ საბჭოთა პრესის ცნობები პოლონეთის აგრესიული ზრახვების შესახებ „ქარის წისქვილებთან ბრძოლას წარმოადგენს".

წერილი თავდება სიტყვებით: „რა საჭიროა უმიზნო განგაში, რატომ არ უნდა ვიცხოვროთ მშვიდობიანად".

პოლონეთის მზადება ლიტვის საზღვარზე

ბერლინი, 28 ივლისი. „ლოკალ ანცეიგერის" ვარშაველი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ **საბჭოთა პრესის ცნობა ლიტვის საზღვარზე პოლონეთის სამხედრო მზადების შესახებ, სავსებით სწორია. გენერალმა მინკევიჩმა და სხ. პილსუდსკის ერთგულმა ოფიცრებმა უკანასკნელ ხანებში შემოიარეს საზღვრების ზონა. ვილნოში, გენერალ რიდა-სმიგლის უფროსობით, შეგროვებულია რჩეული სამხედრო ნაწილები.**

გენ. მინკევიჩის განცხადება

ვარშავა, 27 ივლისი. გენერალმა მინკევიჩმა, რომელიც ლიტვის საზღვრების ზონიდან დაბრუნდა, განაცხადა, რომ ცნობა იმის შესახებ, რომ დრუსკენიკაში იგი შეხვდა პილსუდსკის და ჟელიგოვსკის, სიმართლეს არ შეეფერება. მინკევიჩის სიტყვით, იგი შეხვდა დრუსკენიკაში პილსუდსკის, მაგრამ ეს შეხვედრა შემთხვევითი იყო და პოლიტიკური ხასიათი არ ქონია. ჟელიგოვსკის ვილნაში ყოფნის შესახებ მან გაზეთების საშუალებით გაიგო.

დასასრულ მინკევიჩმა განაცხადა, რომ პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე „საერთოდ სიწყნარეა".

მემარჯვენეები კმაყოფილი არიან

პუანკარეს ფინანსიური პროგრამა

ბერლინი, 28 ივლისი. პუანკარეს ფინანსიურ პროგრამის მიხედვით გადიდებულია პირდაპირი გადასახადები, მომატებულია ტელეფონ-ტელეგრაფის ტარიფები, შემოღებულია სახელმწიფო მონოპოლია ტელეგრაფზე და ტელეფონზე, დაბეგრილია იმპორტი და გადიდებულია საშემოსავლო გადასახადები. უნდა შემცირდეს სამოქალაქო მოსამსახურეების ხელფასი და ჯარისკაცთა პენსიები.

ფრანგული პრესა პუანკარეს შესახებ

პარიზი, 28 ივლისი. ფრანგული გაზეთები აღნიშნავენ, რომ დეპუტატთა პალატამ გუშინდელ სხდომაზე დიდი უმრავლესობით ხმა მისცა კაბინეტს და ეს ერთი შემთხვევაა ეხლანდელ დეპუტატთა პალატაში, როდესაც ასეთი უმრავლესობა მიემხრო მთავრობას.

მემარცხენეთა ორგანო „ევრ"-ი მადლობას უხდის პუანკარეს, რადგან მან მშვიდობიანობა დააბრუნა ნაციონალურ ატმოსფერაში.

„ეკო დეპარი" სწერს, რომ **გუშინ დამარხულ იქნა მემარცხენე ბლოკი, რომელიც ვერასოდეს ვერ აღსდგებაო.**

რენოდელის გოდება

პარიზი, 27 ივლისი. რენოდელი „ვი სოსიალისტ"-ის ფურცლებზე სწერს:

„რაულ პერე—დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე. პუანკარე — პრემიერი, ერიომ კი თავისი ნებით დასტოვა გამარჯვებულის ეტლი. იწყება ისტორიის ახალი ფურცელი. სოციალისტური პარტია შეიძლება დარჩეს განცალკევებული და ამიტომ მან უნდა მიმართოს ხალხს".

„ძირს პუანკარე"!

პარიზი, 27 ივლისი. პუანკარეს დეპუტატთა პალატის ტრიბუნაზე გამოსვლას კომუნისტი - დეპუტატები შეხვდენ ინტერნაციონალის სიმღერით და ყვირილით: „ძირს"!

„სიმპატიის უფლება"

პარიზი, 28 ივლისი. „ნიუ-იორკ-გეროლდი" ეხება რა საერთაშორისო ვალების საკითხს, „ომისაგან განადგურებულ საფრანგეთს" ამერიკელების სიმპატიის ღირსად თვლის.

პოლონეთი და საფრანგეთი

პარიზი, 28 ივლისი. ზალესკიმ და ბრიანმა დეპეშები გაუგზავნეს ერთმანეთს, რომლებშიაც ისინი გამოსთქვამენ სურვილს, რომ გაგრძელდეს მეგობრული თანამშრომლობა საფრანგეთისა და პოლონეთის მთავრობის შორის.

ინგლისის პრესა და პუანკარე

ბერლინი, 28 ივლისი. ინგლისის პრესა სკეპტიკურათ უყურებს პუანკარეს ფინანსიურ პროგრამას; ის არ სთვლის შესაძლებლად ფრანკის სტაბილიზაციას უცხოელი კაპიტალის დაუხმარებლად.

ბრძოლა დამასკთან

პარიზი, 27 ივლისი. გაზეთების ცნობით, დამასკის ირგვლივ დიდი ბრძოლები სწარმოებს. საფრანგეთის გარნიზონს ალყა შემოარტყეს აჯანყებულებმა. შემდეგ მოსულმა ჯარის ნაწილებმა გარნიზონი გაანთავისუფლეს.

ევროპა და ამერიკა

დემონსტრაცია შეერთებულ შტატების წინააღმდეგ

ბერლინი, 28 ივლისი. **საფრანგეთ-ამერიკის სამხედრო ძეგლი, რომელიც შეერთებულ შტატების ბაღში იდგა პარიზში, მუშებმა დაანგრიეს.** დაპატიმრების დროს მათ განაცხადეს, რომ მათ ამით უნდოდათ დაეხასიათებიათ შეერთებულ შტატების დამოკიდებულება სამხედრო ვალებთან.

კულიჯის რჩევა

პარიზი, 28 ივლისი. პრეზიდენტი კულიჯი, სიტყვაში, ევროპაში ანტიამერიკულ მანიფესტაციების შესახებ, ურჩევდა ამერიკელ ტურისტებს, რომ უცხოეთის სახელმწიფოებში, კერძოდ საფრანგეთში, ცხოვრების პირობებს თანაგრძნობით შეხვდენ, და თავი შეიკავონ ამ ქვეყნებისათვის არასასურველ კრიტიკისაგან.

ამერიკა აღელვებულია

ნიუ-იორკი, 27 ივლისი. **შეერთებულ შტატების პოლიტიკურ წრეებში და პრესაში დიდი მღელვარებაა ევროპაში შეერთებული შტატებისადმი მტრული განწყობილების ზრდის გამო.** ამერიკის პრესა მწუხარებით აღნიშნავს ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მტრულ განწყობილებას შეერთებულ შტატების მიმართ.

რუმინეთი ჯარებს აგროვებს

ბულგარეთის საზღვარზე

ვენა, 27 ივლისი. რუმინული გაზეთების ცნობით, რუმინიის მთავრობამ, იმ საბაბით, რომ რუმინიის საზღვრებზე იმყოფებიან ბულგარელი აჯანყებულები, ბრძანება გასცა, რომ დობრუჯაში დუნაის ხაზზე შეგროვებულ იქნეს ჯარების დიდი რაოდენობა.

ბულგარეთი თავს იმართლებს

ბულგარეთის მთავრობის ორგანო ჩიჩერინის ნოტის შესახებ

ვენა, 27 ივლისი. ეხება რა უცხოეთის პრესის ცნობას იმის შესახებ, რომ ამხ. ჩიჩერინმა საპროტესტო ნოტით მიმართა ბულგარეთის მთავრობას, რუსეთის ემიგრანტების საბჭოთა კავშირში უპასუხისმგებლოდ გამოგზავნის გამო, ბულგარეთის მთავრობის ორგანო „დემოკრატიჩესკი სგოვორ" სწერს:

„ბულგარეთის მთავრობა არ აგზავნის რუს ლტოლვილებს რუსეთში, მაგრამ ხელს არ უშლის მათ, თუ ისინი გამოსთქვამენ უკან დაბრუნების სურვილს. აძლევს რა რუს ლტოლვილებს თავშესაფარს, ბულგარეთს არ აქვს შესაძლებლობა, რომ შეამსუბუქოს მათი ხვედრი, ვინაიდან ბულგარეთი უიმისოდაც დატვირთულია სარეპარაციო ვალდებულებებით".

საბჭოთა მფრინავები ოსმალეთის პრეზიდენტთან

ანგორა, 27 ივლისი. 26 ივლისს მფრინავი მეჟრაუკი და „პრავდა"-ს თანამშრომელი კოლცოვი მიიღო ოსმალეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა. მიღებას დაესწრენ გარეშე საქმეთა მინისტრი ტევფიკ-რუშდი-ბეი და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სურიცი. საუბარი 1 საათს გაგრძელდა.

ინგლის-ჩინეთის ურთიერთობა

ბალფურის განცხადება

ლონდონი, 28 ივლისი. გუშინ ლორდთა პალატაში ლორდ პალმურის მიერ აღძრულ კამათში საპასუხოთ გამოვიდა ლორდი ბალფური, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობას, რამდენადაც შესაძლებელია, სურს არ ჩაერიოს ჩინეთის საქმეებში. ჩინეთი ამჟამათ განიცდის უდიდეს გაჭირვებას, რაც აუცილებლად გავლენას ახდენს იმ ერებზე, რომლებსაც ჩინეთთან აქვთ კომერციული და დიპლომატიური დამოკიდებულება. ჩინეთში ამჟამათ არ არსებობს ცენტრალური ხელისუფლება. პეკინის ხელისუფლების გავლენა ვერ ვრცელდება ქვეყნის უდიდეს ნაწილზე. ეს მდგომარეობა, ინგლისის მთავრობის თვალსაზრისით, იმდენად არანორმალური მოვლენაა, რომ თვით ჩინეთს აყენებს უდიდეს ტანჯვას და ქმნის სხვა სახელმწიფოებისათვის დიდ დაბრკოლებებს ჩინეთთან ურთიერთობის დროს. მაგრამ ინგლისი ვერ მოუღებს ბოლოს ასეთ მდგომარეობას. ჩინელები თვითვე უნდა ზრუნავდენ თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ჩინელები, როგორც ბალფურს ჰგონია, ბევრ შეცდომებს სჩადიან, მაგრამ ის, რაც ინგლისის მთავრობას გულწრფელად სურს—ეს არის ჩინეთთან თანამშრომლობა და იგი მზად არის დაეხმაროს იქ, სადაც ეს დახმარება შესაძლებელია კანონიერი გზით.

ინგლისი ცნობს,—რომ ინგლისსა და ჩინეთს საერთო ინტერესები აქვთ იმდენათ, რამდენათაც საკითხი შეეხება კომერციულსა და ეკონომიურ ურთიერთობას. რაც შეეხება ქვეყნის შინაური საქმეების მოწესრიგებას—ინგლისს იმედი აქვს, რომ ჩინელებს არავითარ დაბრკოლებას არ შეხვდებიან ინგლისის მხრით თავისი საკუთარი საქმეების წარმართვაში.

შემდეგ ბალფური გადადის ირაკის საქმეებზე და ამბობს: ბრიტანეთის მთავრობის სურვილია—ირაკი ისე დაწინაურდეს, რომ გახდეს სრულიად დამოუკიდებელი და შესძლოს თავის-თავის დაცვა როგორც გარეშე მტრებისა, ისე შინაური არეულობისაგან.

რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის იმპერიაში შემავალ სახელმწიფოების დამოკიდებულებას ინგლისთან, ბალფურმა განაცხადა, რომ არ შეიძლება საიმპერიო კონფერენციაზე შეტანილი არ იქნეს განსახილველად დომინიონების ინგლისთან დამოკიდებულების საკითხი. მისი პირადი აზრია, რომ ეს დამოკიდებულება აუცილებლობის გამო დაფუძნებულია თანასწორობის ნიადაგზე. არავის არ შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ამ თავისუფალ სახელმწიფოთა კავშირში რომელიმე მათგანი დანარჩენებზე მაღლა იდგეს, რომელიმე მათგანმა შეიძლება მეტი პასუხისმგებლობა იკისროს, ვინემ დანარჩენებმა, რომელიმე მათგანი შეიძლება საერთაშორისო გართულების ცენტრთან ახლო იდგეს, ვინემ დანარჩენი, რომელიმე მათგანს შეიძლება მეტი საშიშროება მოელოდეს, ვიდრე დანარჩენებს, მაგრამ ყველანი მაინც თანასწორი არიან. აი სწორედ ამაში არის ბრიტანეთის სახელმწიფოს მთავარი შინა- [illegible]



ამხ. უნშლიხტის და ამხ. ბუბნოვის დანიშვნა

მოსკოვი, 28 ივლისი. საკავშირო სასავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დანიშნა საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ ამხ. უნშლიხტი, და სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარიატის რწმუნებულად საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან ამხ. ბუბნოვი, გაანთავისუფლა რა ამ თანამდებობიდან ლაშევიჩი.

პარტიის მთლიანობისათვის

„ჰუმანიტე“ ცეკას პლენუმის შესახებ

პარიზი, 27 ივლისი. სრულიად საკ. პარტიის ც. კ. პლენუმის შესახებ ჰუმანიტე წერს: „დისციპლინა სავალდებულოა არა მარტო პარტიის უბრალო წევრთათვის, არამედ ბელადებისათვისაც. მსჯავრდადებულთ სავსებით ავიწყდებოდათ მოვალეობანი, რომელსაც დისციპლინა აკისრებდა მათ. პარტიის მე-14 ყრილობაზე წარმოშობილმა უთანხმოებამ მისცა ოპოზიციას ფრაქციული ბრძოლის საბაბი. საბჭოთა კავშირში დისციპლინა ყველაფერია. წინააღმდეგ შემთხვევაში გზა ეხსნება კონტრრევოლიუციას“.

ხარკოვის პარტაქტივის რეზოლიუცია

ხარკოვი, 28 ივლისი. ხარკოვის ორგანიზაციის ორათასიანმა აქტივმა მოისმინა და განიხილა რა უკრაინის კომპარტიის ცეკას გენერალურ მდივნის ამხ. **კაგანოვიჩის** მოხსენება საკ. კომპარტიის ცეკას და ცენტ. საკონტ. კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ მიიღო დადგენილება, რომელიც მთლიანად და სავსებით იწონებს პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებებს.

კრება,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—აღნიშნავს საკ. კომპარტიის ცეკას მტკიცე ლენინისტურ ხელმძღვანელობას, რომელიც უზრუნველყოფს პარტიის მე-14 ყრილობის დადგენილებათა განხორციელებას, და ამასთან ერთად გადაჭრით ჰკიცხავს ოპოზიციის დეზორგანიტარულ და ფრაქციულ მოქმედებას.

ლენინგრადის პარტაქტივის რეზოლიუცია

ლენინგრადი, 28 ივლისი. ლენინგრადის პარტაქტივის მიერ ამხ. **ბუხარინის** მოხსენების მიხედვით გამოტანილ რეზოლიუციაში ნათქვამია: მოისმინა რა ამხ. ბუხარინის მოხსენება ცეკას პლენუმის შედეგების შესახებ, ლენინგრადის ორგანიზაციის პოლიტიური აქტივი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ქვეყანა პარტიის და ცეკას ხელმძღვანელობით, მიუხედავად დროებითი სამეურნეო გაჭირვებისა, გადაუხვევლად და შეუჩერებლად მიდის წინ სამეურნეო აღორძინების, ქვეყნის ეკონომიკაში სოციალისტური ელემენტების როლის გაძლიერების და პროლეტარიატის დიქტატურის თანდათანობითი განმტკიცების გზაზე.

შემდეგ კრება აღნიშნავს, რომ შინაპარტიულმა ოპოზიციამ მე-14 ყრილობის შემდეგ არა თუ შეაჩერა, პირიქით კიდევ უფრო გაამწვავა ბრძოლა იმით, რომ მიმართა ბრძოლის ჯერ გაუგონარი ინტერპარტიულ მეთოდებს. კრება ხაზს უსვამს ყოვლად შეუწყნარებელ მოქმედებას ოპოზიციისას, რომელმაც თავისი ფრაქციის მოსაწყობად გამოიყენა კომინტერნის აღმასკომის აპარატი, და სავსებით ეთანხმება ცეკას პლენუმის დადგენილებას ზინოვიევის შესახებ, რომელიც პასუხისმგებელია პარტიის წინაშე კომინტერნის აპარატის მოქმედებისათვის.

კრება განსაკუთრებით ხაზს უსვამს პოლიტიკურ უპრინციპობას ზინოვიევის და მისი მომხრეებისას, რომელნიც უკანასკნელი დისკუსიის დროს სრულიად უსაფუძვლოდ ბრალსა სდებენ ცეკას უმრავლესობას ანტიდემოკრატიზმში. „მყვირალა მემარცხენეთა ფრაზების“ ქვეშ ამოფარებულ ოპოზიციის წარმომადგენელნი არსებითად მხარს უმშვენებენ მემარჯვენე მენშევიკურ ოპოზიციონურ ელემენტებს. პარტიის რიგებში განხეთქილების შექმნის მიზნით, ოპოზიციამ თანამედროვე საერთაშორისო მოძრაობის შესახებ წამოაყენა ანტილენინური იდეები.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, ლენინგრადის ორგანიზაციის პარტაქტივი სავსებით ეთანხმება ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის უკანასკნელ პლენუმის დადგენილებას და ამავე დროს მოითხოვს უსასტიკესი ზომების მიღებას ოპოზიციის „რასკოლნიკური“ მოქმედების წინააღმდეგ. ამასთან ერთად კრება საჭიროდ სცნობს შინაპარტიული დემოკრატიის თანდათანობით გატარებას. რეზოლიუცია მიღებულია ერთხმად.

ამხ. ძერჟინსკის ხსოვნისათვის

მოსკოვი, 28 ივლისი. დღეს ექსპერიმენტალურ თეატრში შესდგა საბჭოთა კავშირის და საბჭოთა რუსეთის უმაღ. სამეურ. საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა მრეწველობაში მომუშავე მუშაკებთან ერთად ამხ. ძერჟინსკის ხსოვნის აღსანიშნავათ.

ამხ. **პიატაკოვმა** დაახასიათა ძერჟინსკი, როგორც მრეწველობის ბელადი,—რომელმაც შესძლო სამეურნეო მუშაკების თავის გარშემო შემოკრება.

ამხ. **კვირინგმა** დაგვიხატა ძერჟინსკი, როგორც იდეალური მებრძოლი მუშებისა და გლეხების დაკავშირებისათვის. მან გააცნო კრებას ძერჟინსკის მოღვაწეობა ჩეკაში, ტრანსპორტზე და მრეწველობაში.

ამხ. **მანცევმა** მოიყვანა მთელი რიგი ფაქტებისა, რომლებიც ახასიათებენ ძერჟინსკის, როგორც განსაკუთრებული გონებისა და ნებისყოფის ადამიანს.

დასასრულ არჩეულ იქნა კომისია ამხ. ძერჟინსკის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

რაკოშისა და ვაგის პროცესი

ვენა, 27 ივლისი. ჰუნგრეთის რევოლიუციონერების პროცესზე გამოქვეყნებულ იქნა საბუთები, რომელნიც ავსებენ მოწმეების ჩვენებებს. თავმჯდომარემ გამოაქვეყნა კომინტერნის მთელი რიგი თეზისები „დემოკრატიისა და ბოლშევიზაციის შესახებ“ და სოციალისტურ მუშათა პარტიის მოწოდებები, რომლებიც შეტანილი იყო საბრალმდებლო მასალებში.

პროკურორის საბრალდებულო სიტყვა

ვენა, 27 ივლისი. უნგრეთის რევოლიუციონერთა პროცესზე დასრულდა დამატებითი გამოძიება. სასამართლომ უარყო რაკოშის შუამდგომლობა,—რომ დაეკითხათ პროცესზე დამსწრე ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის კომუნისტი დეპუტატი კრებბიხი ჩეხის კომპარტიის პროპაგანდის საკითხის შესახებ ერთი თვითგამორკვევის უფლებისათვის. სასამართლომ უარყო აგრეთვე ვეინბერგერის შუამდგომლობა—რომ მოწმეთ მოწვეული ყოფილიყო უნგრეთის ფაბრიკის მეპატრონეთა კავშირის გენერალური მდივანი ფენიე, და უნგრეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გრაცი, საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადების შესახებ. სასამართლოს გამოძიების შემდეგ დაიწყო მხარეების სიტყვები. პროკურორმა თავის სიტყვაში ბრალდება დაანაწილა კატეგორიებათ; ამავე დროს შეუძლებლად სცნო საბუთების წამოყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ბრალდებულებს შეიარაღებული აჯანყების მოწყობა უნდოდათ. რადგანაც კომუნისტები ყაჩაღები და კლასიური შუღლის გამომწვევნი არიან, თავის-თავად ცხადია, რომ მათი მიზანი არის შეიარაღებული აჯანყების მოწყობაო. კომპარტიის კადრები შესდგება პროლეტარიატის ყველაზე დაბალ ფენებიდან. შემდეგ პროკურორმა შეურაცხმყოფელი და ბინძური სიტყვები იხმარა უნგრეთის პროლეტარული დიქტატურისა, რუსეთის რევოლიუციისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ბრალდებულები პროტესტს აცხადებდენ ასეთი გამოსვლის წინააღმდეგ, მაგრამ სასამართლო მათ მოუწოდებდა წესიერებისაკენ. ბრალდებულთა კომუნისტური ჯგუფი ცდილობდა აღედგინა უნგრეთში საბჭოების დიქტატურაო. რაც შეეხება ვაგის ჯგუფს, თუმცა მათ არ სცნეს თავი კომუნისტებათ, მაგრამ ისინი მაინც მხარს უჭერენ კლასობრივ ბრძოლის აუცილებლობას; კლასობრივი ბრძოლის ხსენება უნგრეთში სახელმწიფოს მოღალატეობა არისო. სოციალისტურ მუშათა პარტიის მოთხოვნილება, რომ იცნონ საბჭოთა კავშირი—დანაშაულობათ ითვლებაო. უნგრეთი არასოდეს არ იცნობს რუსეთს, რომელთანაც ის საომარ განწყობილებაშია. ამიტომ საბჭოთა კავშირის ქებათა-ქება ბრალდებულების პირიდან სამშობლოს მოღალატეობათ ჩაითვლებაო. პროკურორმა მოითხოვა რაკოშისა და ვეინბერგერის უმაღლესი სასჯელით დასჯა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით. ამას გარდა პროკურორი სთხოვს სასამართლოს ჩაუთვალონ ზედმეტ დანაშაულობათ რაკოშსა და ვეინბერგერს, რომ ეს ორი ბრალდებული არის მოგზავნილი სამტროდ განწყობილ სახელმწიფოდან. დანარჩენ კომუნისტ ბრალდებულთათვის პროკურორი მოითხოვს ნორმალურ მაქსიმალურ სასჯელს. ვაგის ჯგუფის შესახებ პროკურორმა სცნო დანაშაულობათა შემსუბუქება იმ გარემოებით, რომ ეს ჯგუფი გამორიცხული იყო სოციალისტური პარტიიდან და იძულებული იყო რევოლიუციონურ გზას გაყოლოდა.

რადიჩის პროგრამა

ვენა, 27 ივლისი. სტეფანე რადიჩმა განაცხადა, რომ სამხრეთ-სლავიამ ერთა ლიგის დახმარებით უნდა დაიბრუნოს ფიუმე და შეეცადოს ბულგარეთის გაერთიანებას. სამხრეთ-სლავიის საგარეო პოლიტიკა, რადიჩის სიტყვით, საბჭოთა კავშირთან დაახლოვებისაკენ უნდა იყოს მიმართული, ვინაიდან მხოლოდ საბჭოთა კავშირთან მეგობრობა მისცემს სამხრეთ-სლავიას იმის გარანტიას, რომ იტალიის საფრთხე მისთვის საშიში არ იქნება.

ჰოჰენცოლერნების ქონება

პრუსიის პრემიერის წინადადება

ბერლინი, 27 ივლისი. პრუსიის პრემიერმა **ბრაუნმა** ჰოჰენცოლერნების მთავარ რწმუნებულს მიმართა წერილით, რომელშიაც აცხადებს, რომ თანახმაა განაახლოს მოლაპარაკება ჰოჰენცოლერნებთან კონფისკაციაქმნილ ქონების ანაზღაურების შესახებ. ბრაუნი აცხადებს, რომ მოლაპარაკებას საფუძვლად უნდა დაედვას არა ის შეთანხმება, რომელიც მიღწეულ იქნა პრუსიის მთავრობასა და ჰოჰენცოლერნებს შორის, არამედ გერმანიის მთავრობის პროექტი (რომელიც, როგორც ვიცით, მთავრობამ უკან წაიღო რეიხსტაგიდან მესამე წაკითხვის წინ.)

დ. ფერბენკსი „პოტიომკინის“ შესახებ

პრაგა 27 ივლისი. პრაგაში გავლის დროს დუგლას ფერბენქსმა პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ „ჯავშნოსან პოტიომკინს“ სთვლის საუკეთესოდ იმ ფილმებს შორის, რომელიც მას ოდესმე უნახავს.

ამ განცხადებამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

მექსიკელი ხუცები იბრძვიან

მექსიკა, 27 ივლისი. მექსიკის კათოლიკური ეკლეს. არქიეპისკოპოსებმა და ეპისკოპოსებმა გამოაქვეყნეს მოწოდება მორწმუნეების მიმართ, რომელშიაც წინადადება ეძლევა სამღვდელოებას პირველ აგვისტოდან შესწყვიტონ ყოველგვარი საეკლესიო მღვდელმსახურება. წერილი წინადადებას აძლევს ყველა კათოლიკებს ბოიკოტი გამოუცხადონ სკოლებს, გასწიონ აგიტაცია ეკლესიის საწინააღმდეგო კანონების გასაუქმებლად და წინააღმდეგობა გაუწიონ მათ ცხოვრებაში გატარებას.

კარა-ქემალი

პარიზი, 28 ივლისი. ყარა-ქემალი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ქემალ ფაშას წინააღმდეგ შეთქმულებაში და რომელიც დღემდე იმალებოდა, აღმოაჩინა პოლიციამ. რომ ხელში არ ჩავარდნოდა მთავრობას, მან თავი მოიკლა.

ღამის ცნობები

ყარა ქემალის თვითმკვლელობა

ანგორა 28 ივლისი. ქემალფაშის წინააღმდეგ შეთქმულების ერთ მონაწილეთაგანმა ყარა ქემალმა, რომელსაც დაუსწრებელი განაჩენით სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, კონსტანტინეპოლში დატყვევების დროს თავი მოიკლა.

პუანკარეს ფინანსიური პროექტი

პარიზი, 28 ივლისი. პალატაში წარდგენილია ფინანსიური პროექტი, რომელიც სასწრაფოდ განხილულ იქნება 30 ივლისის სხდომაზე. პროექტი ითვალისწინებს 1926 წლისათვის 4.200.000.000 ფრანკის ახალი არაპირდაპირი გადასახადების შემოღებას. პროექტში აღნიშნულია, რომ მთავრობა გასცემს დეკრეტს მომჭირნეობის გატარების და სახელმწიფო მოსამსახურეთა ჯამაგირების შეცვლის შესახებ. დასასრულ პროექტი ითვალისწინებს ფასებს სახელმწიფო ქარხნებში დამზადებულ ნაწარმოებებზე.

მოსამსახურეთა დემონსტრაცია პარიზში

პარიზი. 28 ივლისი. რამოდენიმე ათასმა მოსამსახურემ დეპუტატთა პალატის შენობის წინ გამართა დემონსტრაცია; მოითხოვდენ სამუშაო ხელფასის მომატებას. პოლიცია გულმოდგინედ ერეკებოდა დემონსტრანტებს; დაპატიმრებულია 13 დემონსტრანტი და დაჭრილია რამოდენიმე.

ნდობის გამოცხადება პუანკარეს მთავრობისათვის

პარიზი, 28 ივლისი. მოსულია ცნობები პუანკარეს მთავრობის დეპუტატთა პალატის მიერ ნდობის გამოცხადების შესახებ. კაბინეტის წინააღმდეგ ხმა მისცეს კომუნისტებმა, სოციალისტებმა და ორმა რადიკალმა. თავი შეიკავა 50 რადიკალმა, და 14 რესპუბლიკანურ სოციალისტმა. ფინანსიური პროექტის სასწრაფოდ განხილვის საკითხს საწინააღმდეგო ხმა მისცეს კომუნისტებმა, ხოლო სოციალისტებმა თავი შეიკავეს.

გადაფრინა მოსკოვ-პარიზი

პარიზი, 28 ივლისი. 28 ივლისს მოსკოვიდან პარიზში გადაფრინდენ მფრინავები ეგრიე და დორილეი. ჰაეროდრომზე ისინი, გააცილეს საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლებმა, საბ. კავშირის საჰაერო ძალების სამხედრო შტაბმა და ავიაქიმის წარმომადგენლებმა. გაფრინდნენ 8 საათსა და 40 წუთზე; პარიზში მიფრინდნენ იმავე დღის 18 საათსა და 30 წამს.

ერთა ლიგაში

ეგვიპტე და ერთა ლიგა

პარიზი, 28 ივლისი. მეფე ფუადი ეგრი, **ერნისტი**—მთლიანობის ჯგუფის დევიპტის ერთა ლიგაში შესვლის გამო აგვისტოში გაემგზავრება ჟენევაში.

ამერიკის დელეგატები ერთა ლიგის სესიაზე

ბერლინი, 28 ივლისი. ჟენევიდან მიღებული ცნობით, ერთა ლიგის მე-7 სესიაზე სექტემბერში ამერიკის დელეგაციის შემადგენლობაში შევლენ შემდეგი პირები: ჩემბერლენი, ვიკონტ სესილი, ჩელვუდი და სერ სესილ ხერსტი; ეგვიპტის მეფე ფუადი და გეჯასის იბნ საიდი დაესწრებიან სხდომებს ამ ქვეყნების ერთა ლიგაში მიღების საკითხის გარჩევის დროს.

აბისინიის პროტესტი

პარიზი, 28 ივლისი. „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, რომ აბისინიის მთავრობა თავის ნოტაში ერთა ლიგის საბჭოს სახელზე, პროტესტს აცხადებს ინგლის-იტალიის ეკონომიურ ხელშეკრულობის წინააღმდეგ და მოითხოვს ერთა ლიგის ჩარევას.

კომუნისტების დევნა ამერიკაში

ბერლინი, 28 ივლისი. შეერთებული შტატების პოლიციამ მთავრობისაგან ბრძანება მიიღო—გასწმინდონ ქვეყანა კომუნისტებისაგან.

ეს განკარგულება შედეგათ მოყვა პარიზიდან გაგზავნილ ცნობას იმის შესახებ, რომ განზრახულია ამერიკელი ელჩის ხერრიკის მოკვლა; საფრანგეთის კომუნისტები მოქმედებენ ამერიკელ კომუნისტურ ჯგუფებთან შეთანხმებით.

პოლონეთი და ლიტვა

ბერლინი, 28 ივლისი. აკრძალულია პოლონეთის რამოდენიმე ნაციონალისტური ორგანო იმ ცნობის მოთავსებისათვის, თითქოს პოლონეთი ამზადებდეს ლიტვაზე თავდასხმას.

რუსული ორგანო „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-ს აზრით, პოლონეთის მიერ ლიტვის ანექსია ნაწილია ინგლისის კონტინენტალურ პოლიტიკის, რომელიც შემდეგისთვის ითვალისწინებს დანციგისა და ზემო-სილეზიის გერმანიისათვის დაბრუნებას, ხოლო პოლონეთისათვის კომპენსაციათ ლიტვის გადაცემას.

აღმოსავლეთში

აჯანყება კირენაიკაში

კირენაიკა—ეს იტალიის კოლონიის—ლიბიის ნაწილია. იგი მდებარეობს აფრიკის ჩრდილოეთ ნაპირზე, ეგვიპტესა და ტუნისს შორის. იტალია-ოსმალეთის ომამდის (1912 წ.) ლიბია ოსმალეთს ეკუთვნოდა, მაგრამ შემდეგ იტალიის ხელში გადავიდა.

მაგრამ იტალიას დიდი ბრძოლის წარმოება მოუხდა ლიბიის მოსახლეობასთან—არაბებთან, რომელთა უმრავლესობა შეადგენს სენუსიტების სექტას. სენუსიტებს სათავეში ედგა „დიდი შეიხი“ ახმედ-შერიფ-სენუსსი.

მხოლოდ 1916 წ., როცა ახმედ-შერიფის მოწინააღმდეგე ემირ-იდრისი იტალიელების მხარეზე გადავიდა, იტალიამ მოახერხა ქვეყნის დაპყრობა. ახმედ-შერიფი გაიქცა ოსმალეთში და ლიბიაში შემოღებულ იქნა ჩვეულებრივი კოლონიალური რეჟიმი.

1919 წ. ლიბია გაყოფილ იქნა ორ კოლონიათ: ტრიპოლი და კირენაიკა. გარდა ამისა, გამოყოფილი იქნა ნახევრათ დამოუკიდებელი ემირატი (სამთავრო) სენუსიტებისათვის. ამ რამოდენიმე ხნის წინად, როცა იტალიამ დაიკავა ჯერაბუბის წალკოტი, ემირატის „დამოუკიდებლობას“ ბოლო მოუღეს.

ლიბიის მოსახლეობა არ ემორჩილება იმპერიალისტურ იტალიას. არაბები განუწყვეტლივ აჯანყებას აწყობენ იტალიის ბატონობის წინააღმდეგ. იტალიელები ჩვეულებრივ მალავენ ცნობებს ამ აჯანყების შესახებ და ამტკიცებენ, რომ კირენაიკაში სრული სიწყნარეა.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა იტალიის ჯარებმა ჯერაბუბის წალკოტი დაიკავა, მღელვარება სენუსსიტებს შორის გაძლიერდა. აჯანყება მოედვა კირენაიკს და იტალია იძულებული ხდება დიდძალი ჯარები გაგზავნოს იქ. უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, რომ იტალიის ჯარებში ბევრია მოკლული და დაჭრილი.

იაპონელ იმპერიალისტების ფარისევლობა

პირველ აგვისტოსათვის ქ. ნაგასაკში (იაპ.) მოწვეულია სრულიად აზიის კონფერენცია. ეს კონფერენცია, რომელზედაც მიპატიჟებული არიან აზიის ყველა სახელმწიფოების წარმომადგენლები. მოწვეულია იაპონიის მიერ, რომელიც თავის თავს აღმოსავლეთის ერების მფარველს უწოდებს. იაპონიის წარმომადგენლები ზედმეტ ლაპარაკობენ ინდოეთის მძიმე მდგომარეობაზე.

უდავოა, ინდოეთი სულს ღაფავს ინგლისის კლანჭებში, მაგრამ იაპონიის წარმომადგენლებს განზრახ ავიწყდებათ კორეა და კუნძული ფორმოზა, რომელთა მოსახლეობას იაპონია ფიზიკურად სპობს, რომ მიწა-წყალი გაუჩინოს „ჭეშმარიტ იაპონელებს“.

ჩინეთის დელეგაციას განზრახული აქვს მოითხოვოს კონფერენციაზე იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ ჩინეთთან დადებულ ხელშეკრულებების გაუქმება. იაპონია კი ასეთი ხელშეკრულებების სულის ჩამდგმელია. იგი ყოველი ძალ-ღონით უჭერს მხარს იმ ჩაგვრის და დამონების პოლიტიკას, რომელსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები აწარმოებენ ჩინეთის მიმართ.

იაპონელ ფარისევლების მიპატიჟებას ძალიან სუსტად გამოეხმაურენ.

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

აი რას აცხადებენ მენშევიკები: „ვეშაპელის მოკვლა შეცდომა იყო“.—„ემიგრანტობა სარწმუნოებად არ გამიხდია“.—„არ გვყავს ხალხი სასიკეთო, ყველა მანიაკებია ეს უბედურები... გაშოროს ღმერთმა ასეთ ხალხს და მათთან საქმის დაჭერას“.—„მე მართალი გითხრა ისე გამიტყდა და ამიცრუვდა გული ყველაფერზე, რომ თუ არ ამ ჯიბგირებთან წამოწყებული ბრძოლა—მივაფურთხებდი ყველაფერს ახლავე და გზას გავუდგებოდი“—„ფაშიზმია—აბა რა ჯანდაბაა!“—„უბადრუკთა ბანაკი“.—

კარლო ჩხეიძის შესახებ

ევგ. სოღორაშვილის წერილი ისიდორე რამიშვილისადმი

22 ივნისი, 1926 წ.
პარიზი.

დიახ, ჩემო ისიდორე, დიდი უბედურობა დაგვატყდა თავზე. მოგვივიდა ის, რასაც სრულიად არ მოველოდით. 7 ივნისს, ორშაბათს, დილით 8 საათზე კარლომ ყელი გამოიჭრა კუხნის დანით. გარდაიცვალა პარასკევს, 11-ს, საღამოს 8 საათზე.

რამ აქნევინა? მიზეზი ბევრია.

კაცი ძლიერ დაღლილი, მოქანცული შესაძლებელია უიმედობასაც მიეცა პოლიტიკურ აურ-ზაურით, მაგრამ მას რომ ტკბილი ოჯახი ჰქონოდა, გულის გამთბობი, ნუგეშის მცემელი, ეს არ დაემართებოდა. მეგობრებ-ამხანაგები კაია, მაგრამ ოჯახი სხვაა. ბოროტმა დედაკაცმა არ ჩამოაყვანინა თბილისიდან მისი ორი ახალგაზრდა ქალიშვილები. მე და კარლო ორმოცი წლის მეგობრები დაგვაშორა. სულ ეჩხუბებოდა ევგენიას ნუ ელაპარაკებიო. როცა ვკითხავდი, კარლო, რათ არ მელაპარაკები-მეთქი, მეტყოდა: „არაფერი, არაფერი ევგენია“... ამის მეტს არ მომიგებდა პასუხს. მეტად ვწუხვარ, რომ დაჭრილი ვერ ვნახე; არ მირჩიეს, აღელდება და ცუდათ იმოქმედებს მასზეო. პირველ ორ დღეს უკეთ ყოფილა, მორჩენას ელოდენ, მაგრამ შიგ ჩაქცეულმა სისხლმა მოუღო ბოლო. დასაფლავებულია სასაფლაო Pére-Lachaise-ზე. ბევრი სიტყვები წარმოსთქვა. კარგი იყო ფრანგების სოც. და კერენსკის. ყველანი მეტად დამწუხრებული არიან. კაცის ეთქვა მისთვის: „კარლო, შენ უფლება არ გქონდა მაგისი, შენ ხომ შენ თავს არ ეკუთვნოდიო“... დიახ, ის კარლო, რომელიც სერიოზულ მომენტებში სულის სიმშვიდეს და სიმტკიცეს ინარჩუნებდა, სუსტი დარჩა უფრო წვრილმანში.

რასაკვირველია ეკონომიური პირობები არ ჰქონდა სანატრელი. მოხუცი კაცი მიწას ბარავდა ლობიოს მოსაყვანად, რომელნიც მის ახლო სცხოვრობდენ, რამოდენიმეჯერ მითხრეს, კარლო ძალიან მოტყდა, აღარავის ელაპარაკება, სულ მოწყენილი-დაღვრემილიაო. დღეს რვა დღეა, რაც მიწას მივაბარეთ, ეს იყო 15-ს ამ თვეს. ცუდათ გაათავა ცხოვრება ამ პიროვნებამ, რომელიც ერთ დროს არამც თუ ევროპას, მთელ დედამიწას ალაპარაკებდა მის სიმაგრეზე, სიდიდეზე.

ზოგზე კი გაჩუმება სჯობია.

აქაური მდგომარეობა გამწვავებულია, ამაში ბევრნი არიან დამნაშავენი.. **ვეშაპელის მოკვლა დიდი შეცდომა იყო.** იდეის მოწინააღმდეგეს იდეურად მიეცი პასუხი. ამ დროს ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს. შეჭირდეთ.

თქვენი წერილი დღეს მივიღე, ეხლავე გძლევთ პასუხს.

კობას ვნახავ ამ დღეებში (კარლოს დასაფლავებაზე ვნახე) და მოველაპარაკები, რაზედაც საჭიროა.

მე, ჩემო ისიდორე, ექვსი თვეა ავად ვარ, ახლა ცოტა უკეთ გავხდი. პირველად გავედი საცოდავი კარლოს დასაფლავებაზე. ჩვენებს ვსთხოვე დახმარება 3.000 ფრანკით, უარი მითხრეს. ექიმები მეუბნებიან, თუ არ დავისვენე და ხანგრძლივად არ ვიწამლე ველარ გამოვდგები. რა ვქნა მუშაობა აღარ შემიძლია. მე მინდოდა სიცოცხლის მოსპობა, კარლომ დამასწრო. იმის ყოფნა საჭირო იყო, ჩემი კი—არც ჩემი თავისთვის და არც სხვისთვის აღარ ვვარგვარ. მარტოობა, უსახსრობა, უღონობა ძნელზე ძნელია.

იყავით ყოჩაღათ. ეტყობა თქვენ ბევრათ სჯობიხართ აქაურებს.

ევგენია სოღორაშვილი.
Madame Sogoroff.
22, Rue Delambre.
Paris (14-e).

სოღორაშვილის წერილის კლიშე

(ხელთნაწერის ერთი ნაწილი)



Madame Sogoroff
22 Rue Delambre
Paris
(14e)

ერეთეოზ რამიშვილის წერილი კოლია ჭუმბურიძისადმი

17. 10. 25. პრაღა.

ძმაო კოლია!

შენთან კი ვარ დანაშაული, მაგრამ ათასი ხლაფორთი ამეკიდა და წამრჩა მოწერა. გულწრფელად გეუბნები—მოსვლაც მინდოდა და ნახვა, მაგრამ თავი მოუკვდეს უფულობას. ისე მოსაწერი და სათქმელი იცოცხლე მე მქონდეს, თუ მომაგონდა ყველაფერი. დავიწყებ რიგრიგად 1) მე ჩავაბარე სამი დიდი გამოცდა და მე და ივლიანემ[1]) გუშინ მივეცით თხოვნა უკრაინულ უნივერსიტეტში, რათა მიგვიღონ იქ, ჩაგვითვალონ ყველაფერი და დაგვამთავრებინონ მომავალ ივნისში-ივლისში, როგორც შალვას[2]). მგონი დაგვრთავენ ნებას. გვაქვს კერძო-კერძო დაპირებები, მაგრამ აუარებელი სამუშაო კი გვექნება. 2) ნ. რ-დან[3]) მივიღე კაი ხანია ერთი წერილი, უკეთ ასლი წერილის, დედანი თვითონ დაეტოვებინა, მაგრამ საერთოთ ჩვენ ყველასთვის საინტერესო საკითხზე არაფერს იწერებოდა, უფრო შენზე და მაღლაკელიძეზე. მარა წერილი სუსტია. ერთხანს ვითმინე, არ მინდოდა სრულებით მეპასუხნა, მარა ბოლოს წამძლია ბრაზმა და შევწირე ორი დღე დაწერას. ივლიანეს წავაკითხე. იქ მე თავისი სახელი უწოდე, ყველაფერს, შესაფერისი უწილე ყველას, ავსწონე გრომშბით მათი „საქმიანობა“[4]) და დავსვი წერტილი ი-ზე, ჯვარი გწერიათ ამის შემდეგ ჩემი თვალისგან და მოგიკვდეს შემწუხებელიც-თქო. დასკვნა ჩემი ასეთი იყო. ჩვენ ვერ გავხდით თქვენი ყურადღების ღირსნი, არც მთავრობამ და არც პარტიამ არა თუ არ მოინდომა საქმის მოგვარება და ჩვენი ბუნებრივი და ელემენტარული მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, პირიქით, მათ კიდევ უფრო წააქეზეს ეს ამორალური ტიპი ჩვენს წინააღმდეგ და შეკავშირების—შემოკრების მაგიერ ცოცხით გვერეკებით ხომ?.. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ამით ჩინებული საზრდო მიეცით ბ-ბს,[5]) გაუხსენით გზა ასპარეზი მათ მუშაობას. ისინი უთუოდ ისარგებლებენ ამით და ეჭვი არაა—რაც თქვენ ვერ თუ არ შესძელით გაერთიანების მხრით—მას შესძლებენ ისინი და სხვადასხვა და სხვა. ერთი სიტყვით ძლიერ გრძელი მკაცრი და ამომწურველი იყო. რა თქმა უნდა ამ წერილის შემდეგ მე ისინი პარტიაში არ მიგულვებენ. **არც შეცდებიან. მე გადავწყვიტე დავანებო თავი ყველაფერს, გავიდე კავშირიდანაც და გაუშვა ყველაფერი** (ორი სიტყვა გაურჩეველია. რედ.) რაღა მე ვიკისრო ცენტერაძის მონაზონის როლი, და ვიმცირო თავი. არავის მეტს არაფერს ვსწერ, არავის აწი პასუხს არ ვაძლევ, ძალიანაც რომ შემეხვეწოს; **ყველაფერი წყალს წაუღია...** 3) ხო, აქ არის მეგრელიძე ბერლინიდან. **ის, რაც ამის შესახებ მოგწერო—ჩვენს შორის უნდა დარჩეს უთუოდ.** მე მან მომმართა წერილით, სადაც წინადადებას მაძლევდა დავბრუნებულიყავი საქართველოში და როგორც „სამეურნეო პრაქტიკოსს“ შევდგომოდი ჩემი სპეციალობის მიხედვით ამ ჟამად „მეტად საჭირო მუშაობას“. მე უპასუხე წერილითვე, ჯერ მოუყვანე მისი წერილი და მის „საპასუხოდ“ ვაცნობე, რომ მე ვარ ჩემდა უნებურად გადმოსროლილი, რომ **ემიგრანტობა სარწმუნოებად არ გამიხდია და თუ არსებული ხელისუფლება ამას შესაძლებლად დაინახავს—მე მზად ვარ დაუყოვნებლივ დავბრუნდე და ვითანამშრომლო კულტურულ-ეკონ. სფეროში გარეშე ყოველგვარ პოლიტიკურ საქმიანობისა-თქო. ეს სიტყვები ჩემის მხრით არაა მარტო სიტყვები, მე ამას ვადგევარ სინამდვილეში და თუ რისთვის, ამის კითხვაც ზედმეტად მიმაჩნია, როგორც მარტივი საკითხის.** ამის შემდეგ ვინახულე პირადათ. უკანასკნელი ჩემი სიტყვა იყო, რომ მე შემიძლია ჩემს წერილს მიუმატო, რომ პარტიიდან გავდივარ, მაგრამ ამის შემდეგ მე აქაურ ატმოსფერაში ვერ მოვიცდი, თუ გინდ ერთ დღესაც, სადმე წასვლის საშუალება კი მე არ მაქვს-მეთქი. როგორ მოვქცეულვარ შენის აზრით? მე უნდა გამოგიტყდე, რომ ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის ჯიუტობა პირდაპირ მიუტევებელი დანაშაულია, მაგრამ გამიგებს ვინმე? შევა ვინმე შენი მდგომარეობის გარჩევაში? შენც არ მომიკვდე. **და ისეთმა ხალხმა უნდა დაგიწყოს თითით ჩვენება, რომ სხვა პირობებში არც შევაფურთხებდი.** ეს ასე. 4) აქაური რა გითხრა სანუგეშო? საერთოდ ჩვენ, **უნდა გამოვტყდეთ, რომ არ გვყავს ხალხი სასიკეთო ყველა მანიაკებია; ეს უბედურები, ყველას ნაპოლეონობა უნდა, რომ რაიმე გვაოხრდეს სალიდერო ვინ მამაძაღლი დაუკავებდა, მარა რა გვაქვს საამისო? საერთოთ გაშოროს ღმერთმა ასეთ ხალხს და მათთან საქმის დაჭერას.** თვითონ არაფერის გამკეთებლები არ არიან, უნდა აკეთო შენ და უსმინო ბრიყვულ კრიტიკას, კრიტიკას მხოლოდ კრიტიკისათვის. აგენსაც ჯვარი დავსწერო უნდა, ამას შეუდექი უკვე და როდესაც რაიმე საკითხზე ჩამოაგდებენ ლაპარაკს ჩემთან—მე პასივობას ვარჩევ. ამას გრძნობენ უკვე.

შენ არ ვიცი რა წიგნის დაწერას ფიქრობ, რა ხასიათს აძლევ მას? **თუ ასე შორს წახვალ ადამიანი, ღირს აქ ჯდომა და სიცოცხლის მოწამვლა?. მე მართალი გითხრა ისე გამიტყდა და ამიცრუვდა გული ყველაფერზე, რომ თუ არ ამ ჯიბგირებთან წამოწყებული ბრძოლა—მივაფურთხებდი ყველაფერს ახლავე და გზას ვეწეოდი, მარა დამაკავა იმან, რომ ამით ისინი თავს გაიმართლებენ,** თუმცა ვინ ამტყუნებს. დიდი რიხით ლაპარაკობენ და რაინდობას იჩემებენ სიმტკიცის საქმეში გოცაძე და თურქია, მარა მე ვერც ერთს ავყობი და ვერც მეორეს. **მათ რა ეხარჯებათ, რაც ყავთ აქ ყავთ, ჩემსას კი ქრისტეს ტირილია.** ამფერმა ხალხმა უნდა მოგნათლოს ლაჩრად, ეჰ, სადა ხარ სამართალო! ჩემი სისულელე ისიც, რომ ამაებს მე ანგარიშს უწევ კიდევ.

ალფესა და კაჩუხაშვილი პარიზში არიან. კაჩუხაშვილი მიბეგვესო—სწერენ. ალფესას ეძებენო. **ფაშიზმია აბა რა ჯანდაბაა.** შენ რომელ წერილის გაგზავნაზე მეკითხები (რედაქციაში) წლის თავის შესახებ? ხო კი, მაგრამ სულ მოკლეთ, ექსპრონტად დავწერე უდროობის გამო. აგერ ნახავ თუ დაბეჭდავენ.

მეორეშიც წავიდა ვნახოთ. ხმებია—იმ დღეს ჩემმა ასეთმა მკაცრმა გამოსვლამ ჩააფიქრა ამ **უბედურთა ბანაკი,** არ ელოდენ, თუ მე მართლა „წასული“ არ ვიყავი თურმე. ვერეშჩაკს უნდა გაეგზავნა „ზამეტკა“ „Дни“-ში, არ გაუგზავნია, ცხადია დაუშალეს. ორჯონიკიძე, მიუხედავად ამდენი დანოსებისა—აღადგინეს მაინც. ეს დიდი თავზარია მათთვის[6]).

შენ მაგ წერილებზე თუ წიგნებზე ასე იოლად ნუ გადაწყვეტ საკითხს. **ეს ხომ** იცი დიდი ნაბიჯია. პასუხობ თუ არა შენ კაჩუხაშვილს. საინტერესოა ვიცოდე რას ფიქრობ საერთოთ, თუ შენ (ერთი სიტყვა გაურჩეველია. რედ.).

მე ეხლა პრაგაში ვსცხოვრობ, შენი ლია ბარათი აქ გადმომიგზავნეს.

ივლიანე დარბის ძველებურად, რას აკეთებს ღმერთმა იცის, მისი ნებაა რაც უნდა ის აკეთოს, მე ხელდაბანილი ვარ. თუმცა სტუდენტთა კავშირი რომ კვდება—ისიც გრძნობს. მან მოაბეზღა როგორც ხედავთ ჩხენკელს თავი ამ წერილებით. ვეუბნები ნუ იმცირებ თავს, გეყოფა მეთქი, მაგრამ მაინც არ იშლის, სწერს და სწერს... კახიანი მათთანაა, რა თქმა უნდა. ამ დღეებში ისევ მაქეთ წამოვა ალბად. სტიპენდიიდან ქე მოუხსნიენ.[7])

მოიწერე, ნუ დაგვზარება, აწი მეც აკურატნი ვიქნები.

გამარჯვებით.

შენი ერეთეოზი.

---

[1] ჯანჯღავა.
[2] მაღლაკელიძე.
[3] ნოე რამიშვილი.
[4] ლაპარაკია ყოფილ მთავრობაზე.
[5] ბოლშევიკებს.

რედ.

[6] შაქრო ორჯონიკიძე (ქართველი) ყოფ. გვარდიის ოფიცერი. მან დასჭრა დანით (პოლიტიკურ ნიადაგზე) ემიგრანტი მგალობლიშვილი, რისთვისაც გაძევებულ იქნა ორგანიზაციიდან. შემდეგ კი მიიღეს უკან. რედ.

*) „მართლწერა“ ყველგან ავტორისაა. რედ.

სხვადასხვა

ეგვიპტის საელჩოების შემცირება. ხარჯების შემცირების მიზნით ეგვიპტის საბიუჯეტო კომისია ითხოვს წარმომადგენლობის გაუქმებას ისპანიაში, ბრაზილიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, რუმინეთში, სამხრეთ-სლავიაში და ჩეხო-სლოვაკიაში და საკონსულოების გაუქმებას: ჰამბურგში, ბუდაპეშტში, ნეაპოლში, სტამბოლში და სალონიკში.

გერმანია და საფრანგეთი. „ფოსიშე ცეიტუნგის“ რედაქტორი ბერნჰარდტი, რომელიც პარიზიდან დაბრუნდა, აღნიშნავს საფრანგეთ-გერმანიის დაახლოებისა და ეკონომიურ თანამშრომლობის იდეის პროგრესს.

დაუესის გეგმის შესახებ. შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტრო იუწყება, რომ დოუესის გეგმის მიღების დღიდან. გერმანიას სულ მიეცა 904 მილ. დოლარი უცხოეთის სესხი. ამ თანხის ნახევარზე მეტი გერმანიამ მიიღო შეერთებულ შტატებისაგან.

აეროპლანის დამსხვრევა. ბაღდადის მახლობლად ჩამოვარდა სამხედრო აეროპლანი. მოკვდა 6 კაცი. მფრინავი მძიმედ დაშავდა.

ახალი დირიჟაბლი. „ასოშეტედ პრესის“ სააგენტოს ცნობით, კულიჯი სამხედრო მინისტრთან ერთად განიხილავს ახალი დირიჟაბლის აგების გეგმას. ეს დირიჟაბლი აგებული უნდა იქნეს დაღუპულ დირიჟაბლ „შენნდოა“-ის ნაცვლად. ახალი დირიჟაბლი დაჯდება 5 მილ. დოლარი.

სლოვაკიის რკინისზგელთა პროტესტი. მთელს პრაგაში იმართება რკინისგზელთა კრებები, რომელთაც გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები გზათა სამინისტროს იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლის ძალით გაუქმებული უნდა იქნეს სამუშაო ხელფასის ახალი სისტემა და დამატებითი ხელფასი, რომელსაც ღებულობენ სლოვაკიის რკინისგზელები.

გერმანია შვეიცარიის სავაჭრო ხელშეკრულება. შაბათს ბერლინში დამთავრდა გერმანია-შვეიცარიის სავაჭრო მოლაპარაკება. შეთანხმება მიღწეულია ყველა მუხლში. ხელშეკრულებას ამ დღეებში ხელს მოაწერენ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

გლეხობის სამძიმარი

მოსკოვი, 28 ივლისი. ვორონეჟის გუბერნიის, უსმანის მაზრის ქვედა მადოენის ვოლოსტის, სოფელ დემშინის გლეხებმა გააგზავნეს დეპეშა მოსკოვში: „დემშინის გლეხობა ძალზე დამწუხრებულია ძერჟინსკის უდროოთ გარდაცვალების გამო. განისვენე ძვირფასო ბელადო. შენ მიერ დაწყებულ საქმეს გლეხები მიიყვანენ ბოლომდე. ჩვენ შევიქმნებით სამაგალითო, ვაწარმოებთ სასოფლო-სამეურნეო მშენებლობას, მანქანებს შევიტანთ სოფელში და ვიქნებით ოქტომბრის მონაპოვარის სადარაჯოზე“.

ძერჟინსკის გარდაცვალების გამო

მოსკოვი, 28 ივლისი. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგატმა—ვერლინმა რუსეთის წითელ ჯვრის საზოგადოებას საერთაშორისო კომიტეტისა და პირადათ თავისი სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა ამხ. ძერჟინსკის გარდაცვალების გამო.

ბოსტონის პროფესორი მოსკოვში

მოსკოვი, 28 ივლისი. მოსკოვში ამერიკიდან ჩამოვიდა ბოსტონის უნივერსიტეტის მედიცინის პროფესორი ჩენერი. მას სურს შეისწავლოს, თუ როგორ არის დაყენებული საბჭოთა კავშირში ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა წამლობა.

ლენინის ძეგლი დარიალის ხეობაში

ლენინგრადი, 28 ივლისი. ქარხანამ „წითელი ვიბორგელი“-მ დაამთავრა ჩამოსხმა ლენინის უზარმაზარი ძეგლის, რომელიც დადგმული იქნება დარიალის ხეობაში. ძეგლს 12 ნახ. არშინი სიმაღლე აქვს. გამზადებული ძეგლი ამ დღეებში გაიგზავნება დასადგმელ ადგილას.

უკრაინა

ბელგიის მუშათა დელეგაცია

კიევი, 28 ივლისი. ჩამოვიდა ბელგიის მუშათა დელეგაცია, რომელსაც სადგურზე შეხვდენ კიევის მუშები.

საოლქო პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის მისალმების საპასუხოთ დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ ვერავინ ვერ დაუშლის მათ სთქვან სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ.

კალიას საფრთხე უკრაინას ასცილდა

ხარკოვი, 28 ივლისი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გააუქმა კალიასთან საბრძოლველად დაარსებული სრულიად უკრაინის საგანგებო კომისია, რადგან, როგორც გამოირკვა, კალიის საშიშროება უკრაინას ასცილდა.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

პარკის დამზადება

ბაქო, 27 ივლისი. „აზერტიფაკის“ მიერ 20 ივლისისათვის დამზადებულია 12.000 ფუთი ნედლი პარკი. შემდგომი დამზადება შეჩერებულია კერძო მოვაჭრეების კონკურენციის გამო, რომლებიც ნუხის მაზრაში აძლევენ 56 მანეთს ფუთში, ნაცვლად შინ. ვაჭრ. კომის. მიერ დაწესებულ 22 მანეთისა. გლეხებმაც შესწყვიტეს გაყიდვა პარკის; ელიან ფასის მომატებას. ეს გარემოება ხელს უწყობს პარკის გაფუჭებას.

მანუფაქტურა

ბაქო, 27 ივლისი. რუსეთის საფეიქრო სინდიკატმა ივლისის თვეში შემოიტანა აზერბეიჯანში რიგს გარეშე 9 ვაგონი ფართალი; 7 ვაგონი გაიგზავნა მაზრებში.

ნადი „ინვალიდების შრომა“

განჯა, 27 ივლისი. მიმდინარე წლის აპრილში ინვალიდებმა მოაწყვეს ნადი „ინვალიდების შრომა“, რომელსაც 10 წევრი ყავს. გამგეობაში 3 კაცია. მუშაობა დაიწყეს უთანხმოთ. ბალანსი უდრის 600 მან. ნადმა ჯერ-ჯერობით გახსნა ორი ფურნე. ამჟამათ ნადი ცდილობს შემოიტანოს ჩრდილოეთ კავკასიიდან 10.000 ფ. ფქვილი, რისთვისაც მიიღო შესაფერი ნებართვა. წარმოებს მუშაობა წევრების რიცხვის გასადიდებლათ.

ძირ-ტკბილას ექსპორტი

ბაქო, 27 ივლისი. საქციო საზოგადოება „ზიანმა“ ამერიკაში გაიტანა, ფირმა „მაკ ენდრიუს ფორბსისთან“ დადებულ ხელშეკრულების თანახმად, 2.500 ტონა ძირ-ტკბილა. კიდევ დამზადებულია აგვისტოში გასაგზავნად 2.500 ტონა ძირ-ტკბილა.

ახალი სასაკლაო

ბაქო, 27 ივლისი. განზრახულია ახალი სასაკლაოს აშენება. პროფ. გორბაჩოვის პროექტით სასაკლაო აშენებული იქნება სამი წლის განმავლობაში და დაჯდება სამი მილიონი. სასაკლაოსთვის გამოყოფილი იქნება 7-10 დესეტინამდე მიწა. ამჟამად კომუნალური მეურნეობა მოლაპარაკებას აწარმოებს 2.250.000 მ. სესხათ აღების შესახებ. სასაკლაო აშენებული იქნება ევროპის უკანასკნელ ტეხნიკის მიხედვით.

ბრძოლა ბანდიტიზმთან

ბაქო, 27 ივლისი. ლაჩინის (ქურთისტანი) ბანდიტიზმთან ბრძოლის მიზნით მოწყობილია 25 კაცისაგან შემდგარი საგანგებო რაზმი.

საბჭოთა პარტიული სკოლები

ბაქო, 27 ივლისი. აზერბეიჯანის კომპარტიის (ც. კ. დაგზავნა ადგილებზე ცირკულიარები საბჭოთა და ცენტრალურ პარტსკოლებში კურსანტების მიღების შესახებ.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

თბილისის ორგანიზაციის ცალკე რაიონებში შესდგა აქტივის კრებები. აქტივი სავსებით და მთლიანად უერთდება საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის დადგენილებას. თბილისის ორგანიზაცია ერთსულოვნად და მტკიცედ სდგას პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე.

არსენალის რაიონის აქტივის კრება

გუშინ, 28 ივლისს, მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა მეორე რაიონის აქტივის კრება, რომელზედაც პარტიის ცეკასა და საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის დადგენილებაზე გ. ზინოვიევის, ლაშევიჩის და საერთოდ ოპოზიციის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ქართველიშვილმა. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა ვრცელი გაცვლა-გამოცვლა.

აქტივის კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„საქ. კომ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიონის აქტივის კრებამ, მოისმინა რა ამხ. ქართველიშვილის მოხსენება საკავშირო კომ. პარ. ც. კ. და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის დადგენილებების შესახებ, დაადგინა: ახალი ოპოზიცია, ზინოვიევის მეთაურობით წინააღმდეგ მე-X, XI, XIII და XIV პარტიული ყრილობების პარტიის მთლიანობის შესახებ დადგენილებისა, არ დაკმაყოფილდა თავისი შეხედულებების დაცვით პარტიის წესდების მიერ გათვალისწინებულ ფარგლებში და მიმართა ფრაქციულ ბრძოლას.

არალეგალური კრების მოწვევა ც. კ. კანდიდატის ლაშევიჩის ხელმძღვანელობით, დაბეჭდვა და გავრცელება საიდუმლო დოკუმენტებისა, ოპოზიციის წარმომადგენლების გაგზავნა ცალკე ორგანიზაციებში ფრაქციების მოწყობის მიზნით—დაუშვებელი ფაქტია. ლენინურ პარტიაში, რომელიც ანგრევს მთლიანობას ბოლშევიკური რიგების ფოლადისებურ მთლიანობას, ახალი ოპოზიციის მომხრეები, რომლებიც ერთ დროს პარტიასთან ერთად იცავდნენ პარტიის რიგების მთლიანობას და ლენინის მოძღვრებას—დღეს თავის ჯგუფური მუშაობით დაბრუნებულნი დაუშვეს „რევიზიონისტური" (ტროცკი და სხ.) და აგრეთვე პარტიასთან მებრძოლად განწყობილ მუშათა ოპოზიციის (ჯგუფი შლიაპნიკოვის და მედვედევის) (შეცდომილებათა დადგენილება). არსენალის რაიონის აქტივი სავსებით უერთდება ც. კ. და ც. ს. კ. ივლისის გაერთიანებულ პლენუმის გადაწყვეტილებებს და მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს შეამჭიდროვონ თავის რიგები ბრძოლისათვის ბოლშევიკური პარტიის ცეკას ხელმძღვანელობით ყოველგვარი სიძნელეთა დასაძლევათ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. ლენინის პარტია, არ დაუშვებს თავის რიგებში გამთიშავ მუშაობას ვისი მეთაურობითაც არ უნდა სწარმოებდეს ის. გაუმარჯოს ლენინის პარტიის რიგების მთლიანობას, გაუმარჯოს ლენინურ ც. კ. ხაზს ყოველგვარი ფრაქციულობისა, ჯგუფისა და პარტიისთვის არა სასურველი დისკუსიის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს გამობრძმედილს და ნაცადს საკ. კ. პ. ცეკას".

მესამე რაიონის აქტივის კრება

გუშინ, 28 ივლისს, მესამე რაიონის პარტიულ კლუბში შესდგა მესამე რაიონის აქტივის კრება. საკავშირო კომპარტიის ცეკასა და საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის დადგენილების შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. კახიანმა.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის აქტივის კრებამ, მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებულ პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ, სავსებით ადასტურებს პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლუციებს და უერთდება მათ.

პოლიტბიუროს წევრის ამხ. ზინოვიევის მეთაურობით „ახალი ოპოზიციის" მოქმედება, რომელიც მიმართული იყო მე-14 ყრილობის და მთელი პარტიის მიერ დადასტურებულ გადაწყვეტილებათა ჩაშლისაკენ, გასცილდა პარტიულ წესდებით დაწესებული საკუთარი შეხედულებათა დაცვის ლეგალურ ფარგლებს (ამ ფარგლებში მქონდათ ამის საშუალება) და შესდგა ფრაქციულ არალეგალურ ბრძოლის გზაზე, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ მოწყობილ იქნა კონსპირატიული ორგანიზაციები, დაიგზავნა საიდუმლო პარტიული საბუთები, პარტორგანიზაციებში გაიგზავნა საკუთარი აგენტები არალეგალურ ჯგუფების შესაქმნელად და კომინტერნის აღმასკომის აპარატის მუშაობა ფრაქციული მიზნით იქნა გამოყენებული.

ოპოზიცია სცდილობდა, რომ თავის გარშემო გაეერთიანებინა პარტიის მიერ გაკიცხული ჯგუფები და ფრაქციები (მაგ. ტროცკის ჯგუფი) და ამით ხელი შეუწყო ბოლშევიკური პარტიის რკინისებური მთლიანობის შესუსტებას.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ აღმშენებლობის უძნელეს პირობებში, როდესაც საჭიროა ფოლადისებური მთლიანობა და ჩვენი პარტიის რიგების შემჭიდროება, „ახალი ოპოზიციის" გამთიშავ მოქმედებას მკაცრი მსჯავრი უნდა დასდოს ლენინის პარტიამ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის აქტივი გადაჭრით წინააღმდეგია ახალი დისკუსიისა, რომელმაც შეიძლება შეასუსტოს პარტიის ყურადღება მის წინაშე მდგარ ურთულეს სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების მიმართ.

აქტივი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს, რომ მჭიდროდ დაირაზმონ ლენინის ცეკას ირგვლივ და გადაჭრით იბრძოლონ ფრაქციულობისა და გამთიშაობის წინააღმდეგ და ლენინის პარტიის მთლიანობისა და სიმტკიცისათვის.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას!".

(რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად)

ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მუშაობა

გუშინ საღამოს, სარაჯიშვილის სახელობის კლუბში შესდგა ა. ლ. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის საქალაქო კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ახალგაზრდათა კომინტერნის მდივანი ამხ. ხითაროვი.

ორატორი თავის მოხსენების შესავალში აღნიშნავს, რომ ახალგაზრდობის ინტერნაციონალი ამჟამად წარმოადგენს ერთ უდიდეს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც ყავს 39 სექცია ისეთ მიყრუებულ ქვეყნებშიაც კი, როგორიცაა ინდონეზია, კუბა და ბორნეო და სხვა.

შემდეგ ორატორი გადადის ინტერნაციონალის მიღწევებზე და განმარტავს თუ ცალკე ქვეყნებში რა ხასიათის მუშაობა სწარმოებს ის ან როგორი მდგომარეობაა.

თვით ტრადიციულ იმპერიალისტურ ქვეყნებშიაც კი ინტერნაციონალმა გაიჩინა თავისი სექციები და აწარმოებს მუშაობას. ასე მაგალითად—ჩინეთის ორგანიზაცია ამ ქვეყანაში ითვლება ყველაზე უძლიერეს ორგანიზაციათ.

მომხსენებელი შეჩერდა აგრეთვე კომკავშირის პოლიტიკური აღზრდის საკითხებზედაც. იგი ეხება ყოველი ცალკე ქვეყნის კომკავშირის აღზრდის საქმეს და აღნიშნავს, რომ ყველგან უკანასკნელათ საქმეს დიდი გაუმჯობესება ეტყობა.

ასეთია—იტალია, სადაც ბორდიგას ჯგუფმა დაკარგა გავლენა ახალგაზრდობაში, გერმანია, სადაც მუშაობდა რუტ ფიშერის ოპოზიცია და სკანდინავიის ქვეყნებში.

დასასრულ ორატორი აღნიშნავს, ინტერნაციონალის მუშაობაში დაშვებულ შეცდომებსაც და ასკვნის, რომ უკანასკნელი ხანების საერთაშორისო ძალთა განწყობილება ქმნის იმედს, რომ კომკავშირის არმიები კიდევ უფრო გაძლიერდებიან იმპერიალისტურ ქვეყნებში.

მოხსენების გარშემო აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც მოწონებულია ახალგაზრდათა კომუნისტურ ინტერნაციონალის მუშაობა.

ბრძოლა ფასების დაკლებისათვის

(საუბარი ა.-კ. შინავაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველოს შინავაჭრობის მოწესრიგებელ განყოფილების გამგე ამხ. გ. ბერულაშვილთან)

რა უშლის ხელს ფასების დაკლებას.—დაკლებულია ფასები ხორცზე, ბოსტნეულზე და მანუფაქტურაზე.—მდგომარეობა ლითონის ბაზარზე.—ფასების მოწესრიგება ყოველგვარ საქონელზე.—მავნე გადახრა სასოფლო-სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში.—კოოპერაციის როლი ფასების დაკლების საქმეში.

სიძნელენი, რომლებიც ხელს უშლიან ფასების დაკლებას

ნი,—სთქვა ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. გ. ბერულაშვილმა,—რომლებიც დაკავშირებულია ფასების დაკლების კამპანიის გატარებასთან.

როგორც საბითუმო, ისე საცალო ფასების დაკლებას დიდ წინააღმდეგობას უწევს სავაჭრო ორგანიზაციები, რომლებიც ხურთ შეინარჩუნონ არსებული ფასები იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც შეიძლება მათი დაკლება ამ ორგანიზაციების სავაჭრო მოღვაწეობისათვის ზიანის მიუყენებლად.

დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ფასების დაკლების კამპანიის ჩატარებისათვის აგრეთვე ფასების გადიდება, რომელიც ჩატარებულ იქნა ცენტრში ეკონომიური აუცილებლობის გამო.. ასე, მაგალითად, უკანასკნელი თვეების განმავლობაში ცენტრალური სავაჭრო ორგანიზაციების მიერ გადიდებული იქნა გასაყიდი ფასები პირველი მოთხოვნილების ისეთ საგნებზე, როგორიც არის მარილი, ნავთი, კალოშები და სხვა.

შემდეგ, ფასების დასაკლებად წარმოებულს მუშაობას თავის თავად მეტად რთული მუშაობაა, რომელიც მოითხოვს საკითხისადმი სიფრთხილით მიდგომას, რომ ფასების დაკლება მოხდეს ზედნადები ხარჯების შემცირების და საქონლის მიმწოდებელ ქსელის რაციონალიზაციის ხარჯზე; ამასთანავე სავაჭრო ორგანიზაციების ხარჯებიდან გამორიცხული უნდა იქნეს ისეთი მუხლები, რომელთა შემცირება არ შეაფერხებს ამ ორგანიზაციების მუშაობას.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საჭიროა თვალყურის დევნება იმისათვის, რომ ფასების დაკლებამ უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს ჩვენი სახელმწიფო ორგანოების და კოოპერაციის მუშაობაზე.

როგორ იქნება ჩატარებული ფასების დაკლება

საცალო ფასების დაკლება იყოფა ორ სხვადასხვა ხაზად: ფასების დაკლება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე და სხვადასხვაგვარ მრეწველობის საქონელზე.

ხორცი და ბოსტნეული

ფასების სწრაფმა ზრდამ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მაისში და ივნისის პირველ რიცხვებში აიძულა რწმუნებულის სამმართველო პირველ რიგში დაეკლო ფასები ისეთ საგნებზე, როგორიც არის ხორცი, ბოსტნეული და რძის პროდუქტები.

ენერგიული ზომების მიღებით და სავაჭრო ორგანიზაციების დახმარებით შესაძლებელი გახდა ძროხის ხორცის ფასის დაკლება 32 კაპ.-დე და ცხვრის ხორცის—40 კაპ.-დე, შემდეგ კი ამ ფას. შენარჩუნ. იმ დრომდე, სანამ სასურსათო პირობებმა ივლისში საშუალება არ მოგვცა დაგვეკლო ძროხის ხორცის ფასი 30 კაპ.-დე და ცხვრის ხორცის—35 კაპეიკამდე.

ასეთივე ფასების ზრდის შემცირებული ღონისძიებებით ჩვენ თავიდან ავიცილეთ არანორმალური მდგომარეობა ბოსტნეულის ბაზარზე იმ მომენტამდე, როდესაც ახალი მოსავლის აღება და ხანდაზმულ-საქონლის პროდუქტების შემოტანამ [illegible] გამო ბოსტნეულის ფასებმა იწყო დაცემა.

სხვადასხვა ხორცის [illegible] ფასების დაკლება სამრეწველო [illegible]

მანუფაქტურა

კალკულაციის ხანგრძლივი შემუშავებით და ხარჯების შემცირებით [illegible] ფასების რეალური დაკლება ბამბეულ მანუფაქტურაზე; დანართები 11,75 პროც. და 12,25 პროცენტიდან შემცირებული იქნა 11 პროც. და 12 პროცენტამდე. ამასთანავე ფასების კიდევ უფრო შემცირება შეუძლებელი შეიქნა მანუფაქტურაზე რკინიგზის ტარიფის 10 პროცენტით გადიდების გამო.

მიუხედავად ამისა, ზედნადები ხარჯების შემდგომი გადასინჯვით განზრახულია გამოიძებნოს საშუალება, რომ ფართლეულობის ფასები დაკლებული იქნეს კიდევ 1 პროცენტით. კოოპერაციის საცალო ფასები დაკლებული იქნება მის შემდეგ, როდესაც ეს საკითხი დაწვრილებით იქნება შესწავლილი. ამჟამად კოოპერაციის დანართები საცალო ფასებზე 19 პროცენტიდან დაკლებულია 17 პროცენტამდე.

ნავთის პროდუქტები

ზედნადები ხარჯების ასეთივე შემცირება ნავთის პროდუქტებზე შეუძლებელი გახდა იმის გამო, რომ ნავთის სინდიკატმა გაადიდა ტარიფი და ნავთის პროდუქტების გასასყიდი ფასები.

ლითონის ნაწარმოები

ამჟამად დღის წესრიგში დგას საკითხი სავაჭრო ორგანიზაციების მიერ ლითონის საქონელზე დაწესებული დანართების გადასინჯვის შესახებ. ეს დღევანდელი მომენტის კონიუნქტურა ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ შესაძლებელია ლითონის საქონლის ნაკლებობის გამოყენება ბაზარზე აჟიოტაჟის გამოწვევის მიზნით.

აუცილებელია მტკიცე და მინიმალური დანართების დაწესება ლითონის საქონლის ცალკე სახეებზე და ჯგუფებზე.

თუ მხედველობაში მივიღებთ სიძნელეს, რომელიც წინ ეღობება ფასების დაკლებას იმ საქონელზე, რომელზედაც შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ უკვე დაწესებულია მტკიცე ფასები, აუცილებელი ხდება მტკიცე დანართების დაწესება ისეთ საქონელზე, რომელთა ფასების მოწესრიგება აქამდე არ ხდებოდა. ამ საქონლის ფასების მოწესრიგება საჭიროა იმ მიზნით, რომ მათზე არ იქნეს გადატანილი ფასების ის შემცირებული ნაწილი, რომელიც ჩამოაკლდება სხვა საქონელს. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ დანართი ისეთ საქონელზე, რომელთა ფასების მოწესრიგება არ ხდება, ზოგჯერ პირდაპირ ფანტასტიურია; ასე, მაგალითად, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზების დანართი სასკოლო ფანქრებზე აღწევს 160 პროც., გალანტერეაზე კი—80—160 პროც.

კოოპერაციის როლი ფასების დაკლების საქმეში

აღსანიშნავია აგრეთვე მავნე გადახრა სასოფლო-სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში; ეს უკანასკნელი სარგებლობს იმით, რომ სოფლად დიდი მოთხოვნილებაა ფართლეულობაზე და მოგების მიღების მიზნით დაწესებულ 19—22 პროც. დანართის მაგივრად აწესებს 35—50 პროც. წვრილად ვაჭრობის დროს.

ასეთი მოქმედება ძირს უთხრის ბაზრის მოსაწესრიგებლად წარმოებულ მუშაობას, რომელსაც ატარებს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი. ამიტომ ის ძირშივე აღმოფხვრილი უნდა იქნეს სათანადო ღონისძიებებით, რომ საფასების დაკლება არ შეჩერდეს საქონლის გამტარებელ ქსელში და ის სარგებლობა შეეტყოს მომხმარებლებისათვის.

ამ შემთხვევაში კოოპერაციამ და მისმა ცენტრებმა განსაკუთრებით მონაწილეობა უნდა მიიღონ ფასების დაკლების კამპანიაში და ყოველგვარი ღონისძიება უნდა გაატარონ მოწესრიგებელ ორგანოების მიმდინარე მომენტის ესოდენ მნიშვნელოვან ამოცანის განხორციელებაში.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ფოთის ნავთსადგურში

ფოთი, 28 ივლისი. სამგზავრო მიმოსვლის გაუმჯობესების მიზნით, გაიხსნა სამგზავრო მატარებლების მოძრაობა ნავთსადგურიდან სადგურამდის.

საზოგადოება „ტრანსპორტი"

ფოთი, 28 ივლისი. საზოგადოება „ტრანსპორტმა" ერევანში გაგზავნა 13 ვაგონი სხვადასხვა მასალა. შაქრის ტრესტთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, საზოგადოება „ტრანსპორტი" თავის თავზე იღებს ყველა ფუნქციებს ფოთიდან შაქრის გადასაზიდათ ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებში. მიღებულია დეპეშა, რომ ერთი თვის შემდეგ ჩამოვა უცხოეთის გემი, ამერიკაში ძირტკბილას წასაღებად.

ახალი აფთიაქი

ოზურგეთი, 28 ივლის. სოფლებს: მაკვანეთის და თხინვალის ცენტრში, სადაც მდებარეობს ჩაის ფაბრიკა, იხსნება აფთიაქი. აფთიაქი დააკმაყოფილებს რაიონის და აგრეთვე მოსაზღვრე რაიონების მოთხოვნილებს.

საქონლის უქონლობა

ქუთაისი, 28 ივლისი. სოფლების ოფშკვითის და საყულის ერთიანი მომხმარებელი საზოგადოებანი საქონლის უქონლობის გამო უმოქმედოთ არიან.

გაფლანგვა

ქუთაისი, 28 ივლისი. ზედა მაღლაკის მთლიან მუშათა კოოპერატივის ნოქარ სიმონ ტყეშელაშვილს 1.344 მან. გაფლანგვისათვის მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით.

ქუთაისის პარკეტის ქარხანა

ქუთაისი, 28 ივლისი. ქუთაისის სამაზრო გამასწორებელ სახლის საპარკეტო და ხე-ტყის სახერხი ქარხანა საჭიროებს ხე-ტყის ნედლეულ მასალას. საშუალებების უქონლობის გამო ქარხანამ ნედლეული ვერ შეიძინა, რის გამო ქარხანა შეკვეთებს არ იღებს.

ახლა ქარხანა ასრულებს ქუთაისის ქალაქის სავაჭრომოყოფის შეკვეთას 200 კვ. საჟ. პარკეტზე.

ჯებირები

ოზურგეთი, 28 ივლისი. სოფლების—შემოქმედის, ბოხვაურის, მელას და წითელ მთის გლეხებმა, რომლებსაც ყველაზე უფრო მეტ ზარალს აყენებს მდინარე ბჟუჟი, ადიდება 140 საჟენიან გასაშენებელ ადგილას მიიტანეს 1.500 ფუთი ცემენტი და ხის ბოძები. გამოწვეულია საკმაო მუშა-ხელი და გასაზიდი საშუალებები. მუშაობა დაიწყება წესით სწარმოებს, იმ იმედით, რომ იგი დამთავრდეს აგვისტოს ბოლომდე.

წერილები

დაუპატიჟებლათ ნუ გვეახლებით

(ს. ვანი, გურია)

ვანის მცხოვრებლებს საეკლესიო დღესასწაულათ დაწესებული აქვთ ეგრეთ წოდებული ფერისცვალება, რომელიც 19 აგვისტოს მოდის. ეს უქმე ისეთ დროს არის, როცა გლეხის მარანი და ბეღელი ცარიელია. ძველი მოსავალი გამოლეულია და ახალიც არაა შემოსული.

ვანში ასოთხმოცამდე კომლია და ამათში ხუთსაც არ მოეპოება მარანში ღვინო. ბევრს სიმინდიც არა აქვს ოჯახის საჭიროებისათვის და არც საყიდელი ფული გააჩნია. მიუხედავათ ყველა ასეთი დაბრკოლებისა, ეს დრომოჭმული და საზარალო ჩვეულება, მაინც ძველებურათ ტარდება.

ამ დღისათვის ყველა დიდ მზადებაში არის, შეძლებულია ის თუ ღარიბი. გლეხები ერთმანეთს ეჯიბრებიან პურ-ღვინის სიუხვეში. ხომ მოგეხსენებათ ქართული პურ-მარილი. გლეხი ერთადერთ მარჩენალ ძროხას გაყიდის ამ დღისთვის და სტუმრებთან სირცხვილს არ შეჭამს.

წინეთ იყო ზომები მიღებული ამ დღესასწაულის მოსასპობათ. გამოქვეყნდა გაზეთებში, რომ ვანმა დაანება თავი ფერიცვალობას. რამოდენიმე წელიწადს მართლაც საგრძნობლათ შესუსტდა უქმობა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ძალიან გაიდგა ფერიცვალობამ ძირი. ბევრი არის ეხლა მონდომებული, რომ ეს უქმე თავიდან მოიშოროს. ამ დღეს აუცილებლათ თევზეულობით უქმობენ, რაც სხვაზე გაცილებით მეტი ღირს. ამ დროს ღვინოც ძალიან ძვირია. გინდა თუ არა ამ დღისთვის მაინც უნდა იყო მზათ, მიტომ, რომ სწორეთ სადილობის დროს გესტუმრება 5—6 კაცი, ზოგჯერ ათიც და გეუბნება: „უნდა გვაქეიფო, თქვენი დღესასწაული, თქვენთვის პატივსაცემლათ ვართ მოსული"—მოგამადლის კიდეც. ძალიანაც რომ არ გრწამდეს, ეს მაინც უნდა შეასრულო, თავს ხომ ვერ მოაჭრი ხალხში, რომ შინ სტუმრები დაუთრობია წავიდნენ.

„თუ პატიჟი იცი და დაითვრე, ისიც შენი ბრალი. როცა გამოდგება მილეწ-მოლეწავს ყველაფერს და გაიღებს გზას. ზოგჯერ მასპინძელს გვერდებსაც დაგიზილავს. ხშირია ისეთი შემთხვევაც, რომ ამ დღის სიმთვრალის მიზეზით სამცირობით გადაეკიდა რამოდენიმე ოჯახი ერთმანეთს.

ძალით, რასაკვირველია, ჩვენ ვერავის დავაკისრებთ, გინდა თუ არა, თავი დაანებე დღესასწაულს, მაგრამ ასეთი ყველას, რანაირი მოყვარე და ნათესავიც არ უნდა იყოს, რომ დაუპატიჟებლათ თავს ნუ შემოუხსნებიან და დღესასწაულის გადახდას ძალით ნუ მოახვევენ თავზე იმ პირებს მაინც, რომლებიც ასეთების სასტიკი წინააღმდეგია.

ხაფანგი.

გულკეთილი მოსამსახურენი

(ახუთის თ., ზუგდ. მ.)

გულკეთილობა კარგი რამეა, რასაკვირველია, მაგრამ კიდევ უკეთესია ის, როცა ეს გულკეთილობა საკუთარ ჯიბის ხარჯზეა დაფუძნებული. ხოლო თუ კაცი გულკეთილობს სხვის ხარჯზე და, რაც უმთავრესია სახელმწიფოს ან კოოპერატივის. ამისთანა გულკეთილობა, მეტი, რომ არა ვთქვათ, წყალსაც წაიღებს.

მოგეხსენებათ ახუთის აბრეშუმის ამხანაგობის პარკის ფარდულზე. ამ ფარდულის ამწონავმა ჯალალონიამ თავი ისახელა სწორე იმგვარი გულკეთილობით, რომელიც მსგავსად ჩვენს წყალს დაუღლეტ. ერთმა მასწავლებელთაგანმა, რომელსაც კარგად იცნობდა გულკეთილი მწონავი, მოიტანა ორხარისხოვანი პარკი. ნაწილი ამ პარკიდან კარგი იყო, ნაწილი კი მეორე ხარისხის.

გულკეთილმა ჯალალონიამ ავიც და კარგიც 1-ლ ხარისხში გაატარა. მაგრამ დახეთ, რა თავის-თავის მტერი აღმოჩნდა ეს „ბრიყვი" მასწავლებელი. მან გულკეთილ ჯალალონიას მოწყალებაზე უარი განაცხადა. მოდა და ჰკითხე ასეთ კაცს ჭკუა. „ეგი, შენს პატრონს უბედურს", გაიფიქრა მწონავმა გუნებაში, შენ კი ააშენებ მამაშენის ოჯახს"-ო.

მაგრამ ეტყობა ახუთის პარკის ფარდული „უბედო ვარსკვლავზე" გაჩნდა. არც ფულის გაცემა აქ მორიგდება, რომ ვთქვათ, მოგვარებული. იყო შემთხვევები, როცა ზოგიერთ გლეხი 3—4-ჯერ მოიხმეს და ყოველთვის უფულოდ გამოისტუმრეს უკან. ბევრი შეიძლება დგება და იღებს რიგის ნომერს, რომ მეორე დღეს ფული თავის დროზე აიღოს. მაგრამ ქალები შემდეგ სამი დღე დგანან ქმრების მიერ მიტანილ ნომრებით და ფულის აღებას მაინც ვერ ახერხებენ.

სამაგიეროთ არიან ახუთის თემში რჩეულნი. მირონცხებულნი, რომლებისთვისაც არც რიგი არსებობს, არც შუაღამეზე ადგომა, არც ქმარის და არც ცოლის შეწუხება. საკმარისია ერთი რომ, უნდა იცნობდე ან შორიდან მაინც ენათესავებოდე პარკის ფარდულის მოსამსახურეებს.

გულკეთილი ხალხია, რაღა თქმა უნდა, ახუთის პარკის ფარდულის მოსამსახურეები, მაგრამ კიდევ უფრო გულკეთილი ყოფილა აბრეშუმის ამხანაგობის ხელმძღვანელები, რომლებიც ასეთ ნათესავ-მეგობრების მოყვარულ თანამშრომლებს სამსახურში აჩერებს და ჯამაგირს აძლევს.

სოფლის მეგობარი.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი ვასო

ჩვენი ვასიკო, ხელობით ასოთ-ამწყობია. მას ტყვიის არმიასთან აქვს საქმე უკვე 32 წელიწადი. ვასო შეუსისხლხორცდა სტამბის მუშაობას ისე, რომ უმისოდ ვასოს ცხოვრება ძნელია.

ამხ. ვასო კომახიძე დაიბადა 1882 წელს გურიაში ს. ჩიბათში. პირველად ის ოზურგეთში მივიდა კოჭია თავართქილაძესთან შეგირდად 12 წლის რომ გახდა, კოჭიასთანავე მუშაობდა



ასოთ-ამწყობი ამხ. ვასო კომახიძე

(მისი სტამბაში 32 წლის მუშაობის გამო)

ვასო აგრეთვე დ. სენაკში და ბოლოს ბათუმში მუშაობდა 1901 წლამდის, შემდეგ ამხ. ვასო 1903—1904 წ. მუშაობს ქ. სოხუმში [illegible] და კალანდარიშვილთან, 1905-დან 1914 წლამდე ვასო გადადის ფოთში და დგება ასოთამწყობათ ტუღუშთან; რომელიც სხვათა შორის ბეჭდავდა არალეგალურ წერილებს და პროკლამაციებს. 1915 წლიდან 1918 წლამდე ვასო შემორთება თბილისში და მუშაობას იწყებს სტამბა „შრომა"-ში ბოლქვაძეებთან, მერე გადის რუსულ გაზეთზე, ბოლოს შრემი რუსულ სტამბაში და მუშაობს გაზ. „ერთობა"-ზე.

1919 წელს ვასო ისევ ბრუნდება ფოთში და რჩება იქ საქართველოს გასაბჭოებამდე, ხოლო 1922 წლიდან ბრუნდება თბილისში და მუშაობას იწყებს გაზეთ „კომუნისტში", დღესაც დაუღალავად განაგრძობს ამ მუშაობას თავის საყვარელ გაზეთზე.

ხელობა, ვასოს შეასწავლა ბათომის ძველმა რევოლუციონერმა ასოთ-ამწყობმა მაქსიმე წულაძემ, რომელსაც არა ერთი და ორი ათეული მუშებისათვის უსწავლებია როგორც ხელობა, ისე რევოლუციონერული ბრძოლაც თვითმპყრობელობასთან და პოლიტიკური განათლება-შეგნება უკარნახებია.

ჩვენი ვასიკო დღეის „კომუნისტის" მეტრანპაჟია. მკითხველებისათვის გაუგებარი იქნება ეს სიტყვა და ამისათვის საჭიროა მისი მნიშვნელობის განმარტება. როცა გაზეთის ყველა მასალა აწყობილია, ის უკვე მზად არის და სვეტებად აწყობილი გრძელ მაგიდაზე, მეტრანპაჟი მის მიერ შედგენილ რედაქციის მიერ შედგენილ რიგის მიხედვით, ეს ერთოფერ გვერდებში არეულა-დარეული აწყობილი და თითოეულ შეკრულ სვეტებს რიგზე დააწყობს, ხოლო კორექტორების მიერ შეცდომების გასწორების შემდეგ, მათ თავისი ადგილი მიუჩინოს, რომ მკითხველმა მიიღოს გაზეთი „კომუნისტი"-ს მზა-მზარეული გვერდები მთლიანად და რიგზე დალაგებული წერილებით).

პატარ-პატარა სხვადასხვა სვეტებიდან ვასო ალაგებს მთლიან გვერდებს, ამ გვერდებს ზომის და მიხედვით აერთიანებს და მკითხველიც ღებულობს მთლიან გაზეთს, ოთხი გვერდისაგან დალაგებულს და აწყობილს, კვირაში ერთხელ კი—კვირაობით—ექვს გვერდს.

ეს სამუშაო მეტად მძიმე და პასუხისმგებლიანია, ამიტომ ვასოს მუშაობა განსაკუთრებულ და ინტენსიურია. ის მუშაობას იწყებს საღამოს 11 საათზე და გრძელდება გათენებამდე, როგორც მზრუნველი მშობელი თავის შვილს, ისე თავჩინდრული მუშაობს იგი, სანამ არ დაიძახებს თანამშრომლების გასაგონად:

— წაიღეთ, უკანასკნელი გვერდიც მზადაა!

ასეთი მუშაობა აწევს ამხ. ვასოს და მის თანაშემწეებს ყოველდღიურ ჰაერწყვეტაში, როცა ჩვენი „კომუნისტი"-ს მორიგე მუშები მზად არიან გაზეთი მკითხველებს დროზე მიაწოდონ.

ხშირად ხდება (განსაკუთრებულ შემთხვევაში), როცა გაზეთს უნდა მკითხველს მიაწოდოს უკანასკნელი ცნობები, რადიოთი გადმოცემული რაიმე პოლიტიკურ საკითხზე, მაგრამ გვერდები თითქმის ყველა შეკრულია. ამ დროს საჭიროა გვერდები დაიშალოს, ახალი ცნობები რომელიმე მის ადგილას მოთავსდეს, სამაგიეროდ რომელიმე ადგილი გადადებულ იქნეს და გაზეთი არ დაგვიანდეს.

აბა გაყვარეს ჩვენი ვასო, როგორ ჯარასავით ტრიალებს ამ დროს! რედაქციის ზედამხედველი კარსახეთ იცდება განკარგულებას:

— ვასო! გვერდიდან ესა და ეს წერილები ამოიღე, რომ უკანასკნელი დეპეშები ჩავათავსოთ!

წუთი და ჩვენი ვასოს პასუხიც ისმის:

— მოიტათ, მოიტა ჩქარა! მზად არის?!

— მოდის!—არის პასუხი მის თანაშემწეთა და გვერდიც ისევ ივსება ახალი საყურადღებო ცნობით.

ასეთია ყოველდღიური ჩვენი ვასოს მუშაობა მეტრანპაჟის თანამდებობაზე.

ხთიაბაულა მამინაა, თუ გაზეთის გვერდზე რამე შეცდომა მოხდა! ამ შემთხვევაში უფრო ხშირად მეტრანპაჟი არ არის დამნაშავე, მაგრამ სხვებთან ერთად, ჩვენ ვასოსაც მაგარ-მაგარი სასჯელიც არ ასცდება ხოლმე. მაგრამ ეს მეგობრული და ამხანაგური დარიგების სახით ხდება, რადგან გაზეთზე მომუშავე—მკითხველის სული და გულია, მისი ინტერესებით, პაპიროზებით მუდამ გამსჭვალული უნდა იყოს როგორც მეტრანპაჟი, ისე მთელი გაზეთის მუშების შემადგენლობაც.

აა ასეთია ჩვენი ვასიკო, ჩვენი „კომუნისტის"-ს მეტრანპაჟი, შრომის გმირი, პატიოსანი და ერთგული მუშა.

32 წელიწადია ჩვენი ვასიკო, რაც დაუღალავ შრომას ეწევა, ძმოებს, აუტანელ, ტყვიის ორთქლში მუშაობს ის, მაგრამ მომავლის იმედით, იმ იმედით, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველა შრომის გმირების დაფასებას მუშაობას პირველ რიგში აყენებს არა სიტყვით, არამედ საქმით. ამიტომ ვასოც თავის ჯერ კიდევ მაგარ ძალ-ღონეს არ ზოგავს და მედგრად განაგრძობს მის მოვალეობას.

ვასო უპარტიო მუშაა, თუმცა წარსულში მას ბევრჯერ ჰქონია შეტაკება თვითმპყრობელობის რეჟიმთან და მონაწილეობაც აქვს მიღებული მის დამხობაში.

მუშკორი ჟ—ნი.

კულტმუშაობაც ასეთი უნდა

ფაქტია, რომ მუშათა კლუბები და განსაკუთრებით კი მ. ც. კლუბი მუშათა უნივერსიტეტია, სადაც მშრომელი ხალხი იტვირთება სწავლა-განათლებით.

წინეთაც კლუბები არსებობდნენ.—მაგრამ არა მუშებისათვის, არამედ ჩვენი მტრებისათვის, რომელნიც მშრომელი ხალხის ნაოფლარით გასუქებულნი, ატარებდნენ დროს განცხრომა-განცხრომით.

დადგა დიადი დრო!—და დიდმა რევოლუციის ძალამ შთანთქა უფსკრულში ის პარაზიტები, რომელნიც უწინ სწოვდნენ სისხლს მშრომელ მასისას.

— დღეს ძალა-უფლება მუშების და გლეხების ხელშია.—მათ დაინგრიეს ძველი ხავს-მოკიდებული წყობილება, რომლის ნაცვლად ააშენეს ახალი. ძველი კლუბები შეიცვალა მუშათა კლუბებით. სისხლის მსმელი ადამიანების თავიანთი ბრჭყალებიდან განთავისუფლებულმა მუშებმა ეხლა თამამად შეუძლიათ იარონ მუშათა კლუბებში, სადაც ისინი ჰპოვებენ გონიერ სიტყვასთან ერთად შეგნება-განვითარებას და გართობას.

საჭიროა და სასურველია მუშათა ცენტრ. კლუბში მუშაობა გაძლიერდეს ისე, რომ მან თავისი დანიშნულება სავსებით გაამართლოს. სამწუხაროდ, ეს ვერ ხდებოდა აქამდე, რომლის დამამტკიცებელი საბუთია ამ კლუბის დავალიანება: მაგრამ ეხლანდელი მესვეურების ენერგიული მუშაობით კლუბი თავისუფლდება ძველი ვალებისაგან და ახორციელებს თავის მიზნებს.

რაც უნდა კარგი, საქმის მცოდნე სპეცი გამგეობის წევრები ჰყავდეს კლუბს, გამგეზე მაინც ბევრი რამ არის დამოკიდებული. იგი ყოველ დღე ხედავს კლუბის ავსა და კარგს საქმეებს, რომელსაც დაკვირვებით ანგარიშს უწევს. სწორედ ასეთი ერთგული მუშაკია ამ კლუბის გამგე ამხ. ელიაშვილი, რომელიც თავისი შესანიშნავი. ზრდილობიანი „მოპყრობით" ცდილობს შეაყვაროს კლუბში მისვლა მშრომელ ხალხს...

რაც შეეხება აქ არსებულ წიგნთ-საცავ სამკითხველოს, ამის მუშაობაზედაც ბევრი დაიწერა გაზეთებში. აქ ამ ჟამად უფრო გაღრმავდა კულტმუშაობა ამ კლუბის გამგის ინიციატივით!—ამას წინათ—თუ ერთი კვირით 35 გაზეთების გამოწერა შეიძლო, როგორც აშკარაა, ფინანსიური კრიზისის გამო. ეხლა მიღებულია ზომები ეს ნაკლი გამოსწორებულ იქნეს...

აი, კეთილსინდისიერი და დაუღალავი შრომა კლუბის გამგისა, რომელსაც უნდა მიბაძონ სხვა კლუბების გამგეებმაც.

მუშკორი—ლადო.

დავეხმაროთ ინგლისის მემადნეებს

ფაბრიკა „პროლეტარი"-ს მუშების კრება

მეორე სახელმწიფო ფაბრიკის—„პროლეტარის" მუშათა და მოსამსახურეთა საზოგადო კრებამ 24 ივლისს 1926 წ. შემდეგი რეზოლუცია მიიღო:

„მოვისმინეთ ამხ. ხაცკევიჩის მოხსენება ინგლისის მუშათა გაფიცვის შესახებ, ჩვენ, ფაბრიკა „პროლეტარი" მუშები და მუშა-ქალები ზიზღს ვუცხადებთ მუშათა საქმის გამცემლებს—ტრედიუნიონების ხელმძღვანელთ. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ ინგლისის სამთამადნო მუშათა და მათი ოჯახების სიმტკიცით, რომელიც ანგრევს კაპიტალისტების ყველა გეგმებს. ინგლისის სამთამადნო მუშებს და მათ ოჯახებს ელის სიმშილი, ჩვენ უცხადებთ მათ, რომ ყოველგვარი საშუალებით დავეხმარებით ბრძოლაში, რომელსაც ისინი აწარმოებენ შეტევაზე გადმოსულ კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

ორთაჭალის რაიონის მუშა ქალების ხმა

მოისმინა რა ამხ. პოლოხოვის მოხსენება ინგლისის სამთამადნო მუშათა გაფიცვის შესახებ, ორთაჭალის რაიონის მუშა-ქალთა და მუშათა ცოლების საზოგადო კრება გამოსთქვამს თავის აღშფოთებას ინგლისის კაპიტალის წინააღმდეგ და აღფრთოვანებას ინგლისის სამთამადნო მუშათა გმირული ბრძოლის გამო, რომლებიც მტკიცედ იცავენ მუშათა კლასის ინტერესებს. ინგლისის სამთამადნო მუშათა საქმე, ჩვენი საქმეა და ჩვენ ვაცხადებთ, რომ ინგლისის სამთამადნო მუშებს და მათ ოჯახებს აღმოუჩენთ ნივთიერ დახმარებას.

შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა ჩვენი ძმებისა და დების მიმართ, რომლებიც სიმშილის საფრთხის წინაშე დგანან.

გაუმარჯოს ინგლისის მუშათა ბრძოლას, რომლებიც ამსხვრევენ კაპიტალისტური მონობის ბორკილებს!

არსრაიონის მუშა-ქალების რეზოლუცია

26 ივლისს მუშათა ცენტრალური კლუბის ბაღში შესდგა არსრაიონის მუშა-ქალთა, მოსამსახურეთა და დიასახლისთა გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრო მრავალი მუშა-ქალი. დღის წესრიგი ყველამ იცის: სამთამადნო მუშათა ოჯახებისათვის დახმარების საკითხი. ქალები მოუთმენლად ელიან კრების გახსნას. კრება გაიხსნა. დიდის ყურადღებით უსმენენ მოხსენებას ამხ. კახიანს. მოხსენება მოსმენილ იქმნა სამ ენაზე—ქართული, რუსულ და სომხურ ენაზე. ქალები მრავალ შეკითხვას აძლევენ მომხსენებელს: მალე მიიღებენ მუშები მათ დახმარებას, შეიძლება შემოწირულების ეხლავე შეტანა, როგორია გაფიცულთა სულიერი განწყობილება, გაუძლებენ თუ არა მუშები გაფიცვას, მივა თუ არა იქამდე ჩვენი სოლიდარობის ხმა, მიიღებენ თუ არა ისინი, ჩვენს დახმარებას, შეუშლიან თუ არა ხელს ტრედიუნიონთა გამცემლები და კაპიტალისტები. სიხარულით აღსავსენი ვბრუნდებით კრებიდან, ქალთა შორის მუშაობამ გამოიღო თავისი ნაყოფი, მუშა-ქალები სულ უფრო და უფრო ებმებიან მებრძოლი პროლეტარიატის რიგებში. იზრდება მომქმედ ქალთა არმიის რიგები.

დასწრე.

მუშა ქალთა მოვალეობა

ინგლისის სამთამადნო მუშები შეურიგებელნი არიან. აი, უკვე სამი თვე გადის გაფიცვის გამოცხადების დღიდან, მაგრამ გაფიცულები არა სთმობენ თავიანთ პოზიციებს; მიუხედავად გამცემელთა—ტრედიუნიონისტების „ბელადების" ყოველმხრივი ცდისა, აიძულონ სამთამადნო მუშები, რომ დანებდნენ, დაუთმონ ბურჟუაზიას, მუშები მაინც განაგრძობენ გაფიცვას, ისინი შეუპოვარი არიან. იმსხვრევა ძალადობის, გამცემლობისა და სიცრუის ბორკილები, რომლითაც იყო შებოჭილი ინგლისის პროლეტარიატი. ინგლისის სამთამადნო მუშები მტკიცედ იბრძვიან მუშათა საქმისათვის. მაგრამ გაფიცულ მუშის ბრძოლას თანა სდევს მისი ოჯახის სიმშილი და საშინელი გაჭირვება. სამთამადნო მუშის დედა, ცოლი, და, უკვე სამი თვეა განუწყვეტელ გაჭირვებას განიცდიან, მაგრამ თავის ქმართან, ძმასთან და შვილთან ერთად გმირულად იტანენ ყოველგვარ გასაჭირს. ჩვენი მუშა-ქალთა მოვალეობაა, დავეხმაროთ გაფიცულ სამთამადნო მუშის ოჯახს და არ მივცეთ საშუალება ბურჟუაზიას, რომ დამშევით დაამარცხოს მუშები. ყველა ქალები, მოსამსახურეები და დიასახლისები უნდა გამოეხმაურონ მუშა-ქალთა მოწოდებას და დაეხმარონ ინგლისის სამთამადნო მუშების ოჯახებს. გავუწოდოთ ხელი ჩვენს მოძმე მუშათა კლასს. და მასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებით გავწიოთ წინ. ინგლისის სამთამადნო მუშების დახმარებით ჩვენ ვქმნით ბრწყინვალე მომავალს და ვიმსხვრევთ მსოფლიო კაპიტალიზმის ბორკილებს.

მუშა-ქალი.

სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის

(ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებათა თავის დროზე და სისწორით შესრულება—ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების დარგში.

პარტიის დირექტივის თანახმად, ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა გამოკვლევა იმისა, თუ როგორ სრულდება ამიერ-კავკასიის დაწესებულებების მიერ ა.-კ. ცაკის, ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს და ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილებები; გამოკვლევის პროცესში გამოირკვა შემდეგი ძირითადი და ყველაზე უფრო ტიპიური მიზეზები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს აღნიშნული დადგენილების შესრულების ტემპზე:

1. დაწესებულებებში არ არის სისტემატიური კონტროლი და მეთვალყურეობა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებათა შესრულებაზე.

საქმეთ მმართველობა, სამდივნო და უწყებების სხვა ანალოგიური ორგანოები კმაყოფილდებიან მხოლოდ დადგენილებების ფორმალური გადაცემით დაწესებულებების სათანადო ნაწილში. კონტროლის უქონლობა ქმნის ისეთ მდგომარეობას, როდესაც ა.-კ. ცაკის, ა.-კ. სახკომსაბჭოს და ა.-კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებების შესრულება ფერხდება თვითონ უწყების ფარგლებში.

2. შემსრულებელ ორგანოების დამოკიდებულება იმ ორგანოებისაგან, რომლებიც მათთან ერთად მონაწილეობას იღებენ დადგენილებების შესრულებაში.

გამოკვლევის დროს დამტკიცდა, რომ დადგენილებების შესრულება გვიანდება იმ ორგანოების მიზეზით, რომელთა მასალებზე ან დასკვნაზე დამოკიდებული საკითხების გადაწყვეტა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების დადგენილებათა შემსრულებელ უწყებების მიერ. განსაკუთრებით ხშირად აგვიანებენ დადგენილებების შესრულებას ადგილობრივი ორგანოები.

ამას გარდა, ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ აღნიშნულ იქნა, რომ დადგენილებების შესრულების დაგვიანებას იწვევს საქმის წარმოების არა რაციონალურად დაყენება, დაწესებულებების სტრუქტურის სირთულე და საკითხების კოლეგიალური სისტემის გადაწყვეტის ზოგიერთი ნაკლოვანებანი.

ყველა შენიშნული დეფექტების აღმოსაფხვრელად ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებას.

სანიტარულ-ჰიდრო-ტეხნიკური სამუშაოები ამიერ-კავკასიაში

(ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა)

საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის დადგენილების თანახმად, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეიმუშავა სანიტარულ ჰიდრო-ტეხნიკურ სამუშაოების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა.

გეგმაში ნათქვამია, რომ ამ სამუშაოების შესრულებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექნება ამიერ-კავკასიისათვის იმის გამო, რომ სანიტარულ-ჰიდრო-ტეხნიკური ღონისძიებებს უშუალო კავშირი აქვს მალარიის ეპიდემიის გამომწვევ მიზეზების მოსპობასთან.

გარდა საერთო ღონისძიებებისა მალარიის წინაღმდეგ, ჯანმრთელობის დაცვის დარგში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა შემდეგ ამოცანებს:

პირველი: მოსახლეობისათვის სუფთა წყალის მიწოდება და ნიადაგებისაგან დამდგარ წყალის გადაყვანა სპეციალურ არხებში (წყალსადენი და კანალიზაცია); მეორე:—ამოშრობა ჭაობების, რომლებსაც დიდი ადგილი უჭირავთ სამივე რესპუბლიკებში და მესამე:—ბრძოლა მთის მდინარეების კალაპოტის მოუწესრიგებლობასთან. ეს მდინარეები ხშირად დიდ ზარალს აყენებენ ქალაქებს და სოფლებს, განსაკუთრებით გაზაფხულზე, როდესაც იწყება წყალდიდობის პერიოდი.

ჭაობების ამოსაშრობათ და მდინარეების კალაპოტის მოსაწესრიგებლად საჭირო სამუშაოების ნაწილი შეტანილია საერთო გეგმაში, რომლის ძირითადი მიზანია მიწის ფონდის გადიდება ბამბის კულტურისათვის საქართველოს და სომხეთის იმ რაიონებში, სადაც მიწების ნაკლებობაა (ფოთის და აფხაზეთის ჭაობების ამოშრობა).

პირველ რიგში ამოშრობილი იქნება ის ჭაობები, რომლებიც ავრცელებენ მალარიას. შემდეგ მიღებული იქნება ზომები ქალაქების დასაცავად წყალდიდობისაგან (ერევანი, ნუხა, ბორჯომი, გორი და სხვა).

ყველაზე უფრო დიდი სამუშაოები იქნება დაწყებული წყალის მიწოდების საქმის მოსაწესრიგებლად დედა-ქალაქებში და მთელ რიგ იმ სამაზრო ქალაქებში, სადაც გავრცელებულია მალარია. კანალიზაცია გაყვანილი იქნება დიდ ქალაქებში და მუშათა ცენტრებში (ბაქო, თბილისი, ერევანი, ბათომი, განჯა, ნუხა, ჭიათურა და სხვა).

ყველა ეს სამუშაოები ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის ანგარიშით დაჯდება: წყალსადენი—32 მილიონი მანეთი, კანალიზაცია—25 მილიონი და ჭაობების ნაწილის ამოშრობა 2,5 მილიონი მანეთი.

მებამბეობა დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ საქართველოს გლეხობა, დაარწმუნა გამოცდილებამ, რომ ისინი, ვინც საქ. მებამბეობის კომიტეტთან დასდო ხელშეკრულება ბამბის დათესვისა და ჩაბარების შესახებ, იაფ ფასებში იღებენ მანუფაქტურას და ხორბალს. ამის გამო გლეხობა თხოვნით მიმართავს ბამბის საზოგადო ქარხნის გამგეს დასდოს მათთანაც ხელშეკრულება ბამბის ჩაბარების შესახებ. ქარხანა იძლევა დაპირებას, რომ ბამბას მიიღებს მათგან იმავე პირობებში, როგორც ხელშეკრულების დამდებ გლეხობისაგან, მაგრამ იმ პირობით, თუ ისინი მთელ ბამბას ჩააბარებენ ქარხანას. გლეხობის ნდობა ქარხნისადმი ძალიან გაიზარდა; ისინი აცხადებენ, რომ მომავალ წელში ყველა დასდებს ხელშეკრულებას საქ. მებამბეობის კომიტეტთან.

ხანგრძლივი წვიმების გამო, რწყვის პერიოდში საჭირო აღარაა ბამბის ნათესის ხელოვნური მორწყვა.

გლეხობა საკმაო ყურადღებით არ ეკიდება ხელოვნურ მორწყვას. ორი არხი—აჯამეთისა და ხორხოულის კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს. დანარჩენი ხუთი: მაჭიდური, პირველი სამოთხა, მუხიანის, ამირაჯიბის და და მდივანის, ჯერ კიდევ არაა დამთავრებული.

ამინდი ბამბის ნათესისათვის მიმდინარე სეზონში ვერ არის ხელის შემწყობი. გვალვა შეცვალა ხანგრძლივმა წვიმებმა, რამაც ცუდად იმოქმედა ნათესებზე. მცირეოდენი ღრუბლიანი ამინდები ხელს უშლის ბამბის ზრდას, ალაგ-ალაგ ბამბის სიმაღლე ¼-ჩონის არ აღემატება. მავნებელთაგან ზარალი ნათესს 10 პროც. შეადგენს. საერთოდ თითოეულ დესეტინაზე 35 ფუთი ბამბა მოვა.

კურორტებზე

მთავარ საკურორტო სამმართველოს ცნობით, ამჟამად წაღვერისა და აბასთუმნის პანსიონატებში ადგილები არ მოიპოვება და თხოვნების მიღება დროებით შეწყვეტილია.

აგვისტოს პირველ რიცხვებიდან განთავისუფლდება ადგილები აბასთუმანში სადაც მიიღებენ სახელმწიფო საწოლებზე უფლების მქონე მოაგარაკეებს.

სულ საკურორტო სამმართველოს ამჟამად აქვს მხოლოდ 600 საწოლი.

ახალი გზატკეცილი

სამხრეთ-ოსეთის ცაკმა შუამდგომლობა აღძრა სახკომსაბჭოსა და გზა-ტკეცილების სამმართველოს წინაშე სამხრეთ-ოსეთიდან რაჭის მიმართულებით ახალი გზა-ტკეცილის გაყვანის შესახებ.

გზა-ტკეცილი შეაერთებს ს. ჯავას ქალ. ონთან. გზის გასაყვანათ არსებობს ორი ვარიანტი: ერთის თანახმად გზა გაყვანილი უნდა იქნეს შემდეგი მიმართულებით: ჯავა-ეფხულთო-ბარკოხილო-ლესორა-ჩასავალი ონი.

მეორე ვარიანტის თანახმად გზა გაივლის ჯავას-ტარგიშის და მამისონის უღელტეხილიდან შეუერთდება ოსეთის სამხედრო გზა-ტკეცილს. გზის გაყვანა ტეხნიკურად სძნელია და დაჯდება დიდი თანხა.

წითელ ჯარში

წითელარმიელთა უპარტიო კონფერენცია

მეოთხე დღე

ივლისის 27-ს სხდომაზე კონფერენციამ მიიღო

რეზოლუცია 1903 წელში დაბადებულ ცვალებად წითელარმიელების მომზადების შესახებ.

რეზოლუციაში ნათქვამია: 1) კონფერენცია სცნობს, რომ მიუხედავათ დროის სიმცირისა, ტერიტორიალურმა ნაწილებმა შესძლეს ცვალებად შემადგენლობის სათანადო მომზადება სამხედრო დარგში, 2) დისციპლინის დარგში ნაწილებმა შესძლეს იმ არანორმალურ მოვლენების შემცირება, რომლებსაც ჰქონდა ადგილი პირველ ხანებში. 3) დამთავრებულია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, 4) წითელარმიელებიდან მომზადებულია ისეთი მუშაკები, რომლებიც თავისუფლად შესძლებენ [illegible] ცოდნის გამოყენებას საზოგადოებრივ მუშაობაში, 5) მიუხედავათ იმისა, რომ [illegible] მრავალი იყვნენ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები, ნაწილებმა შესძლეს წითელარმიელთა 100%-ის ჩაბმა კულტურულ-პოლიტიკურ მუშაობაში.

მზადება ტერშეკრებისათვის

იმავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ახათიანის მოხსენება საერთო ტერიტორიალური შეკრებისათვის მზადებაზე. მომხსენებელმა განმარტა შეკრების წესი და აღნიშნა, თუ რა მუშაობა უნდა აწარმოონ სახლში დაბრუნებულმა წითელარმიელებმა. რომ ხელი შეუწყონ შეკრების ჩატარებას.

უკანასკნელი სხდომა

მუშაობა შეკრებათა შორის

კონფერენციის მორიგ სხდომაზე, რომელიც შესდგა ივლისის 28, ამხ. ბლუაშვილმა გააკეთა მოხსენება შეკრებათა შორის მუშაობაზე და მის ამოცანებზე. იგი მომხსენებელმა სთქვა, რომ სახლში დაბრუნებული ცვალებადი წითელარმიელი არ უნდა დაივიწყოს მუშაკი, არ უნდა გაურბოდეს არჩეულ მუშაობას და ხელს უნდა უწყობდეს ყოველივე სასარგებლო საქმეს. სახლში დაბრუნებულმა ცვალებადმა თავისი ცოდნა უნდა მოახმაროს სოფელს.

მომხსენებელმა ვრცლად შეეხო სოფლის გაამხედრების საქმეს. სამხედრო კუთხეების ორგანიზაციას, მათ მუშაობის მეთოდებს და იმ მუშაობას, რომელიც უნდა აწარმოონ ცვალებადებმა სამხედრო კუთხეებში.

მოხსენების ირგვლივ მიღებულ იქნა შემდეგი

რეზოლუცია:

„კონფერენცია საჭიროდ სცნობს მიეცეს ნაწილების მიერ შინ მიმავალ ცვალებად წითელარმიელებს „ნაკაზი" მათი მუშაობის შესახებ სოფლად, რომელშიაც აღნიშნულ იქნება მთავარი მუხლები: აქტიური მონაწილეობა სოფლის საზოგადოებრივ მუშაობაში, მჭიდრო კავშირის დაჭერა ტერნაწილთან და მის უფროსებთან, აქტიური მონაწილეობა გლეხების გასამხედროების საქმეში, ეროვნული მეგობრობის გაძლიერება გლეხთა შორის".

სხდომის დახურვა

სხდომის დასასრულს ამხ. ბლუაშვილმა და მე-6 ლეგიონის მეთაურმა ამხ. გრიგოლიამ მოკლე სიტყვებში აღნიშნეს ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც აქვს კონფერენციას ტერნაწილების საქმეში, ვინაიდან წითელარმიელებმა თავისი საქმიანი შენიშვნებით სწავლების ირგვლივ, შეძლება მისცეს უფროს ამხანაგებს გაითვალისწინონ მრავალი ნაკლი. ამ ნაკლოვანობების აღმოფხვრა კი წინ წასწევს ტერნაწილების საქმეს.

კონფერენცია დაიხურა საღამოს 5 საათზე „ინტერნაციონალით".

პატარა ფელეტონი

მღვდლების გაფიცვა

„მექსიკაში გაიფიცნენ მღვდლები".
(დეპეშებიდან).

უნდა გითხრათ, გამიკვირდა
ეს ამბავი სასაცილო,
თუმც „სეკრეტნათ" მითხრეს, მაგრამ
მაინც უნდა გავამხილო.
მექსიკაში, თურმე, ხალხო,
„გაფიცულან" მღვდლები... მღვდლები...
მოდი ახლა და სიცილით
კაცი ნულარ დაიღლები.
ახლა სწორედ: დაიკეტა
ღვთის სასახლე—ეკლესია,
და გაფიცულ მღვდლების ნაცვლად
ეშმაკები შეესია.
მღვდლებმა თურმე აირჩიეს
ხელმძღვანელად „გაფიცვკომი",
და მექსიკის პრეზიდენტთან
გაუმართავთ ცხარე ომი.
ამ უცნაურ „გაფიცულებს"
ხელმძღვანელობს არქიელი
(რაც არ ხდება ქვეყანაზე;
სიზმარშიაც რომ არ ელი).
ამბობენ, რომ გადამდები
ზოგი არის მაგალითი,
უსათუოდ შენც გახდები
ავად თურმე კაცი მითი.
და აკი მღვდლებს, „სულის მამებს",
გადაედო გაფიცვა დღეს;
ხალხო, მღვდელი, წვერ ცანცარა
ვინძლო აწი ველარ გაძლეს.
მართალია, ეს გაფიცვა
მაღაროთა არ გავს საქმეს,
მღვდლები მიტომ გაიბუტენ,
რომ საყოფი ვერ „იმასქნეს".
აღარ მისცეს იმათ ნება,
თარეშის და ტყავის ძრობის,
აგრძნობინეს აღსასრული,
მონაზვნებთან თავის რთობის.
უთხრეს: ერთხელ იყავ ისე,
ვით გისწავლის სახარება
იმარხულე, „საიქიოს"
თუ გსურს აგცდეს მწუხარება.
ერთი სიტყვით, ეს გაფიცვა
მღვდლების კუჭის თამაშია,
ატყობენ, რომ ცუდი დარი
დაუდგებათ ჭამაშია.
მაგრამ ხომ კი „გაიფიცენ",
საქმეც სწორედ ამაშია,
ნახონ ახლა, თუ „გაფიცვა"
რანაირი თამაშია.
გაიფიცენ ხალხნო, მღვდლები,
ვნახოთ, აბა, ვნახოთ-ერთი—
რაღას იტყვის „სულის მამებს",
ჯერ „ქრისტე" და შემდეგ „ღმერთი".

ხოზიკა.

ბელგიის მუშათა დელეგაცია

ამ დღეებში თბილისში მოელიან ბელგიის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციას 14 კაცის შემადგენლობით.

დელეგაციაში შედიან: **ვერკრეზი**—ტრამვაელთა კავშირის და ბრიუსელის გაერთიანებულ პროფესიონალთა ჯგუფის მდივანი (დელეგაციის თავმჯდომარე), **გერმანი**—ფეიქარი ქ. ვერვიეს გაერთიანების ჯგუფის დელეგატი, **ბრიეზი**—ანტვერპენის მელითონეთა კავშირის თავმჯდომარე, **ვანკურტუა**—ბრიუსელის მკერავთა ეროვნულ კომიტეტის წევრი, **ერნესტი**—მთლიანობის ჯგუფის, დელეგატი, ანტვერპენის მელითონეთა კავშირის წევრი, **მიუსი**—ტრამვაელი, **ბოხარტი**—მ[illegible], **ტრემანსი**—მელითონე, **სტეივენსი** — მოსამსახურე, **პუანსენი**—სოციალისტურ „ახალგაზრდა გვარდიის" წევრი, **ტრალბოტი**—ჟურნალისტი და პედაგოგი, **გერცი**—მელითონე და **ოტსონი**—კომპოზიტორი, არტისტთა და მუსიკოსთა კავშირის წევრი.

დელეგაციის ნაწილი არჩეულია თავთავიანთ პროფკავშირების მიერ, ხოლო ნაწილი გაერთიანების ჯგუფის მიერ.

დელეგატთა შორის 6 სოციალ-დემოკრატია და 8 უპარტიო.

დელეგატებმა მოსკოვში განაცხადეს, რომ ჩვენი მთლიანობის მომხრე ჯგუფის წარმომადგენლები ვართ და ჩამოვედით საბჭოთა კავშირში იმისათვის, რათა ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოუღოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჭორებისა და ცილისწამების კამპანიას.

მასიური ექსკურსიები

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების საექსკურსიო ბიურო 31 ივლისს აწყობს მასიურ ექსკურსიებს მცხეთასა და ბორჯომ-ბაკურიანში.

ექსკურსიების საერთო მიზანია საქართველოს სიძველეთა გაცნობა.

პირველი მასიური ექსკურსია მოეწყობა მცხეთაში 500-600 კაცის შემადგენლობით. ექსკურსანტებისათვის ისტორიული სიძველეთა ასახსნელად ლექტორებად მოწვეულია პროფესორი **ჩუბინაშვილი, ამირანაშვილი, მელიქსეთბეგი** და სხვები. ექსკურსიაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა მიმართონ თავიანთ კავშირებს, რომლებთაც მიცემული აქვთ განსაზღვრული ადგილი.

ექსკურსია გავა კვირას, დილის 8 საათზე და დაბრუნდება იმავე დღეს, საღამოს 7 საათზე. სამგზავრო ბილეთი იქით-აქეთ ეღირება 40 კაპ.

ბორჯომ-ბაკურიანის მასიურ ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 350 კაცი. ექსკურსია პირველ დღეს დაჰყოფს ბაკურიანში და შემდეგ დღეს ბორჯომში. ექსკურსანტებისათვის სათანადო ახსნა-განმარტების მისაცემად მოწვეულია პროფესორი **ვინოგრადოვ-ნიკიტინი**, პედაგოგები: **გაჩეჩილაძე, სადავსკი** და სხვები.

ექსკურსია გავა შაბათს, საღამოს ხუთ საათზე და დაბრუნდება სამშაბათ დილას. მგზავრობა იქით-აქეთ ეღირება 4 მან. 30 კაპ.

ეკონომიურ საბჭოში

საქონლის საკვების დამზადება

ეკონომიურმა საბჭომ სამეურნეო თვალსაზრისით მიზანშეწონილად სცნო ამიერ-კავკასიის ფარგლებში ფურაჟის დამამზადებელი სპეციალური ორგანიზაციის მოწყობა.

ელსადგურის მოწყობა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში

ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა საქ. ს. მ. ე. საბჭოს შეუდგეს მუშაობას იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მიზანშეწონილია ელსადგურის მოწყობა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების რაიონში.

ზემოხსენებული მუშაობის ჩასატარებლად საჭირო თანხა 2.500 მან. უნდა გაიღოს საქართველოს „სახ. სათბობმა".

ინფუზორულ მიწის დამუშავება

ინფუზორი მიწის დამუშავების საქმე მიენდო საქ. ს. მ. ე. საბჭოს სამთო ქიმიურ კომბინატს.

ინფუზორი მიწის სხვა ნიადაგზე დამუშავების დაწყებამდე ამ ნაწარმოებისათვის კრედიტების მიცემა უნდა ხდებოდეს ადგილობრივი მრეწველობის ფონდიდან.

ინფუზორის მიწის დამუშავებისაგან მიღებულ თანხებში ადგილობრივი მაზრაღმასკომების მონაწილეობა უნდა იქნეს ისეთივე წესით, როგორც ეს ბარიტის დამუშავების საქმეში არის მიღებული.

საადმშენებლო მუშაობა კურორტებზე

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საკურორტო სამმართველოს მიერ წარმოდგენილი პროგრამა საქართველოს კურორტებზე მიმდინარე წლის საადმშენებლო სარემონტო სამუშაოების შესახებ.

სამეურნეო ორგანოთა ბალანსების განმხილველ კომისიაში

სამეურნეო ორგანოთა ბალანსების განმხილველ საუწყებათა შორისო კომისიამ დაამტკიცა გადასინჯულ საქართველოს ს. მ. ე. საბჭოს ტრესტების ბალანსი, გამოარკვია მათი მოგების ნამდვილი რაოდენობა მიმდინარე წლის განმავლობაში და აგრეთვე ამ მოგების სავარაუდო გასათვალისწინებელი ზრდის შესაძლებლობა 3 წლის განმავლობაში.

ტელეფონის ქსელი

ბათომის ტელეფონის ქსელის გაფართოება

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს მომავალი წლიდან შეუდგეს ბათომის ტელეფონის ქსელის გადაკეთებას ორმავთულიან ხაზით, რაც ორჯერ გაადიდებს ტელეფონების რიცხვს ქალაქში.

ტელეფონის ხაზი ბორჯომ-ხაშური

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი ახლო მომავალში შეუდგება ახალი ტელეფონის ხაზის მოწყობას ბორჯომსა და ხაშურს შორის.

სამხრეთ-ოსეთის ტელეფონიზაცია

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი ახლო ხანში შეუდგება ცენტრალურ სატელეფონო სადგურის აგებას ცხინვალში. ამასთანავე გაყვანილი იქნება ტელეფონის ქსელი მთელ სამხრეთ-ოსეთში.

ცხინვალში დადგმული იქნება 25 საქალაქო ტელეფონი.

სარემონტო სახელოსნო

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შემკეთებელი სახელოსნოს უქონლობა ძალიან უშლის ხელს მათი გავრცელების საქმეს, ჩვენ სასოფლო-მეურნეობაში; ასეთი სახელოსნოს უქონლობის გამო ბრკოლდება მანქანა-იარაღების შეკეთების საქმე და ამის გამო მანქანების ხშირად გამოუყენებელი რჩება.

ამიტომ „ზაკსელმაშ"-მა გადასწყვიტა თბილისში ცენტრალურ სარემონტო სახელოსნოს მოწყობა. სახელოსნოს მოსაწყობად საჭირო მოწყობილობანი უკვე შეძენილია და დაიწყება შესაფერი შენობის აგება რიყის ქუჩაზე (ყოფილ ციციანთ აღმართის) ძირში.

ცენტრალურ სახელოსნოს მოწყობის შემდეგ; მოეწყობა სტაციონალური და მოძრავი სახელოსნოები რაიონში.

კოოპერაცია

ასანთი

ცეკავშირმა ქუთაისის განყოფილებისათვის დაუკვეთა 3 ვაგონი ასანთი.

ჭურჭელი

ცეკავშირმა შეიძინა და დაურიგა კოოპერატივებს ერთი ვაგონი ლამფის მინა. გარდა ამისა, შეიძინა ორი ვაგონი ჭურჭელი.

კალოშები

ახალ გენერალურ ხელშეკრულების თანახმად, შემოდგომისათვის ცეკავშირი მიიღებს 17.000 წყვილ კალოშს.

სატყეო მრეწველობის მუშაკთა ყრილობა

მესამე დღე, საღამოს სხდომა

28 ივლისის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ტრესტის ფინანსიური მდგომარეობის, სატყეო მრეწველობის განვითარების პერსპექტივების და მარელისის გრეხილ-ავეჯეულის ფაბრიკის შესახებ.

სატყეო მრეწველობის ტრესტის ფინანსიური მდგომარეობა

ტრესტის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ მომხსენებელმა ამხ. ჩხეიძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველ ხანებში დამუშავებულია 692 ათასი მანეთის სატყეო მასალა, ე. ი. 7% მეტი, ვიდრე გასული წლის 8½ თვის განმავლობაში. უფრო მეტი ნაყოფიერება ემჩნევა ავეჯის წარმოებას, რომლის დამუშავებაც გასულ წელთან შედარებით გადიდებულია 46%-ით.

პროდუქციის რაოდენობის გადიდება გამოწვეულია ზოგიერთი ქარხნების ნაყოფიერების ზრდით და ტრესტის უწყებაში ახალციხის სატყეო ქარხნის გადმოსვლით. აღსანიშნავია, რომ ქარხნების გაცვეთილობის, მუშა ხელის გაძვირების და მთელი რიგი ობიექტური პირობების გამო ადგილი აქვს დახარჯვის გაძვირებას თითქმის 20%-ით გასულ წელთან შედარებით.

ტრესტის წმინდა მოგება უდრის 125 ათას მანეთს.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს ტრესტის ფინანსიურ მდგომარეობის გართულებას, რომლის მთავარი მიზეზიც არის საკუთარი თანხების უქონლობა. ტრესტის საბრუნავი თანხის 99%-ს შეადგენს ნასესხები თანხა.

მაგ. ბანკიდან სესხად გამოტანილია ერთი მილიონი მანეთი, ხოლო სახალხო კომისართა საბჭოდან 250 ათასი მანეთი გრძელვადიანი სესხის სახით, მხოლოდ 10 ათასი მანეთი არის საკუთარი თანხა,—ეს მაშინ, როცა ტრესტის საწარმოო პროგრამის განსახორციელებლად საჭიროა 6 მილიონი მანეთი. მიუხედავად ასეთი მძიმე ფინანსიური მდგომარეობისა, ტრესტის ბალანსი მაინც მნიშვნელოვანი ზრდა ეტყობა. ბალანსის აქტივი უდრის—4.200.000 მანეთს. ანგარიშიანობის საქმე, რომელსაც ზოგიერთ ადგილებში ემჩნეოდა ჩამორჩენილობა და სისუსტე, ამჟამად უკვე სავსებით გამოსწორებულია.

სატყეო მრეწველობის პერსპექტივები

მომხსენებელი ინჟ. გურამიშვილი შეეხო რა საქართველოს სატყეო მრეწველობის დღევანდელ ვითარებას, დაწვრილებით შეჩერდა სატყეო მრეწველობის ყველა დარგების განვითარების პერსპექტივებზე, მომხსენებლის გადმოცემით 5 წლ. საპერსპექტივო გეგ. განხრ. მთელ რიგ ახალ წარმოებათა გახსნა-მოწყობა სატყეო მრეწველობის ყველა დარგებში და არსებულ ქარხნების საფუძვლიანი გადაკეთება. მაგრამ ბაზარზე გამოსატანი პროდუქციის საერთო ღირებულება 5 მილიონი მანეთიდან 1930 წლის დასასრულისათვის აყვანილი იქნება 10 მილიონ მანეთამდე, ე. ი. გაორკეცდება.

პროდუქციის ზრდასთან ერთად გადიდებულ იქნება მუშა ხელის რაოდენობაც.

მარელისის გრეხილ-ავეჯეულის ფაბრიკა

მომხსენებელი ინჟ. ბითაძე აცნობს ყრილობას, რომ მარელისის ფაბრიკის აგება და მოწყობა უკვე მთავრდება. 13 ივლისს უცხოეთიდან გამოგზავნილია დაზგების უკანასკნელი პარტია ფაბრიკისათვის. ჯერ-ჯერობით ფაბრიკის მოწყობაზე დახარჯულია 650 ათასი მანეთი. ფაბრიკის სრული მოწყობა და ამუშავება ჯდება—1.000.000 მანეთი. ამ თანხაში შედის ხარჯები მასალის ჩამოსაზიდი სამთვლიანი გზის გასაყვანად ტყეში ავარისკიდან ფაბრიკამდე და მუშათა საცხოვრებელი სახლების ასაგებად. ფაბრიკა ამუშავებულ იქნება მიმდინარე წლის სექტემბერში. ქარხნის ნაყოფიერება იქნება 50 დუჟინი ვენის სკამი დღიურად ფაბრიკის პროდუქციის გასასაღებელი ბაზარი უზრუნველყოფილია.

ფაბრიკაში იმუშავებს დაახლოებით 300 მუშა ხელი. ამჟამად სწარმოებს ადგილობრივ გლეხთა ახალგაზრდების გაწვრთნა იმ მიზნით, რომ მათგან მომზადებული იქნეს ფაბრიკისათვის კვალიფიციური მუშა ხელი.

არაპირდაპირი გადასახადი

1925—26 წლის პირველ ნახევარში

1925—26 საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში შემოვიდა აქციზი:

საქართველოში	3.887.490 მან. 29 კაპ.
აჭარისტანში	495.274. მან. 94 კაპ.
აფხაზეთში	243.148 მან. 85 კაპ.
ს უ ლ	4.625.914 მან. 08 კაპ.

— მთავარ საშემოსავლო წყაროს წარმოადგენენ შემდეგი საგნები:

თამბაქო	1.700.793 მან. 62 კაპ.
შაქარი	909.856 მან. 44 კაპ.
სპირტი	648.714 მან. 67 კაპ.
ღვინო	316.524 მან. 86 კაპ.
ნავთის ნაწარმოები	295.582 მან. 56 კაპ.

ნავარაუდევია 1925—26 წლის განმავლობაში 8.035.000 მან. ამგვარად 1925—26 წლის პირველ ნახევარში შემოვიდა მეტი, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო ნახევარი წლისათვის 4.017.500 მანეთით. აქედან უნდა გამოირიცხოს აქციზი მარილზე და კალოშებზე, რომელთაც ა.-წ. 1-ლ აპრილიდან ხდებათ აქციზი თვით წარმოების ადგილზე (კალოშების ფაბრიკა და მარილის სამრეწველოები საქართველოში არ არის). ორივე შემთხვევაში შაქრის აქციზზედაც, რომელზედაც ხდება აქციზი როგორც ცენტრში ისე საქართველოშიაც.

1924-25 წლის პირველ ნახევარში აქციზის შემოსავალი უდრის:

საქართველოში	2.663.093 მან. 75 კ.
აჭარისტანში	279.978 მან. 70 კ.
აფხაზეთში	56.528 მან. 84 კ.
სულ	2.999.601 მან. 29 კ.

ამგვარად 1925-26 წლის პირველ ნახევარში შემოსული აქციზი 1.626.312 მან. 79 კაპ. მეტია 1924-25 წლის პირველ ნახევარში შემოსულ აქციზზე ე. ი. აქციზის ზრდა უდრის—54,3%.

აქციზის შემოსვლის გადიდება ხდება თამბაქოს ნაწარმოებს—714.175 მან. 50 კ. მეტი, რაც აიხსნება როგორც თამბაქოს ნაწარმოების ქურდულად შემოტანასთან გეგმიანი ბრძოლით, ისე თამბაქოს ბაზრის მოთხოვნილების გადიდებით და საქართველოს მოსახლეობის ზადახდის უნარიანობის მნიშვნელოვანი ზრდით. გარდა ამისა ამ მოვლენას დიდათ უწყობს ხელს საქართველოს თამბაქოს ნაწარმოებზე დიდი მოთხოვნილება აზერბეიჯანში, სომხეთში, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში და განსაკუთრებით რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში.

თათბირი

სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომარაგების შესახებ

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების დამამზადებელი და განმანაწილებელი სააქციო საზოგადოება („ზაკსელმაში") 12 აგვისტოსათვის თბილისში იწვევს ამიერ-კავკასიის თათბირს სასოფლო-მეურნეობისათვის იარაღ-მანქანების მომარაგების შესახებ.

განსახილველია შემდეგი საკითხები: ა.-კავკასიის ცალკე რაიონების ნიადაგის თვისებათა გამორკვევა, ადგილობრივ მეურნეობისათვის მანქანების ადგილობრივ დამზადება და წვრილ ხელსაწყო იარაღების დამზადების გაფართოება, რათა უცხოეთის იარაღ-მანქანების შეცვლილიყვნენ ადგილობრივ დამზადებული მანქანებით. სტაციონალურ და მოძრავ სარემონტო სახელოსნოების მოწყობა და გლეხებისათვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენა, იარაღ-მანქანებზე წინასწარი ხელმოწერის ჩატარება და სხვ.

მასწავ. გადამზადება

სახალხო სკოლებისათვის საჭიროა კვალიფიციური მასწავლებლები. ახალი მასწავლებლების მომზადება სწარმოებს, ერთის მხრივ, სათანადო სპეციალურ სასწავლებლებში, მეორეს მხრივ კი, გადასამზადებელ კურსებზე.

გადასამზადებელ კურსებს ხსნის განათლების სახალხო კომისარიატი ზაფხულობით. მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები მოწყობილი იყო შარშანაც; ასეთი კურსები მოწყობილია წელსაც.

კურსები გახსნილია ონში, ხაშურში, თელავში და კოჯორში, სადაც სწარმოებს ოთხწლედების მასწავლებელთა გადამზადება. საქართველოს თვითეულ მაზრას ამ კურსებზე დათმობილი აქვს ადგილების განსაზღვრული რაოდენობა. სულ ამ პუნქტში მეცადინეობს ოთხწლედების 280 მასწავლებელი.

თელავში გახსნილია კურსები სასოფლო ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებლად. აღსანიშნავია, რომ ეს სკოლები გლეხობის დიდი ნდობით სარგებლობს. განათლების სახალხო კომისარიატმა გადაწყვიტა მომავალი სამოსწავლო წლიდან გააფართოვოს სასოფლო ახალგაზრდობის სკოლების ქსელი. ამისათვის კი საჭიროა მომზადებული მასწავლებლობა. ამიტომ, თელავის კურსებზე გაწვეულია სასოფლო ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა დიდი ნაწილი (95 კაცი).

თელავში გახსნილია აგრეთვე შვიდწლედების მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები. ამ კურსებზე მეცადინეობს 158 კაცი.

გარდა ამისა, კოჯორში გახსნილია სახალხო განათლების ინსტრუქტორთა კურსები, რომელზედაც მეცადინეობს 25 კაცი.

ყველა ეს კურსები გახსნილია ქართველი მასწავლებლებისათვის. უყურადღებოთ დატოვებული არ არის ეროვნულ უმცირესობათა სკოლებიც. ახალქალაქში მოწყობილია კურსები ოთხწლედების მასწავლებელთა აქტივის გადასამზადებლათ (65 კაცი); ახალციხეში გახსნილია კურსები მუსლიმან მასწავლებელთა გადასამზადებლათ (100 კაცი); აღბულაღში მოწყობილია კურსები ბერძენ და რუს მასწავლებელთა გადასამზადებლათ (50 კაცი).

თავის დროზე იყო მიღებული ყველა ზომები იმისათვის, რომ კურსებზე მეცადინეობა არ შეფერხებულიყო. მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობს.

ჩაი

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს ცნობებით, ჩაის კულტურა წელს საქართველოში განვითარდა. აჭარისტანში ჩაის პლანტაციების სივრცე უდრის 1.300 დესეტინას. თბილმა ზამთარმა ხელი შეუწყო ჩაის პლანტაციების მდგომარეობის გაუმჯობესებას. მოსალოდნელია კარგი მოსავალი.

აჭარისტანის გარდა, ჩაის პლანტაციები გაშენებულია გურიაში. აქ მათი სივრცე უდრის 280 დეს.

სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-მ ამას წინად დამთავრა ორი ჩაის ფაბრიკის მოწყობა გურიაში. ფაბრიკებში დადგმულია საბჭოთა კავშირის ქარხნებში დამზადებული მანქანები. ორივე ქარხნის ნაყოფიერება უდრის 3.000 ფუთ ჩაის.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე დაიწყება კიდევ სამი ახალი ფაბრიკის აგება და არსებული ფაბრიკების მოწყობილობის გაუმჯობესება.

ჩაის საცდელ-საჩვენებელი პლანტაციები მოწყობილია გურიაში, აჭარისტანში და სამეგრელოში.

ცხენების გადარბენა

აგვისტოს პირველ რიცხვებში, სამხედრო უწყების მეთაურობით ეწყობა ცხენთა გადარბენა თბილისიდან-სოხუმამდე.

ეს გადარბენა პირველია მსოფლიოში თავისი ხასიათით და მანძილის სიდიდით.

გადარბენა იწარმოებს მთებზე და უღელტეხილებზე საცალფეხო გზებით და ნაწილობრივ საურმე გზებით. მთელი გასავლელი მანძილი უდრის 750 კილომეტრს.

გადარბენის მარშრუტი ასეთია: თბილისი-გორი-ცხინვალი (გზა-ტკვერცილით). ცხინვალიდან გადაივლიან ბერენჯას მთას (5.201 ფუტი ზღვის დონიდან) და შემდეგ ჩავლენ საჩხერეში. საჩხერიდან გადაივლიან რაჭის მაზრაში სიმზრის უღელტეხილით (846 საჟ. ზღვ. დონ.).

ამბროლაურიდან სოფ. შქმერიდან ჩავა ქ. ონში. აქედან გაემართებიან ლეჩხუმის მაზრისაკენ შემდეგი პუნქტების გავლით: ჭრებალო-ალპანა-ორბელი—ცაგერი. ცაგერიდან გაივლიან ქვემო სვანეთში. იქიდან ლატპარის უღელტეხილით (9.266 ფ. ზ. დ.) გადავლენ ზემო-სვანეთში.

სვანეთში ცოტა ხნის შესვენების შემდეგ უმიარის უღელტეხილით (8.911 ფუტი) გადავლენ აფხაზეთისაკენ ხიდის უღელტეხილით და წებელდის გავლით ჩავლენ სოხუმში.

გადარბენაში სულ მონაწილეობას მიიღებს 20 სხვადასხვა ჯიშის ცხენი.

ექსპონატების განაწილება

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსპონატების განაწილება დამთავრდა

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილ ექსპონატების განაწილებისათვის ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან დაარსებული იყო სპეციალური კომისია. კომისიამ მუშაობა უკვე დაასრულა.

ექსპონატების განაწილების შედეგებიდან გამოირკვა, რომ უმეტესი ნაწილი ექსპონატებისა, რომლებიც წარმოადგენენ ღირებულებას ა.-კავკასიისათვის დარჩა სამრეწველო ორგანიზაციებს.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს, გამოფენაზე ისინი მცირე რაოდენობით აღმოჩნდა. ზოგიერთი მათგანი სრულიად გამოუსადეგარია ა.-კავკასიის სასოფლო მეურნეობისათვის.

ექსპონატებზე შემოსული განცხადებები დაკმაყოფილებულ იქნენ კომისიის მიერ, ხოლო ის წვრილი განცხადებები, რომლებიც შეტანილ იყვნენ „ზაკსელმაში"-ს სახელზე დაკმაყოფილებულ იქნენ უშუალოდ უკანასკნელის მიერ. ყველა დანარჩენი ექსპონატები, რომლებიც კომისიის მიერ გაუნაწილებელი დარჩა, მიიღო „ზაკსელმაშ"-მა გარდა ისეთებისა, რომლებიც თავისი დასით მიუღებელია ამიერ-კავკასიის სასოფლო-მეურნეობისათვის. უკანასკნელებს აბრუნებენ უკანვე.

ტყეჩის ქარხანა

ქარხნისთვის ბათომში მიღებულია 42 დაზგა

ახლო ხანში დამთავრდება მუშაობა წიფლის ტყეჩის ქარხნის მოსაწყობად ბორჯომში.

ბათომში მიღებულია 42 სტკეპე დაზგა, ტრანსმისიები და სხვა მოწყობილობა, რომელთა ღირებულება უდრის 106.850 მანეთს.

ახლო მომავალში მიღებული იქნება ქარხნის სახერხი განყოფილება და ხერხები ყველა დაზგებისათვის.

ქარხანა იმუშავებს ელექტრო-ენერგიით, რისთვისაც ბორჯომის ჰიდრო-ელექტრო სადგური გაფართოებული იქნება ერთი ტურბინით. შეძენილია 30 ელექტრო-მოტორი. მათ დადგმამდი და ბორჯომის ჰიდრო-ელექტრო სადგურის გაფართოებამდი იმუშავებს ორთქლით მამოძრავებელი, რომელიც გამოწერილია გერმანიიდან.

ქარხნის სრული მოწყობა დაჯდება 488.200 მანეთი. საბრუნავ თანხებისა და ნედლი მასალის დამზადებისათვის საჭიროა 150.000 მანეთი. სულ საჭიროა 638.200 მანეთი, აქედან 500.000 მანეთი უკვე გაღებულია სათანადო ორგანოს მიერ.

ქრონიკა

რამდენი წიგნი გამოვიდა თბილისში

განათლების სახალხო კომისარიატის მთავლიტის ცნობებით, თბილისში 1 მაისიდან 28 ივლისამდე გამოცემულია წიგნები (სახელმძღვანელოები, სამეცნიერო, სამხატვრო, პოლიტიკური, იურიდიული და სხვა წიგნები) ქართულ ენაზე—75 სახელწოდების, რუსულ ენაზე—32, სომხურად—1 და თურქულად—1.

იმავე დროის განმავლობაში გამოცემულია ბროშიურები ქართულ ენაზე—23 სახელწოდებით, რუსულათ 4, სომხურად—10 და თურქულად—1.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ისტორია და არქეოლოგია

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის მიერ თბილისში გამოცემული იქნება „კავკასიის სისტორიო-არქეოლოგიური ინსტიტუტის უწყებების" მე-4 ტომი რუსულ ენაზე.

თბ. აღმასკომში

პროგრამის დამტკიცება. თბილისის განათლების განყოფილებამ შეიმუშავა და დაამტკიცა პროგრამა, რომლის მიხედვით ოთხწლედებში და ცხრაწლედებში ახლად დანიშნულმა მასწავლებლებმა უნდა ჩააბარონ გამოცდები.

ბინებიდან გამოსახლება. განათლების განყოფილებას განზრახვა აქვს ის პირები რომლებიც მსახურებდენ, მაგრამ ეხლა აღარ მსახურებენ ამა თუ იმ სასწავლებლებში და მაინც განაგრძობენ ცხოვრებას აღნიშნული სასწავლებლების უფასო ბინებზე, გამოასახლოს ამ ბინებიდან.

ექიმის გაგზავნა კოჯორში. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა, ზაფხულის განმავლობაში კოჯრის ბავშვეთა კოლონიისათვის გაგზავნოს ერთი ექიმი.

ფეხბურთელთათვის. აღმასკომის ფეხბურთელთა გუნდს მიეცა 230 მან.

— **საბავშვო სახლი ს. ვაშლოვანში.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა ს. ვაშლოვანში ახალი საბავშვო სახლის შენობის შესაკეთებლად—6.680 მან. რაოდენობით. ეს თანხა გაღებულ იქნება უმწეო ბავშვთა საჭიროებისათვის გადადებულ 10 ათას მანეთიანი ფონდიდან.

— **თივის დასამზადებლად.** პრეზიდიუმმა დაადგინა აღმასკომის განყოფილებათათვის მიმდინარე ზაფხულის სეზონში თივის დასამზადებლად, ბაზრის და ქალაქის ბიუჯეტით გადადებულ იქნას 30.550 მან. 50 კაპ.

ს. ხაშმის გზა. პრეზიდიუმმა მიიღო ს. ხაშმის გზის გეგმის სამი ვარიანტიდან პირველი ვარიანტი და დაადგინა რათა მუშაობა ჩატარებულ იქნას ადგილობრივ მოსახლეობის მიერ.

— **ტეხნიკური განყოფილებისათვის.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა გაღებულ იქნას აღმასკომის მოულოდნელი ხარჯებიდან, ახლად დაარსებული ტეხნიკური განყოფილების ხარჯებისათვის მიმდინარე საბიუჯეტო წლის დამლევამდე—3.937 მან.

კეთილმოწყობის განყოფილებაში

— **მნაცაკანოვის ხიდის შეკეთება.** აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებამ დაადგინა მოახდინოს მნაცაკანოვის ხიდის კაპიტალური შეკეთება; ხიდის შეკეთება უნდა დამთავრდეს თვენახევრის განმავლობაში.

— **თბილისის ხიდების შემოწმება.** აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილებამ, თბილისის ყველა რკინის ხიდების შემოწმება მიანდო ა.-კ. რკინისგზების სამმართველოს.

— **ვაკის ჭაობიდან წყალის გადმოშვება.** დასრულდა წინასწარი მუშაობა და ამ დღეებში ვაკის ჭაობიდან წყალს გადმოუშვებენ ვერაზე.

— **კომუნარების ბაღი.** კვირას 1 აგვისტოს გაიხსნება კომუნარების (ყოფილი ალექსანდროვს) ბაღი; ამ დღისათვის დამთავრებული იქნება ბაღის მოსაწყობი მუშაობა.

სხვადასხვა

— **სახადით ავადმყოფობის შემცირება.** სტატისტიკური განყოფილების ცნობით 1925 წელს იყო აღრიცხული მუცლის სახადით ავადმყოფობის 47 შემთხვევა, 1922 წელს კი იყო ამ ავადმყოფობით დაავადების 1.387 შემთხვევა.

— **ყურძნის მოსავალი.** ა.-კ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით მთელ ამიერ -კავკასიაში, სომხეთის გარდა, ყურძნის მოსავალი იქნება საშუალოზე მეტი; სომხეთში კი საშუალოზე ნაკლები.

— **აბრეშუმის თესლი.** შემუშავებულია გეგმა და მიღებულია ზომები, რომ მომავალ წელს დამზადდეს 100 ათასი კოლოფი აბრეშუმის თესლი.

— **წინადადება კოოპერატივებს.** სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს მიეცათ წინადადება, რომ მათ მიერ შეძენილ საქონლის 80 პროც. უსათუოდ შეადგენდეს სოფლისათვის საჭირო პირველი მოთხოვნილების საგნები.

კრებები და მოხსენებები

— **კრების გადადება.** ბავშთა მეგობრების საზოგადოების წევრთა საერთო კრება, რომელიც დანიშნული იყო 29 ივლისისათვის, გადაიდო 4 აგვისტოსათვის.

— **კოოპერატიული ჟურნალი.** ამა წლის პირველ აგვისტოდან საქართველოს კოოპერატიული საბჭო გამოსცემს ორკვირეულ კოოპერატიულ ჟურნალს „საქართველოს კოოპერაცია"-ს სახელწოდებით. ჟურნალი გამოვა ამხ. ა. ერქომაიშვილის რედაქტორობით.

ჟურნალში მოთავსებული იქნება წერილები სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციაზე.

ხელოვნების ქრონიკა

— **მუშაკთა ახალ კლუბში.** პარასკევს 30 ივლისს, მუშათა ახალ კლუბში გაიმართება სიმფონიური კონცერტი, დამსახურებულ მსახიობის ს. ა. სტოლერმანის ხელმძღვანელობით.

— **მუშათა ცენტრალურ კლუბში.** პარასკევს 30 ივლისს მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართება წარმოდგენა რუსულ ენაზე, დაიდგმება პიესა—„ქალი ტრამვაიდან".

შემთხვევები

— **გვამის პოვნა.** გუშინ დილით ავჭალაში მდინარე მტკვრის პირას იპოვეს დამხრჩვალი დედაკაცის გვამი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია.

— **მტკვარში გადავარდნა.** სამშაბათს, 27 ივლისს ღამის 12—1 საათზე ვერის ხიდთან მტკვარში გადავარდა მოქ. ალ. კოჩლაშვილი.

— **ბინის გაქურდვა.** 27 ივლისს ფანჯრის მინის ამოღების საშუალებით ქურდი შეიპარა ი. ოქროპირიძის ბინაში, გრიბოედოვის ქ. 6-ში და წაიღო 90 მან. სხვადასხვა ნივთები.

— **ქურდობა ჯანმრ .განყ. აფთიაქში.** ჯანმრთელობის განყოფილების აფთიაქიდან მოუპარავთ 2,000 მან. ღირებული საქონელი, ეჭვით დაპატიმრებულია ამავე აფთიაქის მოსამსახურე ვ. ბატნისაშვილი.

— **ქურდი შვილი.** 27 ივლისს გულისტან ნაბიევმა განაცხადა მილიციაში, რომ მისმა შვილმა სადიხ-ოღლიმ მოჰპარა ბინიდან 200 მან. სხვადასხვა ნივთები და მიიმალა.

— **ჯიბგირობა.** 27 ივლისს დესიმონოვის მოედანზე ჯიბიდან ამოაცალა სიმ. შანშიაშვილს ს. თუმანოვმა 24 მან. ქურდი იქვე დააპატიმრეს.

— **გაქურდვა.** 27 ივლისს დილით გაქურდეს ა. ბატიევის ბინა (პლეხანოვის გამზირზე), წაიღეს ტანისამოსები ღირებული 100 მან.

ფართლეულობის ბაზარზე

თბილისის ფართლეულობის ბაზარზე გრძელდება გაცხოველებული მოთხოვნილება თითქმის ყოველგვარ ქსოვილებზე. მოსავლის შეგროვების და რეალიზაციის დაწყების გამო, გლეხობის მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. სოფელი მოითხოვს ფართლეულობას, უმთავრესად ბამბეულ ქსოვილებს.

ამით აიხსნება, რომ ბამბეული მანუფაქტურა მიღებისთანავე საღდება. აღსანიშნავია ისიც, რომ კლიენტურა ეხლავე იმარაგებს საზამთრო ქსოვილებს.

შემოტანილი საქონლის ასორტიმენტი სავსებით შეეფერება როგორც ბაზრის მოთხოვნილებას, ისე სავაჭრო ორგანიზაციების საჭიროებებს.

სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერაციას საქონელი ეძლევა საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილებიდან 11 პროც. დანართით (წინანდელი დანართი კი იყო 12 პროც.).

კერძო პირებს საქონელი არ ეძლევათ. კერძო ბაზრის მომარაგებას საფეიქრო საქონლით არასისტემატიური და შემთხვევითი ხასიათი აქვს.

დებიტორების დავალიანების განაღდება ნორმალურად მიმდინარეობს. ივლისის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია არც თამასუქების გასაჩივრებას და არც ვადის გაგრძელებას. საფეიქრო საქონლის ჩქარმა ბრუნვამ და გაცხოველებულმა მოთხოვნილებამ საგრძნობლად გააუმჯობესა ქვედა საფეხურის კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობა.

უახლოეს თვეებში მოსალოდნელია ვაჭრობის კიდევ გაცხოველება. ამიტომ მიღებულია ყველა ზომები ფართლეულობის შემოტანის გასაძლიერებლად. საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილების მიერ შემუშავებულია მანუფაქტურის შემოტანის გეგმა მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალისათვის; ეს გეგმა განხორციელებული იქნება სავსებით. ამას გარდა მიღებულია ზომები, რომ მანუფაქტურა შემოტანილი იქნეს გეგმაში გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი, რადგან გეგმით განსაზღვრულ რაოდენობამ შეიძლება ვერ დააკმაყოფილოს მთელი მოთხოვნილება.

ავიაქიმში

ავიაქიმის თბილისის საბჭოს გაფართოებული პლენუმი

სამშაბათს 27 ივლისს წითელარმიის დოფლოტის ბაღში შესდგა საქ. ავიაქიმის საბჭოს გაფართოებული პლენუმის სხდომა. სხდომაზე მოსმენილ იქნა საბჭოს პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება ექვსი თვის მუშაობის შესახებ.

მოხსენებით გამოვიდა საბჭოს პ.-მგებელი მდივანი ამხ. ალექსეევი, რომელმაც აღნიშნა, რომ თბილისის საბჭო დაარსდა 1926 წლის იანვარში. ექვსი თვის განმავლობაში სალაროში შემოსულა 8.000 მანეთი. დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული დიდ გადაფრენების სასარგებლოდ საშუალებების შესაგროვებლად. მოსკოვში გადაიგზავნა უკვე 2.500 მანეთი და ახლო ხანში კიდევ გადაგზავნილი იქნება 1.000 მანეთი.

წევრების რაოდენობის მხრივ მდგომარეობა ასეთია: ხელახალ რეგისტრაციაში გატარებულია 11.421 წევრი, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ გასულ წელთან შედარებით წევრების რიცხვი 25 პროცენტით გაიზარდა. საზოგადოების წევრთა 47 პროცენტს შეადგენენ მუშები, 40 პროც.. მოსამსახურეები, 10 პროც. წითელარმიელები და 3 პროც. მოსწავლე ახალგაზრდობა და სხვები.

60 პროცენტი უპარტიოებია, 25 პროც. კომპარტიის წევრი და 10 პროც. კომკავშირელები. ეროვნების მიხედვით: წევრთა საერთო რაოდენობიდან 43 პროცენტს ქართველები შეადგენენ, 40 პროც. რუსები, 16 პროც. სომხები და 1 პროცენტს დანარჩენები.

ავიაქიმის თბილისის საბჭოს საქმიანობა პლენუმის მიერ დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. პლენუმმა დაადგინა, აგვისტოს პირველ რიცხვებში ჩატარებულ იქნას სამდღიური წევრების რიცხვის გასადიდებლად.

ამასთანავე პლენუმმა დაამტკიცა სია საბჭოს 33 აქტიურ მუშაკისა, რომელთაც დიდი შრომა დასდეს ავიაქიმის რიგებში მუშაობის დროს. ისინი დაჯილდოებულ იქნენ სპეციალური სიგელებით და საპატიო ნიშნებით.

სასამართლო

განაჩენი ლოლობერიძის და სიპციკის საქმეზე

გუშინ, ღამის 12 საათზე, აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ლოლობერიძის და სიპციკის საქმეზე. სასამართლომ ბრალდებულები დამნაშავედ სცნო ტ.-ერის გაუპატიურებაში და მიუსაჯა მათ სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი პატიმრობის ჩათვლით.

კორხმაზოვის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ბრალდებულ მამიკო კორხმაზოვს მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა—სასტიკი იზოლაციით.

კორხმაზოვს ბრალდებოდა 1434 მან. გაფლანგვა თბილისის სტუდენტთა კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ ყოფნის დროს.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა 7 აგვისტოს.

მკვლელობა.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ქ. ლიუქსემბურგში გაარჩია ახვერდ-ოღლის საქმე.

ახვერდ-ოღლის ბრალდებოდა გამიდ-შაბან-ოღლის მოკვლა შურისძიების ნიადაგზე.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ და დასძინა, რომ მას არ ჰქონდა განზრახვა მოეკლა გამიდ-შაბან-ოღლი.

მოწმეთა დაკითხვით და სასამართლოს კვლევა-ძიებით დადასტურდა, რომ წინეთ ბრალდებულსა და გამიდ-ოღლის შორის არსებობდა ცუდი განწყობილება. გამოირკვა აგრეთვე, რომ ბრალდებულს მკვლელობა ჩაუდენია წინასწარი განზრახვით შურისძიების ნიადაგზე.

სასამართლომ ახვერდ-ოღლის მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ძალა-უფლების გადამეტება.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან სანდრო ემმაკურაშვილს (გორის მაზრის სოფ. ფხვენისის გლეხკომის წევრს) აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიის მიერ ძალა-უფლების გადამეტებისათვის მისჯილი ჰქონდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით.

ემმაკურაშვილმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში, სადაც ეს საქმე გაირჩა გუშინ ამხ. გალუსტიანის თავმჯდომარეობით და პროკურორ გაბუნიას მონაწილეობით.

უზენაესმა სასამართლომ ოლქის სასამართლოს სესიის განაჩენი ამ საქმეზე დაარღვია და საქმე გადასცა სახალხო სასამართლოს ხელახლად გასარჩევად.

გ. ჭილაძის საქმე.

დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა გრიგოლ ჭილაძის საქმე.

ჭილაძეს ბრალდება თავის 8 წლის ქალიშვილის გაუპატიურება.

იურიდიული დახმარება

ბინის ქირის შესახებ

კ ი თ ხ ვ ა

ვცხოვრობ მელიქიშვილის მე-2-ე ჩიხი სახ. № 6-ში. მიჭირავს ერთი ოთახი პირველ სართულში სივრცით 20 კვ. არშ.

გთხოვთ მაცნობოთ, თუ რამდენი უნდა მივსცე თვეში ქირა სახლის პატრონს. ვარ მოწაფე, გლეხის შვილი, უკიდურესი ღარიბი, განვიცდი აუტანელ გაჭირვებას. სახლის პატრონი არ მაძლევს მოსვენებას. მთხოვს ათ მანეთს. მპირობს გამოსახლებას.

როგორ მოვიქცე?

ხვიმონ ხალათაშვილი.

პ ა ს უ ხ ი

თუ სახლის პატრონს წარუდგენთ სათანადო სიღარიბის მოწმობას, არა ხართ ვალდებული თითოეულ კვადრატიულ არშინზე გადაიხადოთ ერთ შაურზე მეტი. თუ ამას სახლის პატრონი არ მიიღებს, შეიტანეთ ბინის ქირა თბილისის ხაზინაში იუსტ. სახკომის დეპოზიტში.

კანონიერია თუ არა დამქირავებელის ასეთი მოქმედება

კ ი თ ხ ვ ა

მე ვმსახურებდი კერძო პირთან მბეჭდავ მანქანაზე მომუშავედ. ვარ კავშირის წევრი დაზღვეული. დამქირავებელმა ორი კვირის წინეთ გამაფრთხილა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, ვინაიდან მისი წარმოება ზედმეტ მომუშავის შენახვას ვითომდა ვერ შესძლებს და სამსახურიდან დამითხოვა, ანგარიში გამისწორა ასე. არ მოუცია ჩემთვის სალიკვიდაციო ჯილდო, მომცა მხოლოდ ორი კვირის ხელფასი გაფრთხილების შემდეგ და გამოუყენებელ შვებულების საკომპენსაციო ჯილდოც. ჩემს ადგილას მან დაუშვა თავისი გაუთხოვარი ქალიშვილი.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას კანონიერია თუ არა ჩემი დათხოვნა პროფკავშირის დაუკითხავად? ჰქონდა თუ არა დამქირავებელს უფლება ჩემს ადგილას დაეშვა სამუშაოდ თავის ქალიშვილი? მერგებოდა თუ არა სალიკვიდაციო ჯილდო?

თამარა თ—აშვილი.

პ ა ს უ ხ ი

როდესაც მუშა-მოსამსახურეს ითხოვენ სამსახურიდან შტატის შემცირების სახით, სრულებით არ არის საჭირო პროფკავშირის ნებართვა,—დასტური მომუშავის დათხოვნის შესახებ. ამიტომ დამქირავებელს ჰქონდა უფლება თქვენ დაეთხოვეთ პროფკავშირის დაუკითხავად (იხ. შრომის კანონთა კოდექსი მუხ. 47—აბზ. „ა").

დამქირავებელს ჰქონდა აგრეთვე უფლება თქვენს ადგილას მოეწვია თავისი ქალიშვილი, ვინაიდან მისი ქალიშვილი დაქირავებულად მისივე საკუთარ წარმოებაში არ ითვლება. ამიტომ თქვენი შემცირება და თქვენს ადგილას (არა დაქირავების სახით) დამქირავებლის ოჯახის წევრის მოწვევა სრულებით არ ეწინააღმდეგება მომქმედ შრომის კანონმდებლობას.

სალიკვიდაციო ან და გაუფრთხილებლობის დახმარება თქვენ არ გერგებათ, ვინაიდან გაფრთხილება თქვენ წინდაწინვე ორი კვირით ადრე მოგეცათ. (იხ. შრომის კანონთა კოდექსი მუხ. მუხ. 47-ის აბზ. „ა", „ბ", „გ" შენიშვნა მესამე. და მუხ. 88).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— ხუთშაბათს 29 ივლისს საღამოს 6 საათზე ცეკას აგიტპროპში შესდგება **აგიტკოლეგიის სხდომა.**

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება:

1. კახიანი (ც. კ.), 2. მაშკევიჩი (ც. კ.), 3. მუშიშვილი (ც. კ.), 4. ჯაფარიძე ვარო (ც. კ.), 5. ძიგრაშვილი (ა. ლ. კ. კ. ც. კ.), 6. ფრანგიშვილი (ა. ლ. კ. კ. ც. კ.), 7. რუხაძე (თავარი პოლიტგანათ.), 8. გეზაგელდ (ც. კ.), 9. ტაბიძე (ბ. კ. ო.), 10. პაპავა (ტ. კ.), 11. ჭელიძე, 12. კვიცარიძე (განათლების კავშირი), 13. სულაქველიძე კ. (ც. კ.), 14. 1 რაიკომის აგიტპროპი, 15. კანდელაკი (წერკუმსი), 16. თ. ღლონტი (სახ. უნივ.), 17. ქ. გოგობერიძე (ფარმაცევ. განყ.), 18. ჯიჯაძე (მედსანშ. კავ.).

ს. კ. პ. ცეკას აგიტპროპის მდივანი: ს. მინდაძე.

— ის ამხანაგები, რომელნიც თბილისის კომიტეტისა და სამაზრო კომიტეტებისადმი წილხვდომილი განაწილებით იგზავნებიან სვერდლოვის უნივერსიტეტში, ვალდებული არიან გამოცხადდნენ საქ. კომ. პარტიის ცეკას აგიტპროპში ა.-წ. 8 აგვისტოს.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის აგიტპროპგანყოფილება წინადადებას აძლევს ყველა ამხანაგებს, რომელთაც რაიკომში შემოტანილი აქვთ განცხადება მათი მუშფაკში გაგზავნის შესახებ, წაიღონ ეს განცხადებები უკან და შემოიტანონ სათანადო კავშირების კულტკომისიების საშუალებით.

— ხუთშაბათს 29 ივლისს საღამოს 6 საათზე კლუბებში (მუშათა ახალ კლუბში და საბჭ. სავაჭრო მოსამსახურეების კლუბში) შესდგება ქალაქის რაიონის მუშა და მოსამსახურე ქალთა და დიასახლისების მასიური მიტინგი.

— ხუთშაბათს, 29 ივლისს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება საქართველოს კომპარტიის **ქალაქის რაიონის აქტივის სხდომა.**

ბილეთები მიიღება საორგანიზაციო განყოფილებაში.

— პარასკევს, 30 ივლისს საღამოს 8 საათზე შესდგება საქართველოს კომპარტიის **თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.** სავალდებულოა ამხ. ჟუჟუნავას, ინაურის და ენუქიძის დასწრება.

— თბილისის კომიტეტის საკლუბო საბჭოს სხდომა შესდგება შაბათს 30 ივლისს დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

— საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ხუთშაბათს 29 ივლისს დღის 2 საათზე შესდგება საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის მიმღები კომისიის სხდომა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 29 ივლისს დილის სრულ 10 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება მესამე რაიონის საორგანიზაციო თათბირი. დღის წესრიგი: 1) ერობის სახელი ტრესტის უჯრედის საორგანიზაციო კომისიის ანგარიში, 2) ერბოს სახელობის ტრესტის საფეიქრო ფაბრიკის ქარხკომის ფრაქციის ანგარიში, 3) ცნობა კომკავშირის მესამე რაიონის ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ, 4) ქალაქის სასაკლაოების უჯრედების მუშაობის შესახებ.

სავალდებულოა ორგთათბირის ყველა წევრების დასწრება.

— კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ხუთშაბათს 29 ივლისს დღის 11 საათზე თბილისის კომიტეტის ბინაზე (რუსთაველი 20) შესდგება თბილისის კომიტეტის **საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.** სავალდებულოა ორგკოლეგიის ყველა წევრის დასწრება.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 29 ივლისს საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება მეორე რაიონის მიმღები კომისიის სხდომა.

— სახ. უნივერსიტეტის და მასთან არსებულ მუშათა ფაკულტეტის გაერთიანებულ — კომუჯრედთა ბიურო, ამით აცხადებს უჯრედების წევრთა საყურადღებოთ, რომ ა.-წ. 30 ივლისს (პარასკევს) საღამოს 5 საათზე უნივერსიტეტის შენობაში მოწვეულია აღნიშნულ უჯრედთა კრება.

დასწრება სავალდებულოა.

„კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს და
„ახალი სოფლის"
მთავარ კანტორებისაგან

„კომუნისტზე", „მუშაზე" და „ახალ სოფელზე" პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში

1. **ხაშურში**—კანტ. გამგე მათე გოგუაძესთან — მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისი**—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
4. **ხონში**—განყ. გამგე ჩემიასთან —ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
5. **სამტრედია**—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებარე რაიონისთვის.
6. **სენაკი**—განყ. გამგე ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. **აბაშა**—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. **ფოთი**—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
9. **ბათომი**—„კომუნისტი"-ს კანტორაში მთელი აჭარისტანისთვის.
10. **ოზურგეთი**—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან — მთელი ოზურგეთის მაზრისთვის.
11. **თელავი**—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისთვის.
12. **სიღნაღი**—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრისათვის.
13. **ზუგდიდში**—გლეხკომთან.
14. **სოხუმში**—„კომუნისტი"-ს კანტორაში—მთელი აფხაზეთისთვის.

„კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს და
„ახალი სოფლის" მთავარი კანტორები

ალექსანდრე და ზაქარია ზაალის ძენი მაჭავარიანები თავიანთი მეუღლეებით, ნინა არჩილის ასული მაჭავარიანისა და ელენე ზაალის ასული ბალდასაროვისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. რომ 26 ივლისს გარდაიცვალა მათი სიძე ექიმი

კონსტანტინე ალექსანდრეს ძე
არდიშვილი

ცხედრის გამოტანა ნიკოლოზის ეკლესიიდან და დაკრძალვა მოხდება დღის, საღამოს ექვს საათზე.

ყარაძან ნიკოსძე, ნიკოლოზ ვარდენისძე, ერუსლან და არკადი ლეონტისძე არდიშვილები მეუღლეებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, მათთვის დაუვიწყარი ძმის და მეგობრის

ექ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე
არდიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ვერის ნიკოლოზის ეკლესიიდან დანიშნულია ხუთშაბათს, 29 ივლისს საღამოს 6 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე დასაკრძალავად

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ ექიმთა კოლეგია აცხადებს, 26 ივლისს უეცრათ გარდაიცვალა

ექ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე
არდიშვილი

გამოსვენება წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან ვერის ახალ სასაფლაოზე 29 ივლისს საღამოს 6 საათზე.

მეუღლე ეკატერინა ქრისტეფორეს ასული, შვილები: ალექსანდრე (საშა) და ლუარსაბი იაკობისძენი გამცემლიძეები მეუღლით და შვილებით, ქალიშვილით ნინა იაკობის ასული და სიძე კონსტანტინე სიმონისძე ორჯონიკიძეები შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ მათი დაუვიწყარი

იაკობ ლუარსაბის ძის
გამცემლიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ქ. ზესტაფონში საკუთარი სახლიდან 30 ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზე. ქვ. 3072

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

სოლეი

კოვანკო, იუჯაკოვა, ანდრე ნოქსი პრემიერაში
„შოპენის მე-15-ე პრელიუდია"
სოლო ვიოლონჩელზე მალუნცევი
კინოს ბილეთებით შეიძლება ბაღში შესვლა.

საუკეთესო სურათი
„რობინ გუდ"
დუგლას ფერბენქსის მონაწ. „რობინ გუდ" მოსკოვში ერთდროულად მიდიოდა მოსკოვის 15 საუკეთესო კინოში.

დღეს საუკეთესო სურათი
„ლედი გამილტონ"
მთავარ როლში კონრად ვეიდტი და ლიენა გაიდ.
2 სერია 10 ნაწილი ერთად
ანონსი: ამ დღეებში პირველად თბილისში „უკანასკნელი გასროლა"

ნ. 1446 0—23

გაზ. „კომუნისტი"-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაჟინებით სთხოვს,** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

მთავარი კანტორა

გაზ. „კომუნისტი"-ს რწმუნებულათ
შორაპნის მაზრაში
ი ნ ი შ ნ ე ბ ა
გიორგი გოგელია

რომელთანაც შეიძლება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე", „მუშაზე" და „ახალი სოფელზე"

0—3 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

ს უ რ ა მ ი
ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან (ბავშვებს და დიდებს) და ქალთა სნეულებით.
ყოველდღე: დილით 2 საათამდის საღამოზედ 5 საათიდამ—7 საათამდის
მისამარ.: აგარაკი მეიერისა.

სათვალეების მორგება
უ ფ ა ს ო დ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედგაერობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.

გაზ. „კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს
და „ახალი სოფლი"-ს
მთავარი კანტორების
რწმუნებული გურიაში

აცხადებს ამავე გაზეთების მკითხველთა საყურადღებოთ:, რომ ზემოთ დასახელებულ გაზეთებზე ხელის მოწერა აგვისტოს—თვის მიიღება შემდეგ ადგილებში:

1. **ქ. ოზურგეთში**—გაერთიანებულ კანტორაში, გურიის პროსპ. № 85.
2. სადგურ **სუპსასთან** სადგურ **ოზურგეთამდე** ჩართვით რკინის გზის მუშა მოსამსახურეთათვის ადგილკომებთან.
3. **ქ. ლანჩხუთში** და მისი რაიონისათვის—გრიშა ხოფერიასთან (ფოსტაში ქ. ლანჩხუთში).
4. **ჯუმათში**—და მისი რაიონისათვის მოქ. სანდრო ნიკოლაიშვილთან (ფოსტაში სად. ჯუმათი).
5. სად. **ნატანებში**—ნატანების და მისი რაიონისათვის მოქ. **სამსონ ქინქლაძესთან** (ს. ნატანებში).
6. დაბა **ჩოხატაურისა**—და მისი რაიონებისათვის 1. „ეპოში"—მოქ. მირიან გიორგაძესთან და 2. ბაზარში—ივლიანე ჯინჭარაძესთან.
7. **ნაგომარისა** და მისი რაიონებისათვის მოქ. **სონია თავართქილაძესთან** (ცენტ. სამკითხველოში).
8. **ხიდისთავისა**—და მისი რაიონისათვის მოქ. **კასიანე კალანდაძესთან** (სამკითხველო).
9. **ბუკნარის თემისათვის** ტატიანა კოტრიკაძესთან.
10. **ბახვის თემისათვის** მოქ. ნიკო შონიასთან (ფოსტა).
11. **ცხემლის ხიდზე** მოქ. ივანე კობიძესთან (სამკითხველო).
12. **შემოქმედში**—თამარა ვაშალომიძესთან. (სამკ.).
13. **ლიხაური**—კალისტე გორდელაძესთან (თემ. აღმასკომ.).

გაზ. „კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს და „ახალი სოფლი"-ს რწმუნებული ოზურგეთში ცეცხლაძე

4—3 ნ. 1601

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)

მ ი ს ა მ ა რ თ ი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34

0—1

გ ა ზ ე თ
„კომუნისტის", „მუშა"-სდა „ახალი სოფლის"
რწმუნებულათ ქ. ხაშურში და ბორჯომ-ბაკურიანის რაიონში ინიშნება
მ ა თ ე გ ო გ უ ა ძ ე
რომელთანაც შეიძლება ზემოაღნიშნულ გაზეთებზე ხელის მოწერის მიღება.
გაზ. „კომუნისტი" „მუშა" და „ახალი სოფლის"
მთავარი კანტორები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
ჩარიცხვის მსურველთა
საყურადღებოდ

დამატებად განათლების კომისარიატის განცხადებისა უნივერსიტეტის გამგეობაც საჭიროდ სთვლის აუწყოს დაინტერესებულ პირთ, რომ სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ განცხადება უნდა შემოტანილ იქნეს უნივერსიტეტთან არსებული „სტუდენტთა მიმღები კომისიის" სახელზე ამა წლის 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდე, ჩარიცხვა კი—15—20 სექტემბრამდე.

განცხადებასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქნეს დედანი და ორ-ორი პირი შემდეგი საბუთებისა: 1. განათლებისა, 2. წლოვანებისა, 3. სოციალური მდგომარეობისა ადგილობრივი აღმასკომიდან ან პროფკავშირთა საბჭოსაგან, 4. მისი ან მშობლების ჯამაგირის (ან საშემოსავლო გადასახადის) რაოდენობის იმავე დაწესებულებიდან, 5. სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების, 6, ანკეტა და 7. ორი ფოტოგრაფიული სურათი სათანადოთ შემოწმებული, 8. ხუთი მანეთი გამოცდების ჰონორარად. ჩარიცხვის მსურველებმა უნდა აღნიშნონ განცხადებაში—რომელ ფაკულტეტზე ან განყოფილებაზე სურთ ჩარიცხვა. უნივერსიტეტში შემდეგი ფაკულტეტებია: 1. **პედაგოგიური,** განყოფილებები: ისტორიული, ლიტერატურული, ფიზიკო-მათემატიკური, საბუნებისმეტყველო, 2. **ენათმეცნიერების,** განყოფილება ლინგვისტური და ენთოლოგიური, 3. **სამკურნალო**-ფარმაცევტიული განყოფილებით, 4. **აგრონომიული,** განყოფილებები: სასოფლო-სამეურნეო, მებაღეობა-მევენახეობის, მეტყეობის, 5) **სოციალ-ეკონომიური,** ეკონომიური და იურიდიული განყოფილებებით, 6. **პოლიტეხნიკური,** განყოფილებები: მექანიკური, საამშენებლო. სამთო-მადნო.

უნივერსიტეტში შემსვლელთათვის, რომელ ფაკულტეტზედაც არ უნდა იყოს სავალდებულოა გამოცდების ჩაბარება შემდეგ საგნებში:

მათემატიკაში (ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია) ფიზიკაში, საზოგადოებათმეცნიერებასა და ქართულ წერაში. ნ. 1591 2—1

გაზ. „კომუნისტი"-ს

მთავარი კანტორა წინადადებას აძლევს ჭიათურის გამგე **გოგელიას,** ზუგდიდის კონტრაგენტ **რუდის** და სამტრედიის კონტრაგენტ **მ. წულაიას** გამოცხადდენ მთავარ კანტორაში აგვისტოს 5-მდე ანგარიშების შესადარებლად და გასასწორებლად.

0—1 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

ქ. თბილისის 2-ე უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 7 აგვისტოს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 1 კეცხოველის ქუჩა **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არტაშეს კალატოზოვის მოძრავ ქონებას: სხვადასხვა ფირმის საწერ მანქანებს, შეფასებულს 580 მანეთად, სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოსაგან 16 იანვარს 1926 წ. თარიღით, № 20473 გაცემულ აღმსრულებელ ფურცლისა. ნ. 1617

ექიმი **შ უ ხ მ ა ნ ი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდი და საღამოს 5—7 საათამდი. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 89 25—1

ე ქ ი მ ი
მ ე ბ რ ა ბ ი ა ნ ც ი
ფილტვების, ფლექის და გულის
სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან **აგარაკ მანგლისში.** 25—1

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 3—1

ე ქ ი მ ი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—3

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

დაკარგა პირადობის მოწმობა, კავშირის საწევრო წიგნაკი შვებულების ბარათი, პირადი სანვარიშო წიგნაკი კირილე ლაზარესძე ნიკოლაიშვილის სახელზე. ჩ. გ. ნ. 1616

დაკარგა საბუღალტრო კურსდამთავრების მოწმობა № 153 გრიგორი სილაქავას სახელზე, ჩ. გ. 3070

დაკარგა სამხ. პირადი წიგნაკი ფორმა № 4, № 24. ბესარიონ სალუქაძეს სახელზე, ჩ. გ. 3067

დაკარგა მანდატი № 11031, ანდრო პეტრესძე ტორჩინავას სახელზე, ჩ. გ. 3067

დაკარგა პარტმანდატი № 493877 და დამხლევე სალაროს წიგნაკი № 990 იოსებ ცხვედაძის სახელზე, ჩ. გ. 3067

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 266, გიორგი ივანესძე ღვინიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3067

დაკარგა კომკავშირის წიგნაკი, სამხედრო აღრიცხვის ბარათი და პირადობის მოწმობა გიორგი ელისაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3072

დაკარგა პარტიის საკანდიდატო ბარათი მოცემული 1-ლი ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტგანყოფილებიდან № 2770 გერონტი ბენედიქტესძე გოგელიას სახელზე, ჩ. გ. 3067

დაკარგა პირადობის მოწმობა, სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორ. № 4 და მეტრიკული ამონაწერი, ივანე ნიკოლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3071

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 13098 და ლომბარდის ქვითარი № 3585, ნინა ლოლობერიძეს სახელზე, ჩ. გ. 3073

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 1527 გიორგი ვიგილიანსკის სახელზე, ჩ. გ. 3068

დაკარგა ერთიანი პარტ-ბილეთი № 498405 სერგო გიორგისძე ხეცურიანის სახელზე, ჩ. გ. 3069

დაკარგა ერთიანი პარტ-ბილეთი № 498199 ეპიფანე პეტრესძე ჯანხოთელის სახელზე, ჩ. გ. 3069

დაკარგა ერთიანი პარტ-ბილეთი № 496412 ანდრო ბიჭიასძე მუშკუდიანის სახელზე, ჩ. გ. 3069

დაკარგა საკანდიდატო ბარათი № 11528 აბრამ ჯანყვათისძეს ზურაბიანის სახელზე, ჩ. გ. 3060

დაკარგა ერთიანი პარტ-ბილეთი № 496603 პართენ დავითისძე კოპალიანის სახელზე, ჩ. გ. 3069

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, ქამოს ქუჩა, 69